



ევროკავშირი
საქართველოსთვის
ENPARD



WITH FUNDING FROM
AUSTRIAN
DEVELOPMENT
COOPERATION



ევროკავშირის მხარდაჭერილი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები საქართველოში



ISET

International School of Economics at TSU
Policy Institute



Agricultural Policy Research Center
at ISET Policy Institute

ISSET-ის კვლევითი ინსტიტუტი არის ეკონომიკის წამყვანი და დამოუკიდებელი კვლევითი ცენტრი საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის მასშტაბით. ინსტიტუტის საქმიანობის საგანს წარმოადგენს როგორც კვლევითი და საკონსულტაციო საქმიანობა, ისე საჯარო პოლიტიკის ირგვლივ ტრენინგებისა და დისკუსიების ორგანიზება. ISSET-ის კვლევით ინსტიტუტსა და თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლას (ISSET) შორის არსებული მჭიდრო კავშირი უზრუნველყოფს ორივე ორგანიზაციის ინტელექტუალურ-ფინანსურ მდგრადობას. ინსტიტუტის მიზანია, წვლილი შეიტანოს დემოკრატიული მმართველობის, სამოქალაქო საზოგადოებისა და ეკონომიკის განვითარებაში საქართველოსა და რეგიონის მასშტაბით.

ISSET

International School of Economics at TSU
Policy Institute





ევროკავშირი
საქართველოსთვის
ENPARD

WITH FUNDING FROM
AUSTRIAN
DEVELOPMENT
COOPERATION



ევროკავშირის მხარდაჭერილი სასოფლო-სამეურნეო
კოოპერატივები საქართველოში

ISET
International School of Economics at TSU
Policy Institute


Agricultural Policy Research Center
at ISET Policy Institute

ევროკავშირის მხარდაჭერილი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები საქართველოში



ევროკავშირი
საქართველოსთვის
ENPARD

კონტრაქტი No. 2013/331728

ENPARD – სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა დეკემბერი, 2017 წელი, საქართველო, თბილისი

ევროკავშირი (EU) ხელს უწყობს სოფლად სიღარიბის შემცირებასა და სოფლის განვითარების თანამედროვე პრაქტიკის დანერგვას საქართველოში სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD) დახმარებით. პროექტი საქართველოში 2013 წლიდან ხორციელდება, რომლის ბიუჯეტი 179,5 მლნ. ევროს შეადგენს. ENPARD-ის მთავარი მიზანია სოფლად სიღარიბის შემცირება საქართველოში. პროგრამის პირველი ფაზის პრიორიტეტი სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა იყო, ხოლო მეორე და მესამე ფაზა მიზნად ისახავს სოფლად მცხოვრები ადამიანების ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობების გაზრდას, რაც სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას სცილდება. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ: www.enpard.ge

პასუხისმგებლობის აცხადება

დოკუმენტი მომზადდა ევროკავშირის „სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის“ (ENPARD) და ავსტრიის განვითარების სააგენტოს დახმარებით და ქეასთან თანამშრომლობით. დოკუმენტის შინაარსი არის მხოლოდ ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის პასუხისმგებლობა და არ წარმოადგენს ევროკავშირის, ავსტრიის განვითარების სააგენტოსა და ქეას პოზიციას.

ავტორები:

ირაკლი (რატი) კოჭლამაზაშვილი
დავითი ჟორჯოლიანი
ნინო კაკულია

ISET

International School of Economics at TSU
Policy Institute



Agricultural Policy Research Center
at ISET Policy Institute

შინაარსი

გრაფიკების საძიებელი	4
ცხრილების საძიებელი	5
მადლობა.....	6
აბრევიატურებისა და ტერმინების საძიებელი.....	7
შემაჯამებელი მიმოხილვა.....	8
შესავალი.....	10
კვლევის მიზანი და ამოცანები.....	12
კვლევის მეთოდოლოგია.....	12
გამოკითხვის არეალი.....	13
კვლევის შეზღუდვები.....	14
ძირითადი მიგნებები.....	15
ზოგადი ინფორმაცია.....	17
წევრობა და მენეჯმენტი.....	18
დასაქმება კოოპერატივებში.....	22
კოოპერატივების მიერ გამოყენებული აქტივები.....	23
ფინანსური შედეგები.....	24
მარკეტინგი.....	27
წარმოების მოცულობა.....	29
ურთიერთობა ნედლეულის და მომსახურების ადგილობრივ მიმწოდებლებთან.....	29
შემაფერხებელი ფაქტორები.....	31
დამატებითი ინვესტიცია.....	32
თანამშრომლობიდან მიღებული სარგებელი.....	34
ზომისა და დარგის გავლენა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საქმიანობაზე	35
რეკომენდაციები.....	43
ბიბლიოგრაფია.....	46
დანართები.....	48
დანართი 1: PEST ანალიზი.....	48
დანართი 2: ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობების და საფრთხეების (SWOT) ანალიზი.....	50
დანართი 3: სასოფლო-სამეურნეო საწარმოო და მომსახურების კოოპერატივები.....	53
დანართი 4: ENPARD I-ის დახურვის ღონისძიების დღის წესრიგი და ოქმი.....	55

გრაფიკების საძიებელი

გრაფიკი 1: ENPARD-ის მიერ მხარდაჭერილი კოოპერატივების ადგილმდებარეობა.....	14
გრაფიკი 2: კოოპერატივების ჩართულობა ღირებულებათა ჯაჭვის ამა თუ იმ რგოლში.....	16
გრაფიკი 3: კოოპერატივები ქვედარგების მიხედვით 2017 წელს.....	16
გრაფიკი 4: კლიმატური მოვლენები, რომლებმაც უარყოფითი გავლენა იქონია კოოპერატივების წარმოების მოცულობებზე 2014-2017 წლებში.....	17
გრაფიკი 5: კოოპერატივებში წევრების ჯამური რაოდენობა 2014-2017 წლებში.....	18
გრაფიკი 6: კოოპერატივების საბჭოების წევრთა სქესობრივი განაწილება 2014-2017 წლებში.....	18
გრაფიკი 8: კოოპერატივების წევრების გეოგრაფიული გადანაწილება.....	19
გრაფიკი 9: კოოპერატივებში წარმოდგენილი ოჯახების რაოდენობა.....	20
გრაფიკი 10: კოოპერატივების მეპაიეობრივი სტრუქტურა (2017 წლის ბოლოსთვის).....	20
გრაფიკი 11: საპაიო სტრუქტურის დინამიკა.....	20
გრაფიკი 12: კოოპერატივებში დაქირავებით დასაქმებულთა ფუნქციები.....	21
გრაფიკი 13: კოოპერატივების მიერ გამოყენებული მთავარი გრძელვადიანიაქტივები.....	22
გრაფიკი 14: კოოპერატივის ფიქსირებული აქტივების საშუალო ღირებულება ქვედარგისმიხედვით.....	23
გრაფიკი 15: წარმოებული პროდუქციის საშუალო ღირებულება ერთ კოოპერატივზე 2014-2017 წლებში.....	24
გრაფიკი 16: კოოპერატივის საშუალო შემოსავალი და საშუალო მოგება 2014-2017 წლებში.....	25
გრაფიკი 17: წარმოების საშუალო ღირებულება სხვადასხვა წლებში შერჩეულ კოოპერატივებში (2014-2017).....	25
გრაფიკი 18: საშუალო შემოსავალი და საშუალო მოგება სხვადასხვა წლებში შერჩეულ კოოპერატივებში (2014-2017).....	26
გრაფიკი 19: კოოპერატივების მიერ თავიანთი ნაწარმის გაყიდვის გეოგრაფიულიარეალი.....	27
გრაფიკი 20: კოოპერატივების ნაწარმის რეალიზაციის არხები 2017 წელს.....	28
გრაფიკი 21: ინსტიტუტებთან/სააგენტოებთან თანამშრომლობის სიხშირე და ხარისხი.....	28
გრაფიკი 22: კოოპერატივების საქმიანობაზე მოქმედი ინფრასტრუქტურა.....	30

გრაფიკი 23: კოოპერატივების განვითარების შემაფერხებელი ფაქტორები.....	30
გრაფიკი 24: დამატებითი ინვესტიციები არასამთავრობო და სამთავრობო წყაროებიდან.....	31
გრაფიკი 25: კოოპერაციიდან მიღებული სარგებელი.....	32
გრაფიკი 26: აქტივების საშუალო ღირებულების განაწილება.....	33
გრაფიკი 27: კოოპერატივების განაწილება დარგისა და ზომის (აქტივების ღირებულება) მიხედვით.....	34
გრაფიკი 28: კოოპერატივების განაწილება დარგისა და ზომის (წევრების რაოდენობის) მიხედვით.....	37

ცხრილების საძიებელი

ცხრილი 1: კოოპერატივების ყოველწლიური გამოკითხვის პერიოდი და 2014-2017 წლებში გამოკითხული კოოპერატივების რაოდენობა.....	13
ცხრილი 2: კოოპერატივებში დაქირავებით დასაქმებული თანამშრომლები.....	22
ცხრილი 3: ENPARD-ის მხარდაჭერილი კოოპერატივების მიერ წარმოებული ძირითადი პროდუქტების მოცულობები და ამ მოცულობების წილი საქართველოში შესაბამისი პროდუქტების წარმოების მთლიან მოცულობებში.....	29
ცხრილი 4: გამოყენებული მაჩვენებლები.....	35
ცხრილი 5: შედეგები — ზომის ეფექტი, აქტივების მიხედვით.....	38
ცხრილი 6: შედეგები — ზომის ეფექტი, წევრების რაოდენობის მიხედვით.....	38
ცხრილი 7: შედეგები — სექტორის ეფექტი.....	39

მადლობა

მადლობას ვუხდით ევროპის კომისიას და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციას, რომლებმაც მოგვცეს შესაძლებლობა, სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD) ფარგლებში, საქართველოში კოოპერატივების განვითარებაზე გვემუშავა. გულითად მადლობას ვუხდით ENPARD-ის განმახორციელებელ კონსორციუმებსა (ქეას, ოქსფამის, მერსი ქორფსის და ფიფლ ინ ნიდის მეთაურობით) და ორგანიზაციებს (აჭარაში გაეროს განვითარების პროგრამას), რომ მოგვცეს შესაძლებლობა, ერთობლივად ჩაგვეტარებინა კოოპერატივების ყოველწლიური გამოკითხვა, რომლის მონაცემებზე დაყრდნობითაც მომზადდა ეს კვლევა.

გულწრფელ მადლობას ვუხდით ყველა მონაწილე კოოპერატივსა და ფერმერთა ჯგუფს, მთავრობის ყველა წარმომადგენელს, დონორთა საზოგადოებას, ექსპერტებს და სხვებს, რომლებმაც დრო დაუთმეს ინტერვიუებებს მონაცემების ყოველწლიური შეგროვებისას, დაესწრნენ ფორუმებს და კონფერენციებს და მოგვანოდეს სასარგებლო მოსაზრებები საქართველოში კოოპერატივების განვითარებაზე.

შეუძლებელია ყველა იმ ადამიანის, ინსტიტუციისა და ორგანიზაციის ჩამოთვლა, რომლებმაც ხელი შეგვიწყვეს ამ პროცესში. მიუხედავად ამისა, განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით თითოეული კონსორციუმიდან და ორგანიზაციიდან წარმოდგენილ მონიტორინგის და შეფასების სპეციალისტებს. კერძოდ, ნათია კაციას (ქეა), მედეა იოსელიანს (ოქსფამი), რუსუდან ნადირაძეს (მერსი ქორფს), სოფიო ფუტკარაძეს (ფიფლ ინ ნიდ) და მერაბ სვანიძეს (გაეროს განვითარების პროგრამა); ასევე, ENPARD-ის კომუნიკაციების განყოფილების გუნდის ლიდერს, თამარ ხუნწარიას.

ასევე, განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით თითოეული განმახორციელებელი კონსორციუმისა და ორგანიზაციის პროგრამის მენეჯერებს: სილვია სანხუან მუნოსს (ქეა), გიგა სარუხანიშვილს (მერსი ქორფს), ლევან დადიანს (ოქსფამი), ბუბა ჯაფარლისა (ფიფლ ინ ნიდ) და ვახტანგ კონცელიძეს (გაეროს განვითარების პროგრამა აჭარაში).

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ფატი მამარდაშვილს (ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი), სილვია სანხუან მუნოსს (ქეა) და ნათია კაციას (ქეა) სასარგებლო რჩევებისა და რეკომენდაციებისთვის.

დაბოლოს, მადლობას ვუხდით ჩვენს პარტნიორებს კონსორციუმში – ქეა საერთაშორისოს კავკასიაში, რეგიონული განვითარების ასოციაციისა და საქართველოს ფერმერთა ასოციაციას.

ამ ტექსტში არსებულ ნებისმიერ შეცდომაზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ ავტორებს.

აბრევიატურებისა და ტერმინების საძიებელი

დსთ	დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა
მშპ	მთლიანი შიდა პროდუქტი
საქსტატი	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
სსიპ	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ABCO	საქართველოს ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაცია
ACDA	სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო
APMA	სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო
CARE	თანამშრომლობა დამხარების და შვებისთვის მთელ მსოფლიოში
ENPARD	ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარებისთვის
FAO	გაეროს სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია
GFA	საქართველოს ფერმერთა ასოციაცია
ISSET-PI	ISSET-ის კვლევითი ინსტიტუტი
M&E	მონიტორინგი და შეფასება
PEST	პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ტექნოლოგიური ანალიზი
PIN	ფიფლ ინ ნიდ
ROA	ამონაგები აქტივებზე
SWOT	ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები
UNDP	გაეროს განვითარების პროგრამა

შემაჯამებელი მიმოხილვა

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მოძრაობა რამდენიმე წლის წინ დაიწყო და დარეგისტრირებული ფერმერთა ჯგუფები განვითარების ჯერ კიდევ ემბრიონულ სტადიაში არიან. საბჭოთა მემკვიდრეობა და ფერმერებში თანამშრომლობის ადრეული ფორმების (კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა) მიმართ ნეგატიური განწყობა ნელ-ნელა ქრება და დღეს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოში (ACDA) უკვე 1400-ზე მეტი კოოპერატივია დარეგისტრირებული.

კოოპერატივების დიდი ნაწილი დონორი ორგანიზაციებისა და საქართველოს მთავრობის ხელსაყრელი პროგრამების და პროექტების გამო დარეგისტრირდა კოოპერატივად. მთავარი პროგრამა, რომელიც საქართველოში კოოპერატივების განვითარებას უწყობდა ხელს, იყო ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისათვის (ENPARD). ENPARD-ის კოოპერატივების განვითარების კომპონენტს ახოციელებდა შემდეგი ორგანიზაციების მეთაურობით შემდგარი კონსორციუმები: ქეა, ოქსფამი, მერსი ქორფს, ფიფლ ინ ნიდ და გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში. ოპერირების ოთხი წლის მანძილზე, პროგრამა მთელ ქვეყანაში 280-ზე მეტ კოოპერატივს დაეხმარა აქტივების (ძირითადად ფიქსირებული აქტივების) შესყიდვაში და, აგრეთვე, უწევდა მათ ტექნიკურ დახმარებას, რაც გამოიხატებოდა ტრენინგების ორგანიზებაში, ექსპერტების მოწვევაში, საბაზრო კავშირების დამყარებასა და მრავალი სხვა მიმართულებით ყოველდღიურ დახმარებაში.

საქართველოში თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ჩამოყალიბება 2014 წელს დაიწყო, ამიტომ არ გვაქვს ბევრი კვლევა. ამდენად, ეს ანგარიში არის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების აღწერისა და შეფასების იშვიათი მცდელობა. ანგარიში მოიცავს ENPARD-ის მიერ პირდაპირი სახით მხარდაჭერილ 281 კოოპერატივს და ასახავს ამ კოოპერატივებიდან მიღებულ მონაცემებს. 2017 წლის ბოლოსათვის აღნიშნულ კოოპერატივებში 4666 წევრი (34% ქალი) იყო გაერთიანებული, გამოკითხვის მომენტში ყველაზე დიდ კოოპერატივს 1303 წევრი ჰყავდა, ყველაზე პატარას კი – მხოლოდ 3. აღსანიშნავია, რომ კოოპერატივში წევრთა მედიაწილი საშუალო რაოდენობა წლიდან წლამდე იზრდებოდა, თუ 2014 წელს, კოოპერატივის წევრთა მედიაწილი საშუალო რაოდენობა 8 წევრს შეადგენდა, 2017 წლისთვის ეს რიცხვი 10-მდე გაიზარდა.

ENPARD-მა აღნიშნულ 281 კოოპერატივში 13.6 მლნ. ლარის ინვესტიცია განახორციელა, კოოპერატივების წევრებმა კი საწყისი ინვესტიციის სახით 4.4 მლნ. ლარი გაიღეს. გარდა ამისა, 4 წლის განმავლობაში, სახელმწიფომ, კერძო სექტორმა და სხვა დონორებმა (ENPARD-ის გარდა), კოოპერატივებში 8 მლნ. ლარის ინვესტიცია ჩადეს. ჯამში, ამ 281 კოოპერატივში 26 მლნ. ლარის პირდაპირი ინვესტიცია განხორციელდა, რაც ერთ კოოპერატივზე, საშუალოდ, დაახლოებით 92 000 ლარია.

რაც შეეხება მყისიერ ეფექტს, 2014 წელს ENPARD-ის პროექტის დაწყებიდან 2017 წლის ჩათვლით, კოოპერატივების მიერ გამოყენებული აქტივების ღირებულება მკვეთრად, ერთ კოოპერატივზე დაახლოებით 300%-ით გაიზარდა. კოოპერატივების მიერ გამოყენებული გრძელვადიანი აქტივების მთლიანმა ღირებულებამ 2017 წლის ბოლოს 62.3 მლნ. ლარი შეადგინა, რაც ერთ კოოპერატივზე საშუალოდ 227 000 ლარია. ძირითადი გრძელვადიანი აქტივებია სასოფლო-სამეურნეო მიწა (ყველა ტიპის), შენობა-ნაგებობები, მანქანა-დანადგარები და ტრაქტორის მოსადევრები, სტაციონარული დანადგარები და აღჭურვილობა. ჯამური აქტივების 47%-ის მესაკუთრეები კოოპერატივების წევრები არიან (მაგრამ ამ აქტივებს იყენებენ კოოპერატივის საქმიანობაში), კოოპერატივების აქტივების ჯამური ღირებულების 23% ENPARD-მა შეისყიდა, 14% – თავად კოოპერატივებმა დაფუძნების შემდეგ, 13% იჯარით არის მიღებული, დარჩენილი 2% – სხვა წყაროებით.

2014-2017 წლებში ბევრ კოოპერატივში ანაზღაურების მქონე თანამშრომლების რაოდენობა გაორმაგდა. კვლევამ ისიც აჩვენა, რომ ქალები სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის საქმიანობის ყველა ეტაპში აქტიურად მონაწილეობენ. ჯამში, წევრების და ანაზღაურების მქონე თანამშრომლების 53% ქალია. რამდენიმე კოოპერატივში ქალებს წამყვანი მენეჯერული პოზიციებიც უჭირავთ – გამოკითხული კოოპერატივების 21%-ში მმართველობითი საბჭოს წევრები ქალები არიან.

დღესდღეობით წარმოების და სერვის-კოოპერატივებს შორის მკაფიო ზღვარი არ არსებობს. ბევრი კოოპერატივის წევრი ჩართულია წარმოების პროცესში და ამავდროულად გასწევს მომსახურებასაც (ნედლეულის შეძენა, დამუშავება, პროდუქციის ერთობლივი მარკეტინგი და სხვა). თუმცა, როგორც ჩანს, გამოკითხული კოოპერატივები წარმოებაში თანამშრომლობას ამტობინებენ. კოოპერაცია ყველაზე გავრცელებულია მეფუტკრეობაში, შემდეგ მოდის მარცვლეულის და მეთხილეობის კოოპერატივები. მევენახეობისა და მეღვინეობის კოოპერატივებს მეოთხე ადგილი, ხოლო კარტოფილის მწარმოებელ კოოპერატივებს მეხუთე ადგილი უკავია.

მართალია, სოფლის მეურნეობაში შედეგების მიღებას დროს სჭირდება, მაგრამ ENPARD-ის მიერ მხარდაჭერილ კოოპერატივებში გამოვლენილ ზოგად ტენდენციებზე მსჯელობა უკვე შეიძლება. 2017 წელს, 2014 წელთან შედარებით, წარმოების საშუალო ღირებულება 37%-ით¹ გაიზარდა; 2015 და 2016 წლების მონაცემები ოდნავ უკეთესია, ვიდრე 2017 წლისა. 2017 წელს შედეგების გაუარესების მიზეზი თხილის სექტორში არსებული პრობლემებია, რომლებიც დასავლეთ საქართველოს თხილის პლანტაციებში მავნებელ აზიურ ფაროსანას შემოსევამ და დაავადების (მაგ.: ნაცარი) გავრცელებამ გამოიწვია. თუ თხილის მწარმოებელ კოოპერატივებს გამოვრიცხავთ, დავინახავთ, რომ ერთ კოოპერატივზე გაანგარიშებით, წარმოების ღირებულება სტაბილურად იზრდებოდა განვლილი ოთხი წლის მანძილზე, როგორც ნომინალურად, ისე რეალურად. თუმცა გამოშვება ძლიერ დამოკიდებულია „აგრარულ წელზე“ – ამინდზე, დაავადებებზე, მავნებლებზე – რაც იმას ნიშნავს, რომ წარმოების რისკი კვლავ მაღალია. მაღალია მარკეტინგის რისკიც, რადგან ნაწარმის შემსყიდველებთან კონტრაქტებით გამყარებული კავშირები არ არსებობს.

ამ კვლევამ ასევე გამოავლინა, რომ ENPARD-ის თუ სახელმწიფო პროგრამებით მიღებული უდიდესი მხარდაჭერის მიუხედავად, კოოპერატივის წევრები ბიზნესის განვითარების ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად კვლავ ფინანსებსა და კაპიტალზე წვდომას ასახელებენ, მიუხედავად იმისა, რომ ეს დაბრკოლება 2014 წლიდან შემცირების ტენდენციით ხასიათდება.

კვლევაში გამოვლენილ გამოწვევებზე დაყრდნობით, განვითარების საწყის ეტაპზე მყოფი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარებისთვის რეკომენდაციები შევიმუშავეთ. ძირითადი რეკომენდაციებია კოოპერატივების კვლევის გაგრძელება, კოოპერატივების შესახებ კანონის განახლება, ფინანსებზე წვდომის გაუმჯობესება, დახმარების პროგრამების იმ ფერმერთა ჯგუფებზე მორგება, რომლებმაც კარგად იციან კოოპერაციის პრინციპები და რომელთაც კარგად შეუძლიათ (ან აქვთ ამის პოტენციალი) კოოპერატივების მართვა და სერვის-კოოპერატივების განვითარება.

¹ ნომინალურ მაჩვენებლებში. რეალური ზრდა 22% იყო.

შესავალი

ყოფილი სოციალისტური რესპუბლიკებიდან საქართველო ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც მიწის განაწილების მასშტაბური გეგმის განხორციელება დაიწყო. ეს პროცესი 1992 წელს დაიწყო. მიწის განაწილების შედეგად, ქვეყანაში ათობით ათასი მცირე მიწის მესაკუთრე გაჩნდა, რომლებმაც საბჭოთა პერიოდის მასშტაბური კოლექტიური და საწარმოო კოოპერატივები – საბჭოთა მეურნეობები და კოლექტიური მეურნეობები ჩაანაცვლეს (ლერმანი და სედიკი, 2014 წ.). მიწის პრივატიზაციის მთავარი მიზანი იყო, მოსახლეობის უდიდეს ნაწილს თავი გადაერჩინა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ არსებულ უმძიმეს პერიოდში.² 1990-იან წლებში საქართველო და მისი სოფლის მეურნეობა მძიმე მდგომარეობაში იყო. 1991-2000 წლებში სოფლის მეურნეობა ყოველწლიურად საშუალოდ 11%-ით მცირდებოდა; ამ პერიოდის შემდეგაც დარგი ძალიან ნელა ჯანსაღდებოდა, დანარჩენ ეკონომიკას ჩამორჩებოდა და 2001-2012 წლებში წლიურად მხოლოდ 0.6%-ით იზრდებოდა (მილინსი, 2013 წ.).

შედეგად, დღეს საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგი ხელიდან გაშვებული შესაძლებლობა უფროა, ვიდრე წარმატების ისტორია. სოფლის მეურნეობაში დასაქმება კვლავ მაღალია (დარგში ჩართულია ქვეყნის სამუშაო ძალის თითქმის ნახევარი), მაგრამ დარგის გამოშვება მშპ-ის მხოლოდ 9.0%-ს შეადგენს (საქსტატი, 2016 წ.). 2014 წელს ჩატარებული სასოფლო-სამეურნეო აღწერის თანახმად, საქართველოში 574.1 ათასი აგრარული მეურნეობაა, რომელთაგან მხოლოდ 2.2 ათასი არის იურიდიული პირი, დანარჩენი 571.9 ათასი შინამეურნეობაა (ფერმის საშუალო ზომით 1.2 ჰა). საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ერთ-ერთ მთავარ შემაფერხებელ ფაქტორად მიწის ფრაგმენტაცია მიიჩნევა. თუმცა აუცილებელი არ არის, მცირე ზომის ფერმა დაბალპროდუქტიული იყოს. მთელ მსოფლიოში პატარა ფერმები ძალიან პროდუქტიულები არიან, ხშირად მსხვილ ფერმებზე მეტადაც კი (ბარეტი, 1993 წ.; სიალი, იქბალი და სეიხი, 2012 წ.). მაგრამ მცირე ფერმებს წარმატების მისაღწევად ხელშემწყობი გარემო სჭირდებათ. კერძოდ, მცირე ზომის ფერმერები ფერხდებიან, როდესაც კრედიტზე, მარკეტინგსა და ტექნოლოგიებზე წვდომა შეზღუდული აქვთ, საქართველოში კი სწორედ ასეა.³

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები მთელ მსოფლიოში გვხვდება, რადგან კოოპერატივი საუკეთესო ორგანიზაციული ფორმაა მცირე ფერმერებისთვის, რომელთაც სურთ, ღირებულებათა ჯაჭვის სხვადასხვა ეტაპზე მიაღწიონ მასშტაბის ეკონომიას, მეტ ეფექტურობას და გაზარდონ სავაჭრო ძალაუფლება (ლერმანი და სედიკი, 2014 წ.). საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები და საქართველოს მთავრობა⁴ მიიჩნევენ, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარება გამოაცოცხლებს საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგს. ქართველი ფერმერები კოოპერატივების შექმნისგან თავს იკავებდნენ. როგორც უკანასკნელმა კვლევებმა აჩვენა, თავშეკავების ერთ-ერთი მიზეზი ხშირად კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებთან ასოცირებული ინსტიტუტების მიმართ ნდობის ნაკლებობაა. მეორე მიზეზია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მარეგულირებელი თანმიმდევრული საკანონმდებლო ჩარჩოს არარსებობა.⁵

2 იხილეთ: კოჭლამაზაშვილი, ი. და პინიატი, ნ. (31 ოქტომბერი, 2016 წ.). შევამცირეთ თუ არა ბიუჯეტი: საქართველოს მთავრობის პრიორიტეტების ცვლილება და ქართული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების გაურკვეველი მომავალი. ISET-ეკონომისტის ბლოგი. (<http://iset-pi.ge/index.php/ka/iset-economist-blog/entry/2016-11-03-07-37-58>), წყარო ნანახია 2017 წლის დეკემბერში.

3 იხილეთ: კოჭლამაზაშვილი, ი. და პინიატი, ნ. (31 ოქტომბერი, 2016 წ.). შევამცირეთ თუ არა ბიუჯეტი: საქართველოს მთავრობის პრიორიტეტების ცვლილება და ქართული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების გაურკვეველი მომავალი. ISET-ეკონომისტის ბლოგი. (<http://iset-pi.ge/index.php/ka/iset-economist-blog/entry/2016-11-03-07-37-58>), წყარო ნანახია 2017 წლის დეკემბერში.

4 საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია, 2015-2020, გვ. 20.

5 იხილეთ: კოჭლამაზაშვილი, ი. და პინიატი, ნ. (31 ოქტომბერი, 2016 წ.). შევამცირეთ თუ არა ბიუჯეტი: საქართველოს მთავრობის პრიორიტეტების ცვლილება და ქართული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების გაურკვეველი მომავალი. ISET-ეკონომისტის ბლოგი. (<http://iset-pi.ge/index.php/ka/iset-economist-blog/entry/2016-11-03-07-37-58>), წყარო ნანახია 2017 წლის დეკემბერში.

ევროკავშირი ხელს უწყობს საქართველოში სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებას. ამ მიზნით ევროკავშირი ახორციელებს „ევროპის სამეზობლო პროგრამა საქართველოში სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისთვის“ (ENPARD საქართველო). პროგრამა 2013 წელს დაიწყო და ათი წლის განმავლობაში (2013-2022 წწ.) 179.5 მლნ. ევროს ინვესტირებაა დაგეგმილი საქართველოში სოფლად სიღარიბის შესამცირებლად.⁶ პროგრამა სამ ფაზად ხორციელდება. ENPARD-ის პირველი ფაზა, რომელიც უკვე დასრულდა, სოფლის მეურნეობის პოტენციალის განვითარებაზე იყო ორიენტირებული. მეორე და მესამე ფაზები მიმართულია სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის ისეთი ეკონომიკური შესაძლებლობების შექმნაზე, რომლებიც ცდება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას.

ENPARD საქართველოს პირველი ფაზის (2013-2017 წწ.) ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო მთელ ქვეყანაში მცირე ფერმერებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება.⁷ ამ პროექტის ფარგლებში, საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა და დაამტკიცა კანონი „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ“ (2013 წლის ივლისი)⁸ და შექმნა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო, რომელიც სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაშია და რომლის მიზანიც საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების ხელშეწყობაა. საქართველოში პირველი კოოპერატივების რეგისტრაცია 2014 წლის მარტში დაიწყო, დღეისთვის კი დარეგისტრირებულია 1400-ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, რომლებიც დაახლოებით 13 000 წევრს აერთიანებს (ACDA, 2017 წ.).

ENPARD-ის მცირე ფერმერებს შორის თანამშრომლობის განვითარების კომპონენტი განახორციელა კონსორციუმებმა, რომლებსაც რამდენიმე საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია უძღვებოდა. ეს ორგანიზაციებია: ქეა⁹, ოქსფამი¹⁰, მერსი ქორფს¹¹, ფიფლ ინ ნიდ¹² და გაეროს განვითარების პროგრამა¹³. ეს განმახორციელებელი ორგანიზაციები შერჩეულ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს ტექნიკურ და ფინანსურ მხარდაჭერას უწევდნენ. კოოპერატივების შესარჩევად ჩატარდა მკაცრი შერჩევა, რომელიც ორ ან სამეტაპიან კონკურსს მოიცავდა. ეს ანგარიში ეყრდნობა მონაცემებს, რომლებიც ყოველწლიურად გროვდებოდა ENPARD-ის მიერ დაფინანსებული კოოპერატივებიდან. პროექტის განხორციელების პერიოდში (2013-2017 წწ.) ასეთი კოოპერატივების რიცხვმა 281-ს მიაღწია.

6 იხილეთ ENPARD-ის ოფიციალური ვებგვერდი: www.enpard.ge

7 იხილეთ ENPARD-ის ოფიციალური ვებგვერდი: <http://enpard.ge/ge/ra-miznebi-aqvs-enpard-s/>

8 იხილეთ საქართველოს კანონი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ: <https://matsne.gov.ge/en/document/download/1972742/0/en/pdf>

9 ქეას კონსორციუმი აერთიანებდა რეგიონული განვითარების ასოციაციას, საქართველოს ფერმერთა ასოციაციასა და ISET-ის კვლევით ინსტიტუტს. ის ნაწილობრივ დააფინანსა ავსტრიის განვითარების კოოპერაციამ.

10 ოქსფამის კონსორციუმი აერთიანებდა შემდეგ ორგანიზაციებს: „ქმედება შიმშილის წინააღმდეგ“, ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“ და სოფლად თემების განვითარების სააგენტო.

11 მერსი ქორფსის კონსორციუმი შედგებოდა შემდეგი ორგანიზაციებისგან: საქართველოს ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაცია, კავშირი „აგროსერვისი“ და საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი.

12 ფიფლ ინ ნიდის კონსორციუმი აერთიანებდა შემდეგ ორგანიზაციებს: ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია და პრალის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების უნივერსიტეტი. ის ნაწილობრივ დააფინანსა ჩეხეთის რესპუბლიკის განვითარების კოოპერაციამ.

13 აჭარაში ENPARD-ის პროგრამა განახორციელა გაეროს განვითარების პროგრამამ.

კვლევის მიზანი და ამოცანები

პროექტის განხორციელების პროცესში ENPARD-ის კონსორციუმებმა გადაწყვიტეს, ENPARD-ის მიერ მხარდაჭერილი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების შესასწავლად და, ზოგადად, ქვეყანაში კოოპერატივების განვითარებაზე დასაკვირვებლად, მონიტორინგის და შეფასების საერთო ინსტრუმენტები გამოეყენებინათ. საქართველოში ევროკავშირის დელეგაციამ ამ იდეას მხარი დაუჭირა. შედეგად, 2015 წლის გაზაფხულზე, ოთხივე კონსორციუმის მონაწილეობით (ქეას, ოქსფამის, მერსი ქორფსის და ფიფლ ინ ნიდის ხელმძღვანელობით) დაფუძნდა მონიტორინგის და შეფასების სამუშაო ჯგუფი, რომელიც აქტიურად ჩაერთო მონიტორინგისა და შეფასების საერთო სისტემის ჩამოყალიბებაში. ქეას კონსორციუმის პარტნიორი, ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი გამოკითხვის მეთოდოლოგიის შემუშავებას ჩაუდგა სათავეში. მეთოდოლოგია და ინსტრუმენტები რეგულარულად ვითარდებოდა და ახლდებოდა ყოველი წლის გამოკითხვიდან მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით.

კითხვარის შემუშავებისას ჩვენ იმ ინდიკატორებზე გავამახვილეთ ყურადღება, რომლებიც ყველა განმახორციელებლისთვის საერთო იყო და, ამასთანავე, მნიშვნელოვანი იყო პროექტისთვის სხვადასხვა კუთხით. კითხვარი შეიცავდა ზოგად შეკითხვებს კოოპერატივებისა და მათი წევრების, მენეჯმენტის, თანამშრომლების, აქტივების, ფინანსური შედეგების, მარკეტინგის, ნედლეულის/ მომსახურების ადგილობრივ მომწოდებლებთან ურთიერთობის და კოოპერატივის ბიზნესის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორების შესახებ. მიუხედავად ამისა, კითხვარი მარტივი უნდა ყოფილიყო, რადგან რესურსები შეზღუდული იყო, ინტერვიუებზე (მონიტორინგის და შეფასების ოფიცრები ან კოორდინატორები თითოეული კონსორციუმიდან და ორგანიზაციიდან) შეზღუდული იყვნენ დროში. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ გამოკითხვის მიზანი არ ყოფილა პროექტის ზეგავლენის შეფასება და, შესაბამისად, თითოეული განმახორციელებელი კონსორციუმისა და ორგანიზაციის ლოგიკური ჩარჩოთი განსაზღვრული პროგრამის ყველა ინდიკატორის შეფასება. ამ უკანასკნელი მიზნისთვის ყველა ორგანიზაცია სხვადასხვა გამოკითხვას იყენებდა (მაგალითად, საბაზისო და საბოლოო გამოკითხვები ზოგადად შინამეურნეობის და პირდაპირი ბენეფიციარის დონეებზე), კოოპერატივების ყოველწლიური გამოკითხვა გაკეთდა, რათა თვალი მიგვედევნებინა კოოპერატივების განვითარებისათვის ქვეყანაში და უმოკლეს დროში აღმოგვეჩინა შეფერხებები და მათი გამოსწორებისათვის შეგვეთავაზებინა რეკომენდაციები.

კვლევის მეთოდოლოგია

მონიტორინგის და შეფასების სამუშაო ჯგუფის წევრები 2015 წლის დასაწყისიდან ერთად მუშაობდნენ. გაეროს განვითარების პროგრამა, რომელიც ENPARD-ის განმახორციელებელია აჭარაში, სამუშაო ჯგუფს 2017 წელს შეუერთდა. ENPARD-ის მიერ მხარდაჭერილი კოოპერატივების მონიტორინგი და შეფასება ყოველწლიურად ტარდებოდა, შედეგები კი დაინტერესებულ მხარეებს რეგულარულად წარედგინებოდათ.

2015 წლის დასაწყისში, მონიტორინგის და შეფასების სამუშაო ჯგუფმა კოოპერატივების ყოველწლიური კვლევისთვის კითხვარი შეიმუშავა. კითხვარის პირველი სამუშაო ვერსიის შემუშავების შემდეგ, თითოეული კონსორციუმიდან წარმოდგენილმა მონიტორინგისა და შეფასების ოფიცრებმა ცალ-ცალკე გამოსცადეს კითხვარი. სამუშაო ჯგუფმა ტესტირების შედეგები საბოლოო კითხვარში ასახა. შეკითხვების სხვადასხვაგვარად გაგებისა და ინტერპრეტაციის თავიდან ასაცილებლად, თითოეული წლიური გამოკითხვის დაწყებამდე ტარდებოდა ინტერვიუების ტრენინგი.

სხვადასხვა შერჩევის ფაზებსა და ENPARD-ის განმახორციელებლების შერჩევის სქემებს შორის არსებული განსხვავებების გამო, კოოპერატივების შერჩევის პროცესი 2014 წელს დაიწყო

და 2017 წლის ბოლომდე გაგრძელდა. შესაბამისად, საბაზისო წელი კოოპერატივებისთვის განსხვავებული იყო, ყოველ მომდევნო წელს კი გამოკითხვა სულ უფრო მეტ კოოპერატივს მოიცავდა, რადგან იზრდებოდა ENPARD-ის ბენეფიციარი კოოპერატივების რაოდენობა. გამოკითხვის პერიოდები და განმახორციელებელი ორგანიზაციების მიერ გამოკითხული კოოპერატივების რაოდენობა მოცემულია ქვემოთ, ცხრილში 1.

ცხრილი 1: კოოპერატივების ყოველწლიური გამოკითხვის პერიოდი და 2014-2017 წლებში გამოკითხული კოოპერატივების რაოდენობა

საანგარიშო წელი	მერსი ქორფს	ქვა	ოქსფამი	ფიფლ ინ ნიდ	გაეროს განვ. პროგრ.	ჯამი	გამოკითხვის პერიოდი ¹
2014	24	17	32	9	43	125	2015 წლის ოქტომბრამდე
2015	36	28	32	22	64	182	აპრილ-მაისი, 2016 წელი
2016	69	34	48	31	76	258	იანვარ-თებერვალი, 2017 წელი
2017	73	49	52	32	75	281	ოქტომბერ-ნოემბერი, 2017 წელი

პირისპირ ინტერვიუები კოოპერატივების ყველაზე მცოდნე წევრებთან (ძირითადად, კოოპერატივის ხელმძღვანელებთან) ჩატარდა; ინტერვიუები იყვნენ მონიტორინგისა და შეფასების ოფიცრები და/ან კოორდინატორები ENPARD-ის განმახორციელებელი კონსორციუმის თითოეული წევრიდან ან პარტნიორი ორგანიზაციიდან. გამოკითხვის ჩატარებას საშუალოდ ერთი საათი სჭირდებოდა. ინტერვიუს ჩატარების შემდეგ, ინტერვიუერს მონაცემები სპეციალურ, გამოკითხვისთვის შექმნილ მონაცემების ფაილში შეჰყავდა, რომელიც შემდეგ ISET-ის კვლევით ინსტიტუტს ეგზავნებოდა. მოგვიანებით, ყველა მონაცემები ერთიანდებოდა, სუფთავდებოდა, მოწმდებოდა და ანალიზისთვის თავს იყრიდა სპეციალურ სტატისტიკურ პროგრამაში. კოოპერატივების ყოველწლიური კვლევიდან მიღებული მონაცემების გარდა, ამ ანგარიშის ანალიტიკურ ნაწილში, რაოდენობრივი მონაცემების თვისობრივი ანალიზით გასამდიდრებლად, მრავალი შეხვედრიდან და კონფერენციიდან, ასევე, ლიტერატურის ანალიზის შედეგად გაკეთებული დასკვნები გამოვიყენეთ. ერთ-ერთი ამგვარი კონფერენციის ოქმი მოცემულია დანართში 4.

გარდა ამისა, საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების კონკურენტუნარიანობა (ENPARD-ის მიერ მხარდაჭერილ კოოპერატივებზე დაყრდნობით) გაანალიზებულია PEST-ის¹⁴ აღწერითი ტექნიკებითა (იხ. დანართი 1) და SWOT¹⁵ ანალიზით (იხ. დანართი 2).


გამოკითხვის არეალი

გამოკითხვის არეალი მოიცავდა ყველა იმ სამიზნე მუნიციპალიტეტს, სადაც ENPARD-ის განმახორციელებლებმა (ქვა, მერსი ქორფს, ოქსფამი, ფიფლ ინ ნიდ და გაეროს განვითარების პროგრამა აჭარაში) იმუშავეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარებაზე. ჯამში, გამოკითხვა ჩატარდა საქართველოს 55 მუნიციპალიტეტში, 9 რეგიონსა და 1 ავტონომიურ რესპუბლიკაში. ქვემოთ მოცემულ რუკაზე დატანილია 281 გამოკითხული კოოპერატივი რეგისტრაციის ადგილმდებარეობის მიხედვით (ფერები აღნიშნავს განმახორციელებელ კონსორციუმებს).

¹⁴ PEST (პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ტექნოლოგიური) აღწერს მაკრო ფაქტორებს, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებზე გემოქმედებს.

¹⁵ SWOT (ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების) ანალიზი ავლენს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების იმ შიდა და გარე ფაქტორებს, რომლებიც მათ ეხმარება ან ხელს უშლის მიზნის მიღწევაში.

გრაფიკი 1: ENPARD-ის მიერ მხარდაჭერილი კოოპერატივების ადგილმდებარეობა



შენიშვნა: ზოგიერთი სანიშნი ერთმანეთს ემთხვევა, რადგან ზოგი კოოპერატივი ერთმანეთთან ძალიან ახლოს მდებარეობს.

ქვემოთ წარმოდგენილია ის შეზღუდვები, რაც ახლდა კვლევას გამოკითხვის დიზაინის, საპილოტე ტესტირებისა და განხორციელების ეტაპებზე.

კვლევის შეზღუდვები

მთავარი გამოწვევები, რასაც მონიტორინგისა და შეფასების სამუშაო ჯგუფი შეეჯახა, იყო კითხვარის საბოლოო ვერსიის ფორმულირება და სხვადასხვა ინტერვიუერის მიერ კითხვების სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირების თავიდან არიდება. მონაცემების შეგროვება დამატებით სერიოზულ პრობლემებთანაც (არასრული მონაცემები, არასწორი (არასანდო) მონაცემები და ა.შ.) იყო დაკავშირებული. შედეგად, საჭირო ხდებოდა ორმაგი გადამოწმება (მონაცემების ჯვარედინად გადამოწმება, კოოპერატივებთან დაკავშირება და ა.შ.). კოოპერატივებში საბუღალტრო აღრიცხვა სათანადოდ არ იწარმოება და ანგარიშში მოცემული ფინანსური ინფორმაცია არ შეიცავს ფინანსური დოკუმენტებიდან (საბალანსო უწყისი, ფულადი სახსრების მიმოქცევის უწყისი და მოგება-ზარალის უწყისი) აღებულ მტკიცებულებებს. მონაცემები კოოპერატივების მიერ არის მოწოდებული და, უმეტეს შემთხვევაში, არ არის დადასტურებული ოფიციალური დოკუმენტებით.

ყოველ წელს, გამოკითხვისას, იყვნენ ისეთი კოოპერატივებიც, რომლებიც არ გვანვდიდნენ ამომწურავ ინფორმაციას, რადგან გამოკითხვის მომენტისთვის ისინი ახლად შექმნილი კოოპერატივები იყვნენ და ზოგიერთ შემთხვევაში არ ფლობდნენ ინფორმაციას (მაგ., წარმოება და შემოსავალი).

გაეროს განვითარების პროგრამა აჭარაში 2017 წლის დასაწყისში ჩაერთო პროცესში. ამიტომ გაეროს განვითარების პროგრამის მიერ მხარდაჭერილი კოოპერატივები 2014-2016 საანგარიშო წლებთან დაკავშირებით 2017 წლის მარტ-აპრილში რეტროსპექტულად გამოიკითხა.

ვინაიდან შერჩევის სხვადასხვა ეტაპის გამო გამოკითხული კოოპერატივების რაოდენობა

განვლილი ოთხი წლის განმავლობაში იზრდებოდა, ანგარიშში წარმოდგენილი მონაცემების შედარება ეყრდნობა გამოკითხული კოოპერატივების იმ წლის საშუალო მონაცემებს. მაშასადამე, 2014 წლის საშუალო მონაცემები 125 კოოპერატივის მონაცემების მიხედვით არის გამოთვლილი, 2017 წლის იგივე მონაცემები კი 281 კოოპერატივის მონაცემებს ეყრდნობა (დეტალები მოცემულია ცხრილში 1). გარდა ამისა, დროითი შეზღუდვების გამო, 2017 წლის გამოკითხვა 2017 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ჩატარდა, ასე რომ, 2017 წლის მონაცემები მოიცავს კოოპერატივების პროგნოზებს წლის ბოლომდე დარჩენილი თვეების შესახებ.

ამ გამოკითხვას თან ახლდა გარკვეული შეზღუდვები, თუმცა კარგ წარმოდგენას გვიქმნის ENPARD-ის მიერ მხარდაჭერილი კოოპერატივების განვითარებაზე. გარდა ამისა, ეს გამოკითხვა არის საქართველოში თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებზე ჩატარებული გამოკითხვის იშვიათი მაგალითი, რაც მას კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის. თუმცა რეკომენდებულია კიდევ უფრო სიღრმისეული კვლევის ჩატარება. ამ გამოკითხვის მეთოდოლოგია და შეგროვებული მონაცემები კარგ საფუძველს იძლევა, რომ კვლევა მომდევნო წლებშიც გაგრძელდეს.

ძირითადი მიგნებები

ზოგადი ინფორმაცია


ბოლო საანგარიშგებო წლისთვის – 2017 წლისთვის – ENPARD-ის მიერ მხარდაჭერილი 281 კოოპერატივის მონაცემები გავაანალიზეთ. ამ კოოპერატივიდან 75-ს დახმარება გაუწია გაეროს განვითარების პროგრამამ, 73-ს – მერსი ქორფსმა, 52-ს – ოქსფამმა, 49-ს – ქეამ, 32-ს კი – ფიფლ ინ ნიდის კონსორციუმმა. ყურადღება გამახვილდა კოოპერატივების მიერ შექმნილი საქონლის და მომსახურების ღირებულებაზე და არა მათ შემოსავალზე (რადგან მონაცემები გროვდებოდა 2017 წლის განმავლობაში, როდესაც კოოპერატივების უმეტესობას ჯერ კიდევ არ ჰქონდა მიღებული შემოსავალი წარმოებული პროდუქტების ნაწილისთვის). მიუხედავად ამისა, კოოპერატივების განვითარების დინამიკის საჩვენებლად ჩავატარეთ 2017 წლისა და გასული წლების შედარებითი ანალიზი.

გამოკითხული კოოპერატივების უმეტესობა (265) პირველი დონის კოოპერატივია, 13 პირველი დონის კოოპერატივი მეორე დონის კოოპერატივების წევრები არიან, ხოლო სამი კოოპერატივი თავად არის მეორე დონის კოოპერატივი.¹⁶ ამ კოოპერატივების ორ მესუთედზე ოდნავ მეტი ჩართულია ღირებულების ჯაჭვის ერთ რგოლში, ხოლო დანარჩენი საქმიანობს ღირებულებათა ჯაჭვის რამდენიმე საფეხურზე. კოოპერატივების მესამედზე მეტი პირველადი წარმოების კოოპერატივია, რაც ნიშნავს, რომ წევრები ერთად უძღვებიან საწარმოო პროცესს და თავიანთ ნაწარმს გარეშე მხარეზე ყიდნიან. ფერმერთა ჯგუფების დაახლოებით 10% თანამშრომლობს მხოლოდ სერვისის კუთხით და ისინი შეიძლება, (წმინდად) სერვის-კოოპერატივებად ჩაითვალოს.¹⁷ დანარჩენი კოოპერატივები ღირებულების ჯაჭვის რამდენიმე საფეხურში არიან ჩართულები, მათ შორის, წარმოებაში, წარმოებისთვის სერვისის მიწოდებაში ან მოსავლის აღების შემდგომ მომსახურებაში (შენახვა, დამუშავება, ბრენდინგი, მარკეტინგი). მე-2 გრაფიკზე დეტალურად არის მოცემული ღირებულებათა ჯაჭვში კოოპერატივების ჩართულობა.

16 პირველი დონის სასოფლო სამეურნეო-კოოპერატივი არის კოოპერატივი, რომელშიც ყველა წევრი დამოუკიდებელი ფერმერია. მეორე დონის კოოპერატივებს პირველი დონის კოოპერატივები ქმნიან.

17 საწარმოო და მომსახურების კოოპერატივებს შორის განსხვავება აღებულია ლერმანისა და სედიკისგან (2014 წ.). დეტალები მოცემულია დანართში 3.


გრაფიკი 2: კოოპერატივების ჩართულობა ღირებულებათა ჯაჭვის ამა თუ იმ რგოლში



გამოკითხულმა ფერმერულმა ჯგუფებმა კოოპერატივებად დარეგისტრირება 2014 წლის მარტიდან დაიწყეს, როდესაც სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტომ პირველი კოოპერატივი ოფიციალურად დაარეგისტრირა. აღსანიშნავია, რომ ENPARD-ის მიერ მხარდაჭერილი ყველა ფერმერთა ჯგუფი ოფიციალურ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივად არ არის დარეგისტრირებული. გამოკითხული კოოპერატივებიდან 82 დარეგისტრირდა 2014 წელს, 126-მა ოფიციალური სტატუსი 2015 წელს მიიღო, 37-მა – 2016 წელს, 14-მა კი – 2017 წელს. დანარჩენ 22 კოოპერატივს ოფიციალური სტატუსი არ მიუღია, რადგან განმახორციელებელი ორგანიზაცია არ ითხოვდა სტატუსს გრანტის გასაცემად ან ტექნიკური დახმარების გასაწევად. 2017 წელს გამოკითხული კოოპერატივების დაახლოებით ორი მესამედი აცხადებდა, რომ მათ წევრებს ჰქონდათ წარსულში სოფლის მეურნეობაში ერთად მუშაობის გამოცდილება.


ENPARD-ის პროექტის ფავორიტი ქვედარგი მეფუტკრეობა იყო (50 კოოპერატივი), მას მოსდევს მარცვლეული კულტურების წარმოება (25 კოოპ.) და თხილი (22 კოოპ.). ჯამში, პროგრამამ 20-ზე მეტ სასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავე კოოპერატივი დააფინანსა. მე-3 გრაფიკზე დეტალურად არის ჩამოთვლილი კოოპერატივები სექტორების მიხედვით.

გრაფიკი 3: კოოპერატივები ქვედარგების მიხედვით 2017 წელს



გამოკითხული კოოპერატივების თანახმად, 2014 წელი ყველაზე ნაკლებად პრობლემური წელი იყო ბუნებრივი კატასტროფების თვალსაზრისით – ამ წელს კოოპერატივების მხოლოდ 41%-ს მიაღმა ზიანი არასახარბიელო ამინდის გამო. სამაგიეროდ, 2017 წელი იყო ერთადერთი წელი განვლილი ოთხი წლის მანძილზე, როდესაც რესპონდენტთა ნახევარზე მეტმა (140 კოოპერატივმა) განაცხადა, რომ ბუნებრივმა კატასტროფებმა საანგარიშო წელს გავლენა იქონია მათ წარმოებაზე. ყველაზე პრობლემური იყო ყინვა (68 შემთხვევა), გვალვა (29 შემთხვევა) და სეტყვა (25 შემთხვევა) (გრაფიკი 4). ამინდთან დაკავშირებულ პრობლემებთან გასამკლავებლად მხოლოდ 29 კოოპერატივს ჰქონდა საგანგებო სიტუაციის მართვის გეგმა, 100-მა კოოპერატივმა კი განაცხადა, რომ ამ გეგმის შემუშავებას აპირებს.


გრაფიკი 4: კლიმატური მოვლენები, რომლებმაც უარყოფითი გავლენა იქონია კოოპერატივების წარმოების მოცულობაზე 2014–2017 წლებში



წევრობა და მენეჯმენტი

2017 წლის ბოლოსთვის, გამოკითხულ 281 კოოპერატივში 4666 წევრი იყო გაერთიანებული. საინტერესოა, რომ განვლილ ოთხ წელიწადში კოოპერატივში წევრების საშუალო არითმეტიკული ორჯერ გაიზარდა და 16.6-ს მიაღწია. თუმცა ამ ზრდის მხოლოდ მცირე ნაწილი უკავშირდება 2017 წელს არსებულ კოოპერატივებში 113 ახალი წევრის წმინდა ნამატი (კოოპერატივების 40%-მა სულ მცირე ერთი ახალი წევრი მიიღო, ხოლო 7%-იდან სულ მცირე ერთი წევრი გავიდა); ზრდის უდიდესი ნაწილი მოდის ახალი წევრებით მდიდარ კოოპერატივებზე, რომლებიც ამ კვლევამ გამოკითხა. საანგარიშო წელს ყველაზე დიდ კოოპერატივს 1303 წევრი ჰყავდა, ყველაზე პატარას – 3. თუ წევრების მედიანურ საშუალოს შევხედავთ, ის 2014 წელს 8-დან 10-მდე გაიზარდა 2017 წლისთვის. 2018 წელს მოსალოდნელია კოოპერატივებში წევრების რაოდენობის კიდევ უფრო ზრდა, გამოკითხული კომპანიების ერთი მესამედი აცხადებს, რომ ზრდას ელის, 4%-ს კი საპირისპირო პროგნოზი აქვს. კოოპერატივების წევრობის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია მე-5 გრაფიკზე.


გრაფიკი 5: კოოპერატივებში წევრების ჯამური რაოდენობა 2014-2017 წლებში



კოოპერატივების წევრების მრავალფეროვნება

2017 წელს კოოპერატივებში ქალი წევრების რიცხვმა 34%-ს მიაღწია, 2016 წელს ეს მაჩვენებელი 32% იყო, 2014 და 2015 წლებში კი – 30%. იზრდებოდა ქალი თანამშრომლების წილიც, 2016 წელს მათმა წილმა 50%-ს მიაღწია, ხოლო 2017 წელს – 53%-ს. მეორე მხრივ, მმართველ საბჭოებში ქალების ჩართულობის ტენდენცია ცხადად არ გამოჩნდა. ამ პოზიციებზე ქალების წილი 2015 წელს 20%-მდე შემცირდა და მას მერე არ შეცვლილა, მაშინ, როდესაც 2014 წელს ის 32%-ს შეადგენდა. მე-6 გრაფიკზე მოცემულია კოოპერატივების საბჭოების წევრთა (საერთო კრება და მენეჯმენტი) განაწილება სქესის მიხედვით 2014-2017 წლებში, გრაფებში მითითებულია კაცი და ქალი წევრების რაოდენობა.


გრაფიკი 6: კოოპერატივების საბჭოების წევრთა სქესობრივი განაწილება 2014-2017 წლებში



2017 წელს 23-მა კოოპერატივმა განაცხადა, რომ მმართველი საბჭო არ ჰყავდა, მათგან 20-მა კი განაცხადა, რომ არ იცოდნენ, თუ მმართველი საბჭოს ყოლა კანონით მოეთხოვებოდათ. მეორე მხრივ, კოოპერატივების 89%-ს 2017 წელს მმართველი საბჭო ჰყავდა და დამფუძნებელთა კრებებსაც ატარებდა. ჯამში, ამ კრებებს 2692 ადამიანი ესწრებოდა რეგულარულად. გარდა ამისა, 2017 წელს კოოპერატივების თითქმის სამი მეოთხედი მმართველი საბჭოს კრებებსაც მართავდა, 98 კოოპერატივმა ასეთი კრება რამდენჯერმე გამართა, ხოლო 62-მა – მოთხოვნის მიხედვით. ყველაზე დიდი მმართველთა საბჭო 15 ადამიანისგან შედგებოდა, 57 კოოპერატივს კი 2-წევრიანი საბჭო ჰყავდა. რაც შეეხება კოოპერატივების გეგმებს მმართველი საბჭოს წევრების არჩევის თაობაზე, კოოპერატივების უმეტესობამ აღნიშნა, რომ საბჭოს წევრებს ოთხ წელიწადში ერთხელ ირჩევდნენ.

2017 წელს წევრების აბსოლუტურ უმრავლესობას ეთნიკური ქართველები შეადგენდნენ, ყოველ 50 წევრში ერთი ეთნიკურად სომეხი და ყოველ 100 წევრში ერთი ეთნიკურად აზერბაიჯანელი იყო. წევრებს შორის სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები პრაქტიკულად არ იყვნენ, 19 სხვადასხვა კოოპერატივში 42 იძულებით გადაადგილებული პირი იყო. წევრების უმეტესი რაოდენობა 40-დან 59 წლამდე ასაკობრივ კატეგორიაში მოხვდა, ხოლო 14% 60 და მეტი წლის იყო. წევრთა მხოლოდ 8% იყო 18-25 წლის კატეგორიაში, ხოლო წევრების დაახლოებით 30% 26-39 წლის იყო. რაც შეეხება განათლებას, წევრების მეოთხედს სასკოლო განათლება ჰქონდა მიღებული, 26%-ს – პროფესიული, ხოლო 46%-ს – უმაღლესი. დანარჩენ 3%-ს მხოლოდ საწყისი განათლება ჰქონდა მიღებული. მე-7 გრაფიკზე დეტალურად არის ნაჩვენები წევრთა დემოგრაფიული მონაცემები 2017 წლისთვის.


გრაფიკი 7: კოოპერატივის წევრების დემოგრაფიული მონაცემები 2017 წლისთვის



უნდა აღინიშნოს, რომ ოთხწლიანი პერიოდის განმავლობაში, კოოპერატივების წევრების ეთნიკური სტრუქტურა თითქმის უცვლელი იყო. სამაგიეროდ, 2015 წლიდან უმაღლესი განათლების მქონე ადამიანების წილი ეცემა. 2014-2016 წლებში 18-39 წლის ახალგაზრდების წილი 6 პროცენტული პუნქტით შემცირდა, 2017 წელს კი ეს ტენდენცია დადებითი გახდა.


2017 წელს გამოკითხულ კოოპერატივებში წევრების გეოგრაფიული განაწილება მრავალფეროვანი იყო. 46 კოოპერატივში წევრები საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტიდან იყვნენ, ხოლო სხვა 6 შემთხვევაში, კოოპერატივები ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის წარმომადგენლებს აერთიანებდა. დამაინც, შემთხვევათა თითქმის მეოთხედში კონკრეტულ კოოპერატივში მხოლოდ თანასოფლელები იყვნენ გაწევრიანებულები. ამ თემაზე უფრო დეტალური ინფორმაცია მოცემულია მე-8 გრაფიკზე.

გრაფიკი 8: კოოპერატივების წევრების გეოგრაფიული გადანაწილება




კოოპერატივების გეოგრაფიული არეალის გაფართოებისა და მათი წევრების რაოდენობის ზრდის პარალელურად, კოოპერატივებში წარმოდგენილი ოჯახების რიცხვიც იზრდებოდა. 2017 წელს გამოკითხული კოოპერატივებიდან 6 აერთიანებდა წევრებს 30 სხვადასხვა ოჯახიდან, 2014 და 2015 წელს ასეთი კოოპერატივები საერთოდ არ არსებობდა. აღსანიშნავია, რომ ყველაზე დიდ კოოპერატივს ჰყავდა წარმომადგენლები 995 სხვადასხვა ოჯახიდან, რაც ორჯერ აღემატება სიდიდით მეორე კოოპერატივის იმავე მონაცემს. ამ თემაზე დეტალური ინფორმაცია მოცემულია მე-9 გრაფიკზე.

გრაფიკი 9: კოოპერატივებში წარმოდგენილი ოჯახების რაოდენობა




მეპაიეების სტრუქტურაში მომხდარ ცვლილებებზე ნაწილობრივ პასუხისმგებელია გეოგრაფიული არეალის გაფართოება და კოოპერატივების ზრდა. მაგალითად, 2015 წელს კოოპერატივებში 5-10% წილის მფლობელი მეპაიეები ყველაზე დიდ ჯგუფს შეადგენდნენ, 2016 და 2017 წლებში კი ყველაზე დიდი ჯგუფი იყო 5%-ზე ნაკლები წილის მქონე მეპაიეები. დადებითი ნიშანია ისიც, რომ კოოპერატივებში სულ უფრო მეტი ასოცირებული წევრი ჩნდება – 2016 წელს ყოველ 1000 წევრზე ერთი ასოცირებული წევრი მოდიოდა, 2017 წელს ეს ციფრი თითქმის 7-ჯერ გაიზარდა და ჯამში 26 ასოცირებული წევრი გაჩნდა (იხ. გრაფიკი 10).

გრაფიკი 10: კოოპერატივების მეპაიეობრივი სტრუქტურა (2017 წლის ბოლოსთვის)



რაც შეეხება კოოპერატივების საპაიო შენატანების ღირებულებას, ერთ-ერთი კოოპერატივის საპაიო ღირებულება ნახევარ მილიონ ლარზე მეტი იყო, მაგრამ კოოპერატივის პაიების საშუალო ღირებულება პრაქტიკულად არ გაზრდილა განვლილი ოთხი წლის მანძილზე. 2017 წელს ეს მაჩვენებელი კოოპერატივებზე 27,534 ლარის ტოლი იყო. უნდა აღინიშნოს, რომ მრავალ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ კოოპერატივები დამატებით ფულს აბანდებდნენ თავიანთ საქმიანობაში, ისინი მაშინვე არ არეგისტრირებდნენ საპაიო შენატანებს ოფიციალურად. შესაძლოა, მცირე საპაიო კაპიტალი სწორედ ამით აიხსნება (იხ. გრაფიკი 11).

გრაფიკი 11: საპაიო სტრუქტურის დინამიკა




გეოგრაფიული განაწილების მიუხედავად, 2017 წელს გამოკითხული კოოპერატივების წევრების სამ მეოთხედზე მეტის (ჯამში 3545) შემოსავლის მთავარი წყარო იყო სოფლის მეურნეობა, 404 წევრისთვის – კერძო სექტორში დასაქმება, 305 წევრისთვის – საჯარო სექტორში დასაქმება. საინტერესოა, რომ კერძო და საჯარო სექტორებმა ბოლო დროს მეორე და მესამე ადგილები გაცვალეს, სოციალური დახმარება კი არცერთი გამოკითხული კოოპერატივის წევრისთვის არ ყოფილა შემოსავლის მთავარი წყარო 2014-2017 წლებში.

დასაქმება კოოპერატივებში

წლიდან წლამდე სულ უფრო მეტი კოოპერატივი (44% 2017 წელს, 24% – 2014 წელს) იყენებს დაქირავებულ სამუშაო ძალას (2017 წელს – 11.3 მუშახელი კოოპერატივზე, 2014 წელს – 7.2), 2017 წელს 122-მა კოოპერატივმა (281-დან) სახელფასო პირობებით 1287 თანამშრომელი დაიქირავა. ყოველი ხუთი თანამშრომლიდან ოთხი სეზონური მუშახელი იყო, ხოლო ექვს ადამიანში ერთი – სრულ განაკვეთზე მომუშავე თანამშრომელი, მხოლოდ 35 ადამიანი იყო დაქირავებული ნახევარი განაკვეთით. კოოპერატივებმა სრული ან ნახევარი განაკვეთით თანამშრომლებად აიყვანეს ძირითადად ბუღალტრები, ტექნიკოსები, აგრონომები და, ზოგიერთ შემთხვევაში, მენეჯერებიც კი. დაქირავებული თანამშრომლების დინამიკა და სამუშაო ძალის ფუნქციები უფრო დეტალურად მოცემულია მე-12 გრაფიკზე.

გრაფიკი 12: კოოპერატივებში დაქირავებით დასაქმებულთა ფუნქციები



აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე ქალების დასაქმება სტაბილურად იზრდება და 2016 წლიდან ქალები დასაქმებული პერსონალის უდიდეს ნაწილს წარმოადგენენ (იხ. მე-2 ცხრილი).

ცხრილი 2: კოოპერატივებში დაქირავებით დასაქმებული თანამშრომლები

წელი	დაქირავებულთა ჯამური რაოდენობა	დაქირავებულთა საშუალო რაოდენობა ერთ კოოპერატივში	სეზონურად დაქირავებული მუშახელის წილი	დაქირავებით დასაქმებული ქალების წილი
2017	1,287	11.3	81%	53%
2016	1,062	10.8	73%	51%
2015	474	7.1	83%	45%
2014	215	7.2	50%	44%

მომავალში მოსალოდნელია კოოპერატივებში დასაქმების კიდევ უფრო მეტი ზრდა, რადგან 133 კოოპერატივმა (281-დან) განაცხადა, რომ 2018 წელს გეგმავს ანაზღაურებული მუშახელის დაქირავებას.

კოოპერატივების მიერ გამოყენებული აქტივები

2014-2017 წლებში კოოპერატივების მიერ გამოყენებული აქტივები 300%-ით გაიზარდა და 2017 წელს 62.3 მლნ. ლარს მიაღწია, რაც ერთ კოოპერატივზე 227 000 ლარია. შედეგებმა აჩვენა, რომ კოოპერატივების მიერ გამოყენებული ძირითადი აქტივებია ყველანაირი სასოფლო სამეურნეო მიწა – მასზე აქტივების მთლიანი ღირებულების 43% მოდის. მიწას შენობა-ნაგებობები მოსდევს, 17%-იანი წილით მთლიან ღირებულებაში (გრაფიკი 13). აქტივების წყაროს რაც შეეხება, აქტივების უმეტესი ნაწილის (47%) მფლობელები კოოპერატივების წევრები არიან (მაგრამ აქტივები კოოპერატიული საქმიანობისთვის გამოიყენება); აქტივების მთლიანი ღირებულების 23%, რაც 14 მლნ. ლარს უტოლდება, ENPARD-ის მიერ არის შეძენილი; 14% კოოპერატივებმა შეიძინეს დაფუძნების შემდეგ; 13% იჯარით არის მიღებული, ხოლო დარჩენილი 2% სხვა წყაროებიდან არის დაფინანსებული.


გრაფიკი 13: კოოპერატივების მიერ გამოყენებული მთავარი გრძელვადიანი აქტივები



2017 წელს 38 კოოპერატივმა განაცხადა, რომ წარმოების მიზნებისთვის სათბურებს იყენებდა. სათბურებში წარმოებული ძირითადი პროდუქტები იყო ბოსტნეული და მწვანილი, კენკრა. ხუთი კოოპერატივი კი სათბურს სანერგე მეურნეობისთვის იყენებდა.

მე-14 გრაფიკი იძლევა ინფორმაციას ENPARD-ის მიერ მხარდაჭერილი კოოპერატივების მიერ გამოყენებული გრძელვადიანი აქტივის საშუალო ღირებულებაზე ჩაშლილი სოფლის მეურნეობის ქვედარგების მიხედვით. როგორც ვხედავთ, აქტივებით ყველაზე მდიდარი კოოპერატივები ხილის სექტორშია, მათ მოსდევს მეცხოველეობის, მევენახეობისა და მეთხილეობის კოოპერატივები.

გრაფიკი 14: კოოპერატივის გრძელვადიანი აქტივების საშუალო ღირებულება ქვედარგის მიხედვით




ფინანსური შედეგები

ამ ნაწილში ჩვენ გამოვითხუთ კოოპერატივების მიერ ოთხი წლის მანძილზე მიღწეულ ფინანსურ შედეგებს გავაანალიზებთ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, კოოპერატივების შერჩევა 2014 წელს დაიწყო და 2017 წლის ჩათვლით გაგრძელდა, შესაბამისად, ყოველწლიურ გამოკითხვაში კოოპერატივების ჩართულობა უწყვეტი პროცესი იყო – ეს ეხება ფინანსური ინფორმაციის მიღებასაც. მიუხედავად ამისა, ჩვენ თითოეულ წელს საშუალო მაჩვენებლები გამოვიანგარიშეთ. ამასთანავე, ამავე ქვეთავში მოცემულია დამატებითი ანალიზი, რომ უკეთ გავიაზროთ განსხვავებები სხვადასხვა წლებში შერჩეულ კოოპერატივებს შორის.

2017 წელს ყველა გამოკითხული კოოპერატივის მიერ წარმოებული პროდუქციის მთლიანმა ღირებულებამ დაახლოებით 15 მლნ. ლარი შეადგინა¹⁸, რაც კოოპერატივზე საშუალოდ 55 000 ლარს ნიშნავს. ეს მაჩვენებელი 2014 წლის შედეგს 37%-ით აღემატება ნომინალურად და 22%-ით – რეალურად; თუმცა 2017 წელს წარმოებული პროდუქციის საშუალო ღირებულება უფრო ნაკლები იყო, ვიდრე 2015 ან 2016 წელს. ამის მიზეზია თხილის სექტორში მავნებელი აზიური ფაროსანას შემოსევა და ასევე სოკოვანი დაავადების გავრცელება, რამაც 2017 წლის თხილის მოსავალი დააზიანა. თუ მეთხილეობის კოოპერატივებს ამ მიზეზით გამოთვლებში არ გავითვალისწინებთ, წლიდან წლამდე სტაბილური ზრდა შესაძენვეი გახდება; თუმცა 2015 წლის შემდეგ როგორც ნომინალური, ისე რეალური ზრდის ტემპი შენეულა.


18 2017 წელს 267 კოოპერატივმა (281-დან) მიიღო მოსავალი.

გრაფიკი 15: წარმოებული პროდუქციის საშუალო ღირებულება ერთ კოოპერატივზე 2014-2017 წლებში



რაც შეეხება შემოსავალსა და მოგებას კალენდრულ წლებში, 2017 წელს, 2014 წელთან შედარებით, შემოსავალი 27%-ით, მოგება კი 30%-ით გაიზარდა.¹⁹ თუმცა, თუ კვლავ გამოვრიცხავთ ყველაზე მეტად დაზარალებულ მეთხილეობის კოოპერატივებს, ზრდა შესამჩნევი ხდება, შემოსავალი 73%-ით, მოგება კი 85%-ით არის გაზრდილი საშუალოდ.²⁰ ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ანგარიშების ყოველ წელს, ზოგიერთ კოოპერატივს ზარალი (უარყოფითი მოგება) ან ნულოვანი მოგება (მოგება ნულის ტოლი იყო) ჰქონდა, რამაც მოგების საშუალო მაჩვენებელი შეამცირა²¹.

გრაფიკი 16: კოოპერატივის საშუალო შემოსავალი და საშუალო მოგება 2014-2017 წლებში



19 ნომინალურად, თუმცა რეალური ზრდა (ინფლაციით კორექტირებული) 13% და 19% იყო, შესაბამისად.


20 ნომინალურად, თუმცა რეალური ზრდა 54% და 64%, შესაბამისად.

21 2017 წელს 17 კოოპერატივმა ნახა 338,000 ლარის ოდენობის ზარალი, 14 კოოპერატივს კი ნულოვანი მოგება ჰქონდა. 2016 წელს 27 კოოპერატივმა 454,000 ლარის ზარალი ნახა, შვიდს ნულოვანი მოგება ჰქონდა. 2015 წელს ექვსმა კოოპერატივმა განაცხადა, რომ უარყოფითი მოგება ჰქონდა (ზარალის მოცულობა 65,000 ლარი), ერთს კი ნულოვანი მოგება ჰქონდა.

როგორც უკვე ვახსენეთ, პროექტის განმავლობაში მხარდასაჭერი კოოპერატივების შერჩევა იყო განგრძობითი პროცესი იყო (2014-2017 წწ.). შედეგად, ზოგიერთმა კოოპერატივმა ENPARD-ის მხარდაჭერა (როგორც ფინანსური, ისე ტექნიკური) თითქმის ოთხი წლის განმავლობაში მიიღო, ზოგმა კი მხოლოდ ერთი წლის. რომ დავაზუსტოთ, 125 კოოპერატივი შეირჩა 2014 წელს, 57 კოოპერატივი – 2015 წელს, 76 კოოპერატივი – 2016 წელს, 23 კოოპერატივი – 2017 წელს. ეს განსხვავებები შეიძლება ასახულიყო კოოპერატივების ფინანსური მუშაობის მდგრადობაში. უკეთესად რომ გაგვევო, კოოპერატივები დავყავით შერჩევის წლების მიხედვით, რომელიც მათთვის ჩავთვალეთ საბაზისო წლად, სანამ ENPARD-ის პირდაპირი მოსარგებლეები გახდებოდნენ. შედეგები წარმოდგენილია მე-17 და მე-18 გრაფიკებზე.


მე-17 გრაფიკი გვიჩვენებს სხვადასხვა წლებში შერჩეული კოოპერატივების მიერ დროთა განმავლობაში წარმოებული პროდუქციის ღირებულებებს შორის სხვაობას. საინტერესოა, რომ 2015 წელს შერჩეულმა კოოპერატივებმა, რომელთაგან მხოლოდ რამდენიმე მუშაობდა თხილის სექტორში, გაზარდეს თავიანთი წარმოებული პროდუქციის საშუალო ღირებულება გასულ წელთან შედარებით, მაშინ, როცა 2014 და 2016 წლებში შერჩეული კოოპერატივების წარმოებული პროდუქციის ღირებულება შემცირდა. ამასთანავე, 2017 წელს შერჩეულ კოოპერატივებს აქვთ უფრო მაღალი წარმოებული პროდუქციის საშუალო ღირებულება სხვა კოოპერატივებთან შედარებით. ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ 2017 წელს შეირჩა უფრო ცოტა, მაგრამ უფრო დიდი კოოპერატივები.

გრაფიკი 17: წარმოებული პროდუქციის საშუალო ღირებულების განსხვავება კოოპერატივებში, რომლებიც სხვადასხვა წელს შეირჩნენ (2014-2017 წწ.)



საშუალო შემოსავალი და მოგება მიყვება წარმოებული პროდუქციის ღირებულების ტრენდს, მაგრამ საშუალო მოგება ძირითადად გაიზარდა 2017 წელს 2016 წელთან შედარებით, რაც არ არის თანხვედრაში საშუალო შემოსავალთან, რომელიც საშუალოდ ცოტათი შემცირდა ბოლო ორი წლის განმავლობაში. თუმცა, ისევ, როგორც წარმოებული პროდუქციის ღირებულების შემთხვევაში, 2017 წელს საშუალო შემოსავალი გაეზარდათ 2015 წელს შერჩეულ კოოპერატივებს.

გრაფიკი 18: საშუალო შემოსავალი და საშუალო მოგება სხვადასხვა წლებში შერჩეულ კოოპერატივებში (2014-2017 წწ.)




მარკეტინგი

2017 წელს 25 კოოპერატივმა გარჩეული და გაურჩეველი თხილი და თხილის ნაჭუჭი ანარმთა, ნანარმის ღირებულება 1.90 მლნ. ლარზე მეტი იყო. 52 კოოპერატივმა რვა სხვადასხვა სახის ფუტკრის პროდუქტი ანარმთა 1.60 მლნ. ლარზე მეტი ღირებულებით. მეორე მხრივ, 31 კოოპერატივმა კარტოფილი და სათესლე კარტოფილი ანარმთა ღირებულებით 1.57 მლნ. ლარი და 17 კოოპერატივმა შვიდი სხვადასხვა რძის პროდუქტი ანარმთა, რომელთა ღირებულებამაც 1.45 მლნ. ლარს მიაღწია. გარდა ამისა, მარცვლეულის 47 მნარმოებლის მიერ გამოშვებული პროდუქციის ღირებულება 1.36 მლნ. ლარს გაუტოლდა, იგივე ღირებულების ყურძნის, ღვინისა და არყის ნანარმი გამოუშვა მევენახეობის 23 კოოპერატივმა. სხვა სექტორებში წარმოებული პროდუქციის ღირებულებამ 1 მლნ. ლარის ნიშნულს ვერ მიაღწია.


ოთხნობიანი პერიოდის განმავლობაში, კოოპერატივები თავიანთ ბაზრებს აფართოვებდნენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, 2017 წელს კოოპერატივების პროდუქტები მაინც ძირითადად ადგილობრივ ბაზრებზე იყიდებოდა — 168 კოოპერატივს (64%) საკუთარი მუნიციპალიტეტის გარეთ მომხმარებელი არ ჰყოლია. დამაინც, 86 კოოპერატივმა (33%) ქვეყნის ბაზარი სრულად ან ნაწილობრივ აითვისა, 10 კოოპერატივმა (4%) კი თავისი ნანარმი ექსპორტზე გაიტანა. ღვინო, თხილი, ციტრუსი, მწვანელი პოპულარული საექსპორტო პროდუქტები იყო და ექსპორტის ქვეყნები ოთხ სხვადასხვა კონტინენტზე მდებარეობდა, მათ შორის იყვნენ ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის წევრი ქვეყნები, დსთ-ის ქვეყნები და ჩინეთი. ბაზრების შესახებ უფრო დეტალური ინფორმაცია მოცემულია მე-19 გრაფიკზე.

გრაფიკი 19: კოოპერატივების მიერ თავიანთი ნაწარმის გაყიდვის გეოგრაფიული არეალი



გემოთ აღნიშნულ ბაზრებზე შესაღწევად კოოპერატივები მრავალ, მაგრამ ძირითადად ერთსა და იმავე არხებს იყენებდნენ ამ წლების განმავლობაში. მე-20 გრაფიკზე მოცემულია დეტალური ინფორმაცია ამ არხების შესახებ. 2017 წელს გამოკითხული კოოპერატივების თითქმის ნახევარი პროდუქტებს პირდაპირ ადგილობრივებზე ან ფერმაზევე ჰყიდდა. კოოპერატივების დაახლოებით ორი მეხუთედი პროდუქციას ბითუმად მოვაჭრეების/შემგროვებლების/ექსპორტიორების მეშვეობით ჰყიდდა, კოოპერატივების 23% კი პროდუქციას ქალაქის მაღაზიებში ან სუპერმარკეტებში აბარებდა. რესპონდენტების 52%-მა განაცხადა, რომ პროდუქციის გაყიდვისას არავითარ პრობლემას არ შეჰახებიათ, თუმცა დანარჩენზე ფასის მერყეობამ (44 კოოპ.), წარმოების ცუდმა ხარისხმა, ნაწარმის არასაკმარისმა რაოდენობამ (39 კოოპ.), ბაზარზე წვდომამ (31 კოოპ.), მოსავლის აღების შემდგომი მომსახურების არარსებობამ (25 კოოპ.) ან სხვა სახის პრობლემებმა (12 კოოპ.) უაყოფითად იმოქმედა.

გრაფიკი 20: კოოპერატივების ნაწარმის რეალიზაციის არხები 2017 წელს



2017 წელს, გაყიდვის ან წარმოების პროცესის გასამართივებლად, 46 კოოპერატივმა 37 ახალი მოკლევადიანი კონტრაქტი გააფორმა მომხმარებელთან და 26 ახალი კონტრაქტი (25 მოკლევადიანი და ერთი ერთჯერადი) - მიმწოდებლებთან. გარდა ამისა, 2017 წელს 17 კოოპერატივს ჰქონდა სხვადასხვა სერტიფიკატი, 87 კოოპერატივი კი გეგმავდა სერტიფიკატების მოპოვებას.

წარმოების მოცულობა

კოოპერატივების მიერ წარმოებული და/ან გადამამუშავებული პროდუქტების დინამიკის გამოსავლენად, ჩვენ ხუთი მთავარი პროდუქტი გავანალიზეთ და მათი ჯამური მოცულობა საქართველოს იმავე პროდუქტების ჯამური გამოშვების მოცულობებს შევადარეთ. ეს უკანასკნელი მონაცემები საქსტატმა მოგვანოდა (იხ. მე-3 ცხრილი).

2017 წელს ENPARD-ის მიერ მხარდაჭერილმა კოოპერატივებმა თითქმის 100 ტონა თაფლი აწარმოეს. მიუხედავად იმისა, რომ 2017 წელს საქართველოს მთლიანი გამოშვების შესახებ მონაცემები ჯერ არ არის ხელმისაწვდომი, გამოკითხული კოოპერატივების მიერ წარმოებულმა თაფლმა საქართველოს 2016 წლის მთლიანი გამოშვების 3.4% შეადგინა.

კარტოფილის კოოპერატივებისთვის 2017 წელი კარგი არ აღმოჩნდა. მათი ნაწარმი თითქმის განახევრდა 2016 წელთან შედარებით. 2016 წელს კოოპერატივების მიერ წარმოებული კარტოფილის მთლიანმა მოცულობამ საქართველოს გამოშვების დაახლოებით 2% შეადგინა.

ცხრილი 3: ENPARD-ის მხარდაჭერილი კოოპერატივების მიერ წარმოებული ძირითადი პროდუქტების მოცულობები და ამ მოცულობების წილი საქართველოში შესაბამისი პროდუქტების წარმოების მთლიან მოცულობაში

წელი	2014		2015		2016		2017	
პროდუქტი	კოოპერატივების მიერ წარმოებული მთლიანი მოცულობა (ტ.)	წილი საქართველოს მთლიან წარმოებაში (%)*	კოოპერატივების მიერ წარმოებული მთლიანი მოცულობა (ტ.)	წილი საქართველოს მთლიან წარმოებაში (%)*	კოოპერატივების მიერ წარმოებული მთლიანი მოცულობა (ტ.)	წილი საქართველოს მთლიან წარმოებაში (%)*	კოოპერატივების მიერ წარმოებული მთლიანი მოცულობა (ტ.)	წილი საქართველოს მთლიან წარმოებაში (%)*
თაფლი	24	1.25%	55	2.75%	72	3.4%	97	--
კარტოფილი	453	0.21%	1815	0.97%	4643	1.86%	2796	--
ბოსტნეული (გარდა კარტოფილისა)	79	0.05%	167	0.11%	553	0.39%	507	--
თხილი (ნაჭუჭიანი)	256	0.76%	322	0.91%	681	2.31%	618	--
სიმინდი	683	0.23%	969	0.52%	1830	0.75%	1607	--


*საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით; ** 2017 წლის მონაცემები ჯერ არ არის ხელმისაწვდომი.

ურთიერთობა ნედლეულის და მომსახურების ადგილობრივ მიმწოდებლებთან

ამ ქვეთავში წარმოდგენილი 21-ე გრაფიკი იძლევა ინფორმაციას გამოკითხული კოოპერატივების მიერ სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ ინსტიტუტებსა და სააგენტოებთან თანამშრომლობის სიხშირესა და ხარისხზე. მონაცემების მიხედვით, ოთხნობიან პერიოდში კოოპერატივები ყველაზე მეტად ENPARD-ის განმახორციელებელ ორგანიზაციებთან თანამშრომლობდნენ, ადგილობრივ ფერმერებთან თანამშრომლობა უფრო მნიშვნელოვანი 2016 წელს გახდა და ჩაანაცვლა სოფლის მეურნეობის სამინისტროს მუნიციპალური საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრებთან თანამშრომლობა. ხარისხის თვალსაზრისით, წამყვანი ადგილი კვლავ ENPARD-ის განმახორციელებელ ორგანიზაციებს ეჭირათ, ადგილობრივ და არაადგილობრივ ფერმერებთან თანამშრომლობის ხარისხი კი კოოპერატივების წევრებისთვის ძალიან დამაკმაყოფილებელი იყო. ხარისხის და სიხშირის

მხრივ ყველაზე ნაკლებად პოპულარული პარტნიორი რეგიონული ხელისუფლება იყო, თუმცა ოთხნობიანი პერიოდში მათთან თანამშრომლობის ხარისხიც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო, როგორც მთავარი სახელმწიფო ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებზე, აქტიურადაა ჩართული პროცესებში, მაგრამ თანამშრომლობის სიხშირე სააგენტოსა და ENPARD-ის დაფინანსებულ კოოპერატივებს შორის მცირდება და განვლილი ოთხი წლის განმავლობაში. თუმცა თანამშრომლობის ხარისხი თითქმის უცვლელი დარჩა.


გრაფიკი 21: ინსტიტუტებთან/სააგენტოებთან თანამშრომლობის სიხშირე და ხარისხი



შემაჯარხი ფაქტორები


გამოკითხვის ოთხნობიანი პერიოდის განმავლობაში, კოოპერატივების საქმიანობაზე სხვადასხვა ფაქტორმა იმოქმედა უარყოფითად. კოოპერატივებისთვის ყველაზე დიდი ინფრასტრუქტურული პრობლემა იყო გზები. მიუხედავად იმისა, რომ მდგომარეობა სტაბილურად უმჯობესდებოდა, 2017 წელს ათი კოოპერატივიდან სამი ცუდი ხარისხის გზებს უჩიოდა. მუდმივი გაუმჯობესება შეინიშნებოდა მელიორაციის სისტემებში (ირიგაცია და დრენაჟი); 2017 წელს კოოპერატივების დაახლოებით 20% ირიგაციასა და დრენაჟთან დაკავშირებულ პრობლემებს აწყდებოდა, 2014 წელს კი ასეთი კოოპერატივების წილი 34% იყო. ყველაზე მკვეთრად კომუნიკაციები გაუმჯობესდა, 2014 წელს კომუნიკაციები სიდიდით მესამე ინფრასტრუქტურული პრობლემა იყო, დროთა განმავლობაში ის ყველაზე ნაკლებად მწვავე პრობლემად იქცა. ამ თემაზე უფრო დეტალური ინფორმაცია მოცემულია 22-ე გრაფიკზე.

გრაფიკი 22: კოოპერატივების საქმიანობაზე მოქმედი ინფრასტრუქტურა



რაც შეეხება კოოპერატივების განვითარების შემაფერხებელ ფაქტორებს, ოთხნობიანი პერიოდში ყველაზე მწვავე საკითხად ფინანსებზე წვდომა დასახელდა. მიუხედავად იმისა, რომ სიტუაცია წლიდან წლამდე უმჯობესდება, ფინანსებზე წვდომა კვლავ ყველაზე დიდ დაბრკოლებად რჩება (2017 წლის არასახარბიელო ამინდის ფონზეც კი). განვლილი ოთხი წლის მანძილზე დადებითი ტენდენცია ჰქონდა აქტივებზე, ნედლეულსა და ინფორმაციაზე შეზღუდულ წვდომას, ისევე, როგორც მთავრობის რეგულაციებით გამოწვეულ შეზღუდვებს. ბაზრებზე შეზღუდული წვდომა და არაკვალიფიციური მუშახელის პრობლემა თითქმის უცვლელია. 2017 წელს გამწვავდა დაავადებებისა და მავნებლების, როგორც კოოპერატივების განვითარების შემაფერხებელი ფაქტორების პრობლემა. ამ თემაზე უფრო დეტალური ინფორმაცია მოცემულია 23-ე გრაფიკზე.

გრაფიკი 23: კოოპერატივების განვითარების შემაფარებული ფაქტორები



დამატებითი ინფორმაცია

გარდა ENPARD-ის და კოოპერატივების წევრების მიერ ჩადებული 18 მილიონი ლარის ინვესტიციისა, ოთხწლიან პერიოდში კოოპერატივებმა დამატებით 8 მილიონი ლარის ინვესტიცია მოიზიდეს. ეს ინვესტიციები სხვადასხვა წყაროდან მოვიდა: კოოპერატივის წევრებისგან, სამთავრობო პროგრამებიდან, სესხებით და დონორების პროგრამებიდან (გარდა ENPARD-ისა).



ამ ოთხი წლის მანძილზე დამატებითი ინვესტიციები იზრდებოდა, როგორც ჯამური (2014 წელს – 0.2 მლნ. ლარი, 2017 წელს კი – 4.1 მლნ. ლარი), ისე საშუალო მაჩვენებლების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ 2017 წელს ოთხი კოოპერატივიდან ერთი დამატებით დაფინანსებას იღებდა რაიმე ფორმით; დაბოლოს, მხოლოდ ორი ასოცირებული წევრისგან მიღებულმა ინვესტიციამ 60 000 ლარზე მეტი შეადგინა.

კოოპერატივებისთვის ინვესტიციების ყველაზე მთავარი არასამთავრობო წყარო იყო წევრებიდან მიღებული დამატებითი ინვესტიციები (ან რეინსვესტირება) (2017 წელს ასეთი 34 შემთხვევა იყო). ამას მოსდევს საფინანსო ინსტიტუტების მიერ გაცემული რეგულარული კრედიტები (14 შემთხვევა 2017 წელს) და კოოპერატივში გაერთიანებული ახალი წევრების მიერ ინვესტირებული ფინანსები (19 შემთხვევა 2017 წელს). არასამთავრობო ორგანიზაციებიდან მიღებულ გრანტებსა და ასოცირებული წევრების მიერ ჩადებულ ინვესტიციებს (2 შემთხვევა 2017 წელს) ძალიან მცირე წილი უკავია.

სახელმწიფო წყაროებიდან მიღებული დამატებითი ინვესტიციების რაოდენობა გაიზარდა განვლილ ოთხ წელიწადში და სულ უფრო მეტი კოოპერატივი სარგებლობდა სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოსა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს პროგრამებით, რომლებიც მოიცავს შეღავათიან აგროსესხებს (იაფი სესხი, რომლითაც 2017 წელს 10 კოოპერატივმა ისარგებლა), მეფუტკრე კოოპერატივების მხარდაჭერას (2017 წელს ისარგებლა 6 კოოპერატივმა), ანარმეო საქართველოში (2017 წელს ისარგებლა 3 კოოპერატივმა), დარგე მომავალი (2017 წელს ისარგებლა 2 კოოპერატივმა),

მევენახე კოოპერატივების (2017 წელს ისარგებლა 2 კოოპერატივმა) და რძის მწარმოებელი კოოპერატივების (2017 წელს ისარგებლა 2 კოოპერატივმა) მხარდაჭერა. თუმცა ბენეფიციარების რიცხვი მოკრძალებულია ENPARD-ის კოოპერატივების რაოდენობასთან შედარებით.


გრაფიკი 24: დამატებითი ინვესტიციები არასამთავრობო და სამთავრობო წყაროებიდან



თანამშრომლობიდან მიღებული სარგებელი

განვითარების ოთხწლიანი პერიოდის განმავლობაში, თანამშრომლობამ სხვადასხვა სახის სარგებელი მოუტანა კოოპერატივებს. თუმცა მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი მუდამ იყო მანქანა-დანადგარების ერთობლივად შესყიდვით და გამოყენებით მიღებული სარგებელი. მეორე მხრივ, რაც უფრო მეტ კოოპერატივს მიუწვდება ხელი თავიანთი ნაწარმის მოსავლის შემდგომ დამუშავებაზე (ან თავად შეუძლიათ ამ ეტაპის უზრუნველყოფა), მით უფრო იზრდება მოსავლის შემდგომ ეტაპზე ერთად მუშაობით მიღებული სარგებელიც. სამაგიეროდ, ნედლეულის ერთობლივად შესყიდვამ შედარებით დაკარგა მნიშვნელობა, მას წინ უსწრებს ცოდნითა და კონტაქტების დამყარებით მიღებული სარგებელი. ამ უკანასკნელის შედარებითი მნიშვნელობა ბოლო ოთხ წელიწადში გაორმაგდა, რაც იმის ნიშანია, რომ კოოპერატივში დაგროვილი გამოცდილება გარკვეული დროის შემდეგ ნაყოფს იძლევა. ამ თემაზე უფრო დეტალური ინფორმაცია მოცემულია 25-ე გრაფიკზე.

გრაფიკი 25: კოოპერაციიდან მიღებული სარგებელი



ზომისა და დარგის გავლენა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საქმიანობაზე

ამჟამად საქართველოს მთავრობა ცდილობს, ხელი შეუწყოს კოოპერატივებში წევრების რაოდენობის ზრდას. გარდა ამისა, სახელმწიფო სოფლის მეურნეობის ზოგიერთ ქვედარგს მეტად ეხმარება — სპეციალური პროგრამებია რძის პროდუქტების, მეფუტკრე, თხილისა და ღვინის მწარმოებელი კოოპერატივებისთვის (ACDA, 2017 წ.). ამ ანალიზის მიზანია, გამოავლინოს, აქვს თუ არა მნიშვნელოვანი გავლენა ზომასა და სექტორს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ფინანსურ შედეგებზე. ჩვენ მიერ გამოყენებული მეთოდოლოგია ლერმანის და პარლამენტის კვლევებს (1991 წ.) ეფუძნება, თუმცა მეთოდოლოგიაში გარკვეული ცვლილებები შევიტანეთ, რათა გაგვეთვალისწინებინა ის შეზღუდვები, რაც ამ კვლევის მონაცემებს ახლავს.

მონაცემები და მეთოდოლოგია

კოოპერატივები იქმნება იმისათვის, რომ მომსახურება მიანოდოს კოოპერატივის წევრებს და რეალურად აქცენტი არ კეთდება ინვესტიციაზე მიღებულ ამონაგებზე; თუმცა კოოპერატივის საქმიანობის საუკეთესო საზომი მაინც ფინანსური მაჩვენებლებია, რადგან არ არსებობს კოოპერატივების საქმიანობის გლობალურად აღიარებული საზომი. ეს ანალიზი კოოპერატივებს ბიზნეს ერთეულებად განიხილავს და არ ასახავს კოოპერატივების წევრების მიერ მიღებულ შესაძლო დამატებით სარგებელს.

კოოპერატივების ფინანსური შედეგების გასაზომად, ჩვენ გამოვთვალეთ ფინანსური მაჩვენებლები, რომლებიც ეფექტიანობასა და მომგებიანობას ზომავს.²² ეფექტიანობის გასაზომად გამოვიყენეთ მაჩვენებელი — შემოსავალი აქტივებზე, ხოლო მომგებიანობის გასაზომად გამოვიყენეთ ფარდობა — ამონაგები აქტივებზე (იხ. მე-4 ცხრილი). შემოსავალი აქტივებზე ზომავს, როგორ იყენებს კოოპერატივი აქტივებს შემოსავლების მისაღებად. ამონაგები აქტივებზე ზომავს, რა მოგებას იღებს კოოპერატივი თავისი აქტივებით.

ცხრილი 4: გამოყენებული მაჩვენებლები

შეფასების კრიტერიუმი	ინდექსი	განმარტება
ეფექტიანობა	შემოსავალი აქტივებზე	მთლიანი შემოსავალი / აქტივების მთლიანი ღირებულება
მომგებიანობა	ამონაგები აქტივებზე (ROA)	წმინდა მოგება / აქტივების მთლიანი ღირებულება


ყველა კოოპერატივი, რომელმაც ENPARD-ის პროექტიდან დახმარება (ფინანსური თუ ტექნიკური) მიიღო, არ იყო ჩვენი ანალიზისთვის გამოსადეგი, რადგან რიგი კოოპერატივების შემთხვევაში არ არსებობდა ფინანსურ შედეგებზე მონაცემები (ძირითადად იმიტომ, რომ კოოპერატივები ახალი შექმნილი იყო). ჩვენ 2014-2017 წლების საშუალო რიცხვები გამოვიყენეთ, რათა ოთხი წლის მანძილზე კოოპერატივების საქმიანობა შეგვეფასებინა. დაკვირვების ყოველი წლისთვის, გამოვთვალეთ ორივე ფინანსური მაჩვენებლის მედიანა (რადგან ის უფრო მედეგია კიდურა წევრების მიმართ) ზომით და დარგობრივ კატეგორიებში.

ზომის ანალიზისთვის გამოვიყენეთ იმ 260 კოოპერატივის მონაცემები, რომლებზეც 2014-2017

²² ამ ორი კრიტერიუმის გარდა, ლერმანმა და პარლამენტმა (1991 წ.) გაზომეს ლევერიჯის და ლიკვიდურობის მაჩვენებლები სესხი/კაპიტალის თანაფარდობითა და სწრაფი ფარდობებით. სამწუხაროდ, ჩვენ ხელთ არსებულმა მონაცემებმა არ მოგვცა ამ მაჩვენებლების გამოთვლის საშუალება და მხოლოდ ეფექტიანობისა და მომგებიანობის მაჩვენებლებს დავყვრდენით.

ნლებში სულ მცირე ერთი დაკვირვება მაინც არსებობდა. აქტივების ღირებულების მიხედვით, კოოპერატივები ორად დავაჯგუფეთ: 'პატარა' (კოოპერატივების შერჩევითი ერთობლიობის 89%) და 'დიდი' (შერჩევითი ერთობლიობის 11%) ჯგუფებად. გამყოფ ზღვრად გამოვიყენეთ მთლიანი აქტივების საშუალო ღირებულება, რომელიც აგლომერაციული კლასტერული ანალიზით გამოვთვალეთ. ამ ანალიზის მიხედვით, ამ ორ ჯგუფს შორის ზღვარი 345 000 ლარი იყო (იხ. 26-ე გრაფიკი).

გრაფიკი 26: აქტივების საშუალო ღირებულების განაწილება




გარდა ამისა, ჩვენ ეს კოოპერატივები „პატარა“ და „დიდი“ კატეგორიებად დავაჯგუფეთ მათი წევრების რაოდენობის მიხედვით, რაც აგლომერაციული/ინტეგრალური კლასტერული ანალიზით გაკეთდა. აქ ზღვარი გავიდა 10 და 11 წევრს შორის, რაც იმას ნიშნავს, რომ კოოპერატივები, რომლებსაც 10 ან ნაკლები წევრი ჰყავდათ, „პატარებად“ ჩაითვალა (ერთობლიობის 67%), ხოლო კოოპერატივები, რომლებსაც 11 ან მეტი წევრი ჰყავდათ – „დიდებად“ (ერთობლიობის 33%).


სექტორული ანალიზისას დავაკვირდით მხოლოდ მთავარ სექტორებს, სადაც კოოპერატივები არიან ჩართულები. მათ შორის არის სოფლის მეურნეობის რვა ქვედარგი: მეფუტკრეობა (48 კოოპ.), მარცვლეული (25 კოოპ.), კარტოფილი (21 კოოპ.), თხილი (20 კოოპ.), მევენახეობა (20 კოოპ.), ბოსტნეული (18 კოოპ.), რძის პროდუქტები (17 კოოპ.) და კენკრა (16 კოოპ.). დანარჩენი კოოპერატივები ჩართული იყვნენ სხვადასხვა ქვედარგში, რომლებიც ანალიზის ამ ნაწილში არ შევიტანეთ, რადგან დაკვირვებების რაოდენობა მცირე იყო.

ანალიზში გამოვიყენეთ არაპარამეტრული კრუსკალ-უოლისის ტესტი, რომელიც ავლენს „სექტორისა და ზომის კატეგორიებში არსებით განსხვავებებს“ (ლერმანი და პარლამენტი, 1991 წ.). გარდა ამისა, ჩვენ თავად სექტორებში ჩავატარეთ ზომის ანალიზი და თითოეულ სექტორში კოოპერატივები დავყავით „პატარა“ და „დიდი“ კოოპერატივებად მათი აქტივების ღირებულებისა და წევრების რაოდენობის მიხედვით, რათა გვეჩვენებინა, განსხვავდებოდა თუ არა არსებითად მათი ფინანსური შედეგები ერთმანეთისგან. თითოეულ სექტორში კოოპერატივების პატარა და დიდ ჯგუფებში (აქტივების ღირებულებისა და წევრების რაოდენობის მიხედვით) განაწილების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია 27-ე და 28-ე გრაფიკებზე.

გრაფიკი 27: კოოპერატივების განაწილება დარგისა და ზომის (აქტივების ღირებულება) მიხედვით



გრაფიკი 28: კოოპერატივების განაწილება დარგისა და ზომის (წევრების რაოდენობის) მიხედვით



ზომის უჯრეტი

„პატარა“ და „დიდი“ კოოპერატივებში ზომის ეფექტი არსებითი აღმოჩნდა, როდესაც მთელი ერთობლიობა აქტივების ღირებულების მიხედვით დაჯგუფდა (იხ. მე-5 ცხრილი). ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ „პატარა“ კოოპერატივებს „დიდზე“ უკეთესი შედეგები ჰქონდათ, როგორც ეფექტიანობის, ისე მომგებიანობის მიხედვით. შედეგები სტატისტიკურად მნიშვნელოვანია 5%-იან მნიშვნელოვნების დონეზე.

ამ ანალიზზე დაყრდნობით, ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ „პატარა კომპანიის ეფექტი“ მომგებიანობის შემთხვევაშიც მუშაობს – პატარა კოოპერატივები დიდ კოოპერატივებზე უფრო მომგებიანები არიან. ეს დაკვირვება ლერმანის და პარლამენტის (1991 წ.) დაკვირვებასთან თანხვედრაშია; თუმცა დაკვირვება, რომ პატარა კოოპერატივები დიდებზე უფრო ეფექტიანები არიან, არ შეესაბამება ლერმანის და პარლამენტის (1991 წ.) დასკვნებს. მათ აღმოაჩინეს, რომ დიდი კოოპერატივები უფრო ეფექტიანები არიან, რადგან ისინი მასშტაბის ეკონომიით სარგებლობენ.

ეს შეუსაბამობა შესაძლოა იმით აიხსნას, რომ საქართველოში დიდი კოოპერატივები ჯერ კიდევ სრულად ვერ იყენებენ თავიანთ აქტივებს, რათა გაყიდვები დააგენერირონ და ამ კუთხით შედეგების გაუმჯობესება შესაძლებელია.

მე-6 ცხრილში წარმოდგენილია წევრების რაოდენობის მიხედვით დაჯგუფებული „პატარა“ და „დიდი“ კოოპერატივების შედარების შედეგები. ამ შემთხვევაში, ჯგუფებს შორის განსხვავება არააარსებითია; თუმცა, საშუალო ქულების მიხედვით, „პატარა“ (11 წევრზე ნაკლები) კოოპერატივები უფრო ეფექტიანები და მომგებიანები არიან.

ცხრილი 5: შედეგები — ზომის ეფექტი, აქტივების მიხედვით

როგორც კრუსკალ-უოლისის კოოპერატივების საშუალო ფინანსური მახასიათებლების შესახებ კოოპერატივის ზომის მიხედვით					
		საშუალო ქულა		ბი-კვადრატ სტატისტიკა	ალბათობა > ბი- კვადრატი
		პატარა	დიდი		
ეფექტიანობა	აქტივების შემოსავლიანობა	6.5	2.5	5.333	0.0209*
მომგებიანობა	ამონაგები აქტივებზე	6.5	2.5	5.333	0.0209*

* მნიშვნელოვანია მნიშვნელოვნების 5%-იანი დონისთვის კრუსკალ-უოლისის

ცხრილი 6: შედეგები — ზომის ეფექტი, წევრების რაოდენობის მიხედვით

როგორც კრუსკალ-უოლისის ტესტი კოოპერატივების საშუალო ფინანსური მახასიათებლების შესახებ კოოპერატივის ზომის მიხედვით					
		საშუალო ქულა		ბი-კვადრატ სტატისტიკა	ალბათობა > ბი- კვადრატი
		პატარა	დიდი		
ეფექტიანობა	შემოსავლიანობა წევრებზე	5.25	3.75	0.750	0.3865
მომგებიანობა	ამონაგები წევრებზე	5.75	3.25	2.083	0.1489

სექტორის ეფექტი

სექტორის ეფექტის გამოსავლენად, მე-7 ცხრილში მოცემულია რვა სექტორის ანალიზის შედეგები. ორივე ფინანსური მაჩვენებლისთვის შედეგები სტატისტიკურად მნიშვნელოვანია მნიშვნელოვნების 5%-იან დონეზე. ეფექტიანობის თვალსაზრისით, სამი წამყვანი დარგია კარტოფილი, მეფუტკრეობა და ბოსტნეული. მეორე მხრივ, კენკრის, თხილისა და მევენახე-მელვინე კოოპერატივებს ყველაზე ცუდი შედეგები ჰქონდათ. ამ სექტორებში არიან კოოპერატივები, რომლებმაც სათბურების მშენებლობაში ჩადეს ინვესტიცია და კენკრის ახალი სახეობების (მარწყვი, მაყვალი, მოცვი) მოყვანა დაიწყეს, განავითარეს გადამამუშავებელი ხაზები (თხილი) და გააფართოვეს ვენახები და/ან დაიწყეს ღვინის ბოთლებში ჩამოსხმა და შენახვა (მევენახეობა), შესაბამისად, ისინი ჯერ სრულად არ იყენებენ თავიანთ აქტივებს შემოსავლების მისაღებად. შუაში მოექცენ რძის პროდუქტების და მარცვლეულის მწარმოებელი კოოპერატივები.

მომგებიანობის თვალსაზრისით, წამყვანი ქვედარგებია მეფუტკრეობა, ბოსტნეული და რძის პროდუქტების წარმოება. როგორც ჩანს, მათი ამონაგები აქტივებზე მეტია, ვიდრე კენკრის, თხილის და მარცვლეულის ღირებულებათა ჯაჭვებში, სადაც ყველაზე დაბალი იყო აქტივებზე ამონაგები. კარტოფილის წარმოება და მევენახეობა შუაში მოექცა.

გარდა ზოგადი სექტორული ანალიზისა, ჩვენ თითოეულ სექტორშიც ჩავატარეთ ზომის ეფექტის ანალიზი. შედეგები აჩვენებს, რომ სექტორების უმეტესობაში სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება არ არსებობს, გამონაკლისია თბილისა და კარტოფილის კოოპერატივები, სადაც აღსანიშნავი შედეგები მივიღეთ. თბილის შემთხვევაში, აღმოჩნდა, რომ დიდი კოოპერატივები (აქტივების ღირებულება არანაკლებ 245,000 ლარისა) უფრო ეფექტიანები არიან, ვიდრე პატარა კოოპერატივები. კარტოფილის შემთხვევაში, დიდი კოოპერატივები (10-ზე მეტი წევრით) უფრო ეფექტიანები და მომგებიანები არიან, ვიდრე პატარა კოოპერატივები.

ცხრილი 7: შედეგები — სექტორის ეფექტი

როგორც კრუსკალ-უოლისის კოოპერატივების საშუალო ფინანსური მახასიათებლების შესახებ კოოპერატივის ოპერირების სექტორის მიხედვით											
		საშუალო ქულა								ბი-კვადრატ სტატისტიკა	P > ბი-კვადრატი
		მეფუტკრეობა	კენკრა	მარცვლეული კულტურები	რძის პროდუქტები	თხილი	კარტოფილი	ბოსტნეული	მევენახეობა		
ეფექტი-ანობა	შემოსავლიანობა	23	4.75	16.5	16.75	9	28	20.5	13.5	17.907	0.0124 **
მომგებიანობა	ამონაგები	26.75	7.75	12.75	18.75	10.25	17.75	24.75	13.25	14.599	0.0415 **

* მნიშვნელოვანია მნიშვნელოვნების 5%-იანი დონისთვის კრუსკალ-უოლისის.

დასკვნა

ქართულ კოოპერატივებში ერთ-ერთი მკაფიო ტენდენციაა წევრებისა და აქტივების ზრდა. გარკვეული ემპირიული მტკიცებულება ადასტურებს, რომ დიდი კოოპერატივები მასშტაბის ეკონომიის მეშვეობით ეფექტიანობას იუმჯობესებენ. მიუხედავად ამისა, საქართველოში ეს არ დასტურდება ამ კვლევის შედეგებით. ეს შესაძლოა იმაზე მიგვანიშნებდეს, რომ უკვე არსებულ კოოპერატივში წევრების და აქტივების რაოდენობის ზრდით მიღებულ სარგებელს გადაჭარბებული მნიშვნელობა ენიჭება. ეს შესაძლოა ნიშანია კოოპერატივებისთვის, რომ ისინი ბუნებრივად, ქვემოდან-ზემოთ მიდგომით უნდა გაიზარდონ.

დამატებით, ამ კვლევაში გამოვლენილი სექტორის ეფექტი ცხადი დასკვნების გაკეთების საშუალებას არ იძლევა: რვა ქვედარგის შეფასების შემდეგ, მხოლოდ კარტოფილისა და თხილის ქვედარგებში დადასტურდა, რომ დიდ კოოპერატივებს უკეთესი შედეგები აქვთ. თხილის და კარტოფილის კოოპერატივების წევრები ძირითადად სერვისის და დამატებული ღირებულების შექმნის დონეზე თანამშრომლობენ, მასშტაბის ეკონომიასა და გაერთიანებულ სავაჭრო ძალაუფლებას კი ღირებულებათა ჯაჭვის აღმავალ ან დაღმავალ ნაკადში იყენებენ. შესაბამისად, უკეთესი იქნება, აქცენტი სერვისის კოოპერატივების და ღირებულების ჯაჭვის განვითარებაზე გაკეთდეს; თუმცა აუცილებელია, წევრები კარგად იცნობდნენ კოოპერატივის ორგანიზაციულ სტრუქტურას, მის მენეჯმენტს და კარგად ესმოდეთ, რა სარგებელს მიიღებენ თანამშრომლობით.

დასკვის სახით შეიძლება ითქვას, რომ, ჩვენი რეკომენდაციაა შემდგომი კვლევის ჩატარება, კოოპერატივების და ინვესტორის მფლობელობაში მყოფი კომპანიების შედარება, რათა გამოვლინდეს სექტორისა და კოოპერატივისთვის დამახასიათებელი თავისებურებები. ამ ეტაპზე, კოოპერატივები ჯერ კიდევ ჩანასახოვან მდგომარეობაში არიან და მცირე ჯგუფების მართვაც კი უჭირთ, საქმე ბევრად გართულდება დიდი კოოპერატივების შემთხვევაში. უფრო დიდ კოოპერატივებს, შესაძლოა, აგრობიზნესის გამოცდილი მენეჯერების დაქირავება მოუწიოთ, რომ მართვის გამოწვევებს გაუმკლავდნენ, და მასშტაბის ეკონომიითა და მეტი სავაჭრო ძალაუფლებით გააუმჯობესონ ეფექტიანობა და მომგებიანობა.

მსჯელობა

დღეს საქართველოს სოფლის მეურნეობა კომპლექსური პრობლემების წინაშე დგას. კოოპერატივების განვითარება არის ამ პრობლემების გადაჭრის ერთ-ერთი, თუმცა არა ერთადერთი გზა (კოოპერაცია პანაცეა არ არის). სწორი კოოპერაცია სასარგებლოა ძირითადად მცირე და ზოგ შემთხვევებში საშუალო ზომის ფერმერებისათვის, რომელთა რიცხვი, სამწუხაროდ, საქართველოში ძალიან დიდია. ეს იყო ძირითადი მიზეზი, რის გამოც დაიწყო ეს პროგრამა და მას თავიდანვე ეწოდებოდა საპილოტე, რამდენადაც ევროკავშირმა, რომელსაც კოოპერაციის დიდი გამოცდილება აქვს, იცოდა, რომ ამ მოდელს სჭირდებოდა ქართულ რეალობაში გამოცდა.

ENPARD-ის მიერ მხარდაჭერილი კოოპერატივების შედეგის დადგენაზე ჯერ კიდევ ადრეა საუბარი რამდენიმე მიზეზის გამო, ერთი რომ სოფლის მეურნეობაში შედეგის დადგენა დროს მოითხოვს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ერთიანად არ მომხდარა ამ კოოპერატივების არც დარეგისტრირება და არც მხარდაჭერა, ეს ხდებოდა ეტაპობრივად და, ზოგი კოოპერატივი თუ 4 წლისაა, ზოგი მხოლოდ 2017 წელს დარეგისტრირდა და ჯერ კიდევ დამწყებები/სტარტაპები არიან. მეორე მიზეზი პირველთან არის კავშირში: სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარება ოთხი წლის წინ დაიწყო, რაც „ახალი ხილია“ ქართველი ფერმერებისათვის და მისი უპირატესობებისა თუ ნაკლოვანებების გათვალისწინებით დრო და გამოცდილება სჭირდება. ამასთანავე, სოფლის მეურნეობა არის დარგი, რომელიც ყველაზე მეტად არის დამოკიდებული ამინდზე, რაც იწვევს წარმოებული პროდუქციის ხარისხისა და რაოდენობის ცვალებადობას, რაც, თავის მხრივ, აისახება ამ დარგიდან მიღებულ შემოსავლებზე. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ამ ეტაპზე მხოლოდ კოოპერატივების განვითარების ტენდენციებზე შეგვიძლია საუბარი.

ფინანსურ მაჩვენებლებს თუ შევხედავთ და გავითვალისწინებთ 281 კოოპერატივის შემოსავლებს შორის სხვაობას, რაც ინდიკატორების მინიმალურ და მაქსიმალურ მნიშვნელობებს შორის დიდ სხვაობაში გამოიხატება, დავინახავთ, რომ ბოლო ოთხი წლის განმავლობაში წარმოებული პროდუქციის ღირებულების მედიაწერი საშუალოს მაჩვენებელი უწყვეტად იზრდება, რაც გვეუბნება, რომ მცირე ბრუნვის მქონე კოოპერატივები განაგრძობენ მათ მიერ შექმნილი პროდუქციის ღირებულების ზრდას.

მართალია, კოოპერატივების უმეტესობას დადებითი ფინანსური მაჩვენებლები აქვს, მაგრამ არიან კოოპერატივები, რომლებიც გარკვეული მიზეზების გამო ზარალზე გადიან ზოგიერთი წელი. 2017 წელს მეთხილეობის კოოპერატივებს აზიური ფაროსანას ეპიდემიისა და სხვადასხვა დაავადების გავრცელების გამო საკმაოდ ცუდი მაჩვენებლები ჰქონდათ, რამაც ფაქტიურად დიდი გავლენა იქონია გამოკითხული კოოპერატივების (და, ზოგადად, ქართული სოფლის მეურნეობის) საერთო მაჩვენებლებზე.²³ სხვა სექტორებშიც არის რიგი ჩავარდნები, რაც ზოგ შემთხვევაში ე.წ. „აგრარული წლიდან“ არის გამომდინარე და რიგ შემთხვევებში გამოუცდელობიდან, ეს განსაკუთრებით იმ კოოპერატივებს ეხება, რომლებმაც ახალი კულტურების წარმოება²⁴ დაიწყეს. ზოგადად, განვლილ წლებს თუ შევხედავთ, ტენდენცია გაუმჯობესებისკენ არის შეცვლილი, თუმცა აქ ხაზი უნდა გაესვას ENPARD-ის პროექტის მხარდაჭერას, რომელიც 2017 წლის ბოლოს დასრულდა, რის შემდეგაც კოოპერატივებს მოუწევთ, საკუთარი ძალისხმევით გააგრძელონ მუშაობა, რაც რეალურად დაგვანახებს მომავალში მათ მდგრადობას.

რაც შეეხება კოოპერატივების მდგრადობასა და სიცოცხლისუნარიანობას, დღეს სწორედ ეს არის მთავარი კითხვა, რასაც ყველა დაინტერესებული მხარე სვამს. პასუხის გასაგებად კი

23 იხილეთ: გელაშვილი, ს. და კაცია, ი. (20 ნოემბერი, 2017 წ.). აზიური შემოსევა: მყარალი ხოჭო საქართველოში. ISET-ეკონომისტის ბლოგი. (<http://iset-pi.ge/index.php/ka/iset-economist-blog/entry/2017-11-27-16-24-04>), წყარო ნანახია 2017 წლის დეკემბერში.

24 იხილეთ: კოჭლამაზაშვილი, ი., ლივნი, ე. და ჟორჟოლიანი, დ. (24 ოქტომბერი 2016 წ.). უმოკლესი გზა მარწყვის პლანტაციისკენ ყოველთვის ტკბილი როდია. ISET-ეკონომისტის ბლოგი. (<http://iset-pi.ge/index.php/ka/iset-economist-blog/entry/2016-11-02-09-38-35>), წყარო ნანახია 2017 წლის დეკემბერში.

ოთხი ძირითადი ფაქტორია მნიშვნელოვანი, რაც კოოპერატივების მდგრადობაზე მოქმედებს (მსოფლიო პრაქტიკიდან გამომდინარე), ესენია:

1) ლიდერობა და კოოპერატივის მართვა. კასუნგვას და მორონგის (2016 წ.) უახლესი კვლევის თანახმად, „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მდგრადობაზე ყველაზე დადებითი გავლენა აქვს მენეჯერულ უნარ-ჩვევებს“. გარდა ამისა, აღმოჩნდა, რომ კოოპერატივების მართვა უფრო რთული გამოწვევაა, ვიდრე კერძო კომპანიების მართვა, რადგან კოოპერატივებში გადაწყვეტილების მიღების პროცესი კომპლექსურია. კერძოდ, კოოპერატივებში მოქმედებს სისტემა „ერთი წევრი - ერთი ხმა“ (კუკი, 1994 წ.). ძლიერი ლიდერი აუცილებელია იმისთვის, რომ კოოპერატივის წევრებს მეტი ენთუზიაზმი ჰქონდეთ კოლექტიური საქმიანობის მიმართ. გარდა ამისა, ძლიერ ლიდერს შეუძლია მეტი ინვესტიცია მოიზიდოს კოოპერატივის გასავითარებლად.²⁵

2) წევრების აქტიური მონაწილეობა კოოპერატივის საქმიანობაში. როგორც მუნკნერი (2012 წ.) აღნიშნავს, „კოოპერატივები იმდენად კარგია, რამდენადაც მათი წევრები ცდილობენ, ის გააუმჯობესონ“. თუმცა წევრობა, ერთგულება და პასუხისმგებლობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეძლებს კოოპერატივი წევრების საჭიროებებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილებას. გარდა ამისა, კოოპერატივის წარმატებისთვის აუცილებელია, წევრებს კარგად ესმოდეთ კოოპერატივის პრინციპები და ღირებულებები. „წევრები, რომლებსაც გაცნობიერებული აქვთ კოოპერატივის ღირებულებები, მეტად ზრუნავენ კოოპერატივში ხშირად მარგინალიზებული ჯგუფების, მაგალითად, ქალების და ახალგაზრდების ჩართვაზე“ (სმიტი, ფუგა და მაკფერსონი, 2015 წ.; მაჭური, 2012 წ.).

3) ფინანსებზე ხელმისაწვდომობა. როგორც ამ კვლევამ გამოავლინა, კოოპერატივის წევრები განვითარების თვალსაზრისით ყველაზე მწვავე გამოწვევად ფინანსებზე ხელმისაწვდომობას ასახელებენ. ზოგადად, ფინანსები უფრო მეტია, ვიდრე მორიგი რესურსი, ისეთი, როგორიც არის შრომა, მიწა, მანქანა-დანადგარი თუ ნედლეული (რაჰტი, 2000 წ.). როგორც ერთმა ესპანელმა მღვდელმა თქვა მეოცე საუკუნის დანყისში, „ვერაფერში გამოვიყენებ [ჩემ მიერ შექმნილ კოოპერატივს], თუ მისი დაკრედიტებით არავინ დაინტერესდება“ (ციტირებულია გარიდოში, 2007 წ.). შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ფინანსებზე ხელმისაწვდომობა გადამწყვეტია, განსაკუთრებით, განვითარების საწყის ეტაპზე მყოფი კოოპერატივებისათვის, ისე, როგორც ეს დღეს საქართველოშია.

4) ხელშემწყობი გარემო. ეს კომპონენტი ბევრ რამეს მოიცავს, მაგრამ მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია სახელმწიფოს პოლიტიკა (კანონმდებლობა, საგადასახადო პოლიტიკა, პროგრამები და სხვ.); ღირებულების ჯაჭვის განვითარება; პროდუქტის დაბაზრის დივერსიფიკაცია; თანამედროვე საბაზრო ეკონომიკაში წარმატების მისაღწევად მაღალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციური მიდგომების დანერგვა. თანამშრომლობის ერთ-ერთი მთავარი სარგებელია ღირებულებათა ჯაჭვში მეტი სავაჭრო ძალაუფლების მოპოვება თანამშრომლობის მეშვეობით, ამიტომ ფერმერები სარგებელს მიიღებენ ნედლეულის ერთობლივად შესყიდვით და/ან პროდუქტის სუპერმარკეტის ქსელების, რესტორნების ან სასტუმროებისთვის ერთობლივად მიწოდებით, იმ გარანტიით, რომ თავიანთი ნაწარმის მნიშვნელოვან ნაწილს უწყვეტად მიაწვდიან შემსყიდველებს.²⁶

დღეს საქართველოში კოოპერატივები ოთხივე მიმართულებით აწყდებიან პრობლემებს. ამ თემაზე დამატებითი მსჯელობა მოცემულია მე-4 დანართში. ზოგიერთ კოოპერატივს შეუძლია ამ ბარიერების გადალახვა, ზოგიერთს შეიძლება გაუჭირდეს. თუ კოოპერატივი მდგრადობის ამ მთავარ კომპონენტებს წარმატებით გაართმევს თავს, ის წარმატებული იქნება გრძელვადიან პერიოდში.

²⁵ იხილეთ: კაკულია, ნ., კოჭლამაზაშვილი, ი. და გელაშვილი, ს. (16 ოქტომბერი, 2017 წ.). ძლიერი ლიდერი = წარმატებული გუნდი?! ISET-ეკონომისტის ბლოგი. (<http://iset-pi.ge/index.php/ka/iset-economist-blog/entry/2017-10-19-08-17-42>), წყარო ნანახია 2017 წლის დეკემბერში.

²⁶ იხილეთ: დეისაძე, ს., კოჭლამაზაშვილი, ი. და მამარდაშვილი ფ. (12 აპრილი, 2017 წ.). ერთობლივი მარკეტინგი – წარმატების საწინდარი? ISET-ეკონომისტის ბლოგი. (<http://iset-pi.ge/index.php/ka/iset-economist-blog/entry/2017-04-10-08-42-25>), წყარო ნანახია 2017 წლის დეკემბერში.

რეკომენდაციები

ამ კვლევაში განხილული ხელისშემშლელი ფაქტორების გათვალისწინებით, ჩვენ შევიმუშავეთ რეკომენდაციები საქართველოში არსებული გამოწვევების გადასაღახავად და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განსავითარებლად. პირველ რიგში, საჭიროა, გაგრძელდეს კოოპერატივების შესახებ კვლევა, რათა კოოპერატივებს დავაკვირდეთ გრძელვადიან პერიოდში და გამოვითანოთ დასკვნები, რა მუშაობს საქართველოს კონტექსტში და რა – არა. ასევე, საჭიროა, გამოვლენილ იქნას რეალურად სამაგალითო კოოპერატივები და მათზე დაინეროს, თუ როგორ მიაღწიეს წარმატებას და რა არის წარმატების მათეული გასაღები. ესწავლილ უნდა იქნას წარუმატებელი კოოპერაციის შემთხვევებიც. კვლევის კომპონენტს უნდა გაუძღვას სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო კვლევითი ორგანიზაციების დახმარებით. სამთავრობო და არასამთავრობო სექტორებმა ამ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით უნდა დაგეგმონ შემდგომი პროგრამები.

ასევე, მნიშვნელოვანია კოოპერატივების განვითარების სააგენტოსა და კოოპერატივების წევრების უნარების და შესაძლებლობების გაძლიერება. სააგენტომ მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს ადგილობრივ და საერთაშორისო ექსპერტებთან, რათა შეიმუშაოს კოოპერატივების განვითარების გრძელვადიანი ეროვნული სტრატეგია, სადაც ქართული კოოპერატივების გძელვადიანი განვითარების ხედვა იქნება ასახული.

სასურველია, ინიციატივები უფრო მეტად მოდიოდეს ფერმერებისგან, რომლებსაც გააზრებული ექნებათ კოოპერაციის სარგებელი და მოწოდებულები იქნებიან, ერთად დაძლიონ მათ წინაშე არსებული პრობლემები, რათა მიაღწიონ წარმატებას. ზოგადად, ბევრი რამე კოოპერატივის მმართველ გუნდზეა (მათ შორის ძლიერ ლიდერზე) დამოკიდებული. შესაბამისად, თანამშრომლობის პროცესის წარმატებით გასაგრძელებლად, კრიტიკულად აუცილებელია, რომ პირველ რიგში, გამოვავლინოთ ასეთი ადამიანები და შემდეგ, ხელი შევუწყოთ მათ განვითარებას. კვლევის მიერ გამოვლენილი მაგალითები (წარმატებული და წარუმატებელი) გამოყენებულ და განხილულ უნდა იქნეს ტრენინგებზე, რადგან სწავლების საუკეთესო მეთოდი რეალური მაგალითებით სწავლაა. კარგი იქნება, თუ სამაგალითო კოოპერატივების წარმომადგენლები ასეთ ტრენინგებზე თავიანთ გამოცდილებას გაუზიარებენ აუდიტორიას, უჩვენებენ მსმენელებს, რა ბარიერები და უპირატესობები ახლავს თან კოოპერაციას, ახსნიან, როგორ უნდა შეიქმნას და იმართოს წარმატებული კოოპერატივი.

წარმატებულ კოოპერაციას პირველ რიგში სჭირდება სწორი ადამიანთა ჯგუფის შემოკრება, რაც ნდობაზე, შრომისმოყვარეობაზე, პროფესიონალიზმსა და ბიზნესზე ორიენტირებაზე იქნება დაფუძნებული. ასეთი ადამიანების პოვნა შესაძლოა დღეს გირს საქართველოში, მაგრამ სწორად დაგეგმილ ტრენინგებს, სასწავლო პროგრამებსა და სასწავლო ტურებს შეუძლია იმ უნარების გაუმჯობესება, რაც საჭიროა წარმატებული კოოპერატივებისათვის. წარმატებულ კოოპერატივებზე ინფორმაციის სხვადასხვა წყაროთი (მათ შორის მედიით) გავრცელება გაზრდის ფერმერების ინტერესს კოოპერატივების მიმართ. კოოპერაციის სარგებლის კარგად წარმოჩენა ფერმერებს მეტ სტიმულს მისცემს, შექმნან კოოპერატივები ან შეურთდნენ უკვე არსებულ კოოპერატივებს (შესაბამისად, ფერმერებს მეტი ნდობა გაუჩნდებათ ერთმანეთის მიმართ).

ჩვენმა კვლევამ გამოავლინა, რომ ამ ეტაპზე ENPARD-ის მცირე ზომის (აქტივების ღირებულების და წევრების რაოდენობის მიხედვით) კოოპერატივები უფრო მომგებიანი და ეფექტიანია. შესაბამისად, პრიორიტეტი არ უნდა მიენიჭოს კოოპერატივების რაოდენობის ზრდას. ნაცვლად ამისა, საჭიროა, კოოპერატივის წევრებმა თავად დაინახონ ზრდის (კონსოლიდაციის) საჭიროება და ესმოდეთ, რა სარგებელს მიიღებენ აქედან. მიუხედავად ამისა, საერთაშორისო გამოცდილებასა და ჩვენს დაკვირვებებზე დაყრდნობით, ვიძლევიან რეკომენდაციას, რომ მომავალში აქცენტი გაკეთდეს უფრო დიდ სერვისის კოოპერატივებზე (ან მეორე საფეხურის

კოოპერატივებზე), რათა მათ შეძლონ მასშტაბის ეკონომიით სარგებლობა და მეტი სავაჭრო ძალაუფლების მოპოვება ღირებულებათა ჯაჭვის როგორც აღმავალ, ისე დაღმავალ ნაკადში. თუმცა ძლიერი ლიდერობა და უნარიანი მენეჯმენტი ასეთი კოოპერატივების წარმატებულად სამართავად აუცილებელია.²⁷

კოოპერაციის სარგებელი განსხვავდება პროდუქტის და ღირებულებათა ჯაჭვის მიხედვით; თუმცა საერთაშორისო გამოცდილება უჩვენებს, რომ მომსახურების კოოპერატივები უფრო გავრცელებულია, ვიდრე წარმოების კოოპერატივები (ლერმანი და სედიკი, 2014 წ.). მომსახურების კოოპერატივებში ფერმერები აგრო საშუალებების შეძენისას ან პროდუქციის შენახვის, გადამუშავების, ბრენდირების და ნაწარმის გაყიდვის ეტაპებზე თანამშრომლობენ (იხ. მე-3 დანართი).

ENPARD-ის კოოპერატივებში გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა მოდერნიზაციისა და სტანდარტების გაუმჯობესების კუთხით. ეს ნაბიჯები უნდა გადადგას ნებისმიერმა ბიზნესზე ორიენტირებულმა ფერმერმა, რათა დააკმაყოფილოს სურსათის უვნებლობის გამკაცრებული მოთხოვნები და, შესაბამისად, განაგრძოს საქმიანობა. კოოპერაციით უფრო ადვილია თანამედროვე სტანდარტებზე გადასვლა და უვნებელი პროდუქციის წარმოება (რომელიც საჭირო სტანდარტებს აკმაყოფილებს), რადგან ეს პროცესი ცალკეული ფერმერებისთვის, შესაძლოა, ძვირი და რთული იყოს. თანამშრომლობა პროდუქტიულობის გაზრდის, დამატებითი ღირებულების მქონე პროდუქტის წარმოების და ვერტიკალური კავშირების²⁸ ან ღირებულებათა ჯაჭვების ჩამოყალიბების შესაძლებლობებს ქმნის. ამის მიღწევა ხშირად უჭირთ მცირე ზომის ცალკეულ ფერმერებს, ხოლო თანამშრომლობა მეტი სარგებლის მიღების შესაძლებლობას აჩენს. თუმცა არც თუ ისე ბევრ კოოპერატივს შესწევს უნარი, გამოიყენოს ეს შესაძლებლობები, ამიტომ მათ კვლავ სჭირდებათ ამ მიმართულებით დახმარების განწევა.

მნიშვნელოვანია კოოპერატივებისათვის საბაზრო კავშირების დამყარებაში დახმარება, მათი პროდუქციის სათანადოდ ბრენდირება და პოპულარიზაცია. ENPARD-ის კოოპერატივების შესახებ არსებული ბაზა და ადგილმდებარეობის კოორდინატები (რუკაზე დატანილი) გამოსადეგია შემდგომი სარეკლამო კამპანიებისთვის. ეს კარგი საწყისია, რომ პირდაპირ მომხმარებლებმა ან აგრო-სასურსათო პროდუქტების შემგროვებლებმა კოოპერატივებთან დაამყარონ საქმიანი ურთიერთობა. მნიშვნელოვანია ასევე კოოპერატივების შემოსავლების დივერსიფიკაცია. დივერსიფიკაცია შესაძლებელია როგორც ფერმაში, ისე ფერმის გარეთ, მაგალითად, დამატებითი ღირებულების მქონე პროდუქციის წარმოებით, პირდაპირი გაყიდვებით, აგროტურიზმის განვითარებით. ასეთი შემთხვევები უკვე არსებობს და საჭიროა მათი გავრცელება. კოოპერატივებმა სხვადასხვა გამოფენაში მონაწილეობის მიღება უნდა განაგრძონ. ეს მათ ნაწარმის რეკლამირებისთვის, კავშირების დასამყარებლად და გაყიდვების გასაზრდელად არის საჭირო.

დასახვეწია კანონმდებლობა კოოპერაციის მიმართულებით, რასაც ამ სფეროს ექსპერტები ერთხმად აღიარებენ. მნიშვნელოვანია დარეგულირდეს ისეთი საკითხები, როგორიცაა წესდებაში ცვლილების შეტანის საკითხი. პროდუქტის გადამუშავებისას სასაქონლო კოდის შეცვლა ექვემდებარება უკვე დაბეგვრას, რაც აფერხებს კოოპერატივების საქმიანობას და არათანაბარპირობებშიაყენებს „მომსახურების კოოპერატივებს“ „წარმოების კოოპერატივებთან“ შედარებით. კოოპერატივების აზრით, ზოგიერთი საკანონმდებლო წესი მკაცრია, რის გამოც ხშირად წილების, არანევრებისგან შესყიდვებისა და სხვ. საკითხები ჯეროვნად არ აისახება ანგარიშებში. ალბათ, უკეთესი იქნება, თუ გარკვეული პერიოდის განმავლობაში ახალი

27 იხილეთ: დეისაძე, ს., კოჭლამაზაშვილი, ი. და მამარდაშვილი ფ. (12 აპრილი, 2017 წ.). ერთობლივი მარკეტინგი – წარმატების საწინდარი? ISET-ეკონომისტის ბლოგი. (<http://iset-pi.ge/index.php/ka/iset-economist-blog/entry/2017-04-10-08-42-25>), წყარო ნანახია 2017 წლის დეკემბერში.

28 იხილეთ: კოჭლამაზაშვილი, ი., კაკულია, ნ., და მამარდაშვილი ფ. (24 აპრილი 2017 წ.). ნამცხვრის უფრო დიდი ნაჭრის მისაღებად ერთად მუშაობაა საჭირო. ISET-ეკონომისტის ბლოგი. (<http://iset-pi.ge/index.php/ka/iset-economist-blog/entry/2017-04-28-13-01-33>), წყარო ნანახია 2017 წლის დეკემბერში.

კოოპერატივების წესები და რეგულაციები მარტივი იქნება²⁹.

ფინანსებზე ხელმისაწვდომობა კოოპერატივებისათვის მთავარ გამოწვევად რჩება. კოოპერატივებს, როგორც დამწყებ ბიზნესებს, ეს პრობლემა რომ მოუგვარდეთ, საჭიროა, დავეხმაროთ როგორც კოოპერატივებს, ისე ფინანსურ ინსტიტუტებს (მათ შორის აგროდაზღვევის მიმწოდებლებს). კერძოდ, კოოპერატივებმა უნდა დახვეწონ ბუღალტრული აღრიცხვისა და ფერმის ბიუჯეტის პრაქტიკა, გაიუმჯობესონ მენეჯერული აღრიცხვისა და ბიზნეს-გეგმის შემუშავების უნარები და შეძლონ ფინანსური ინსტიტუტების მიერ მოთხოვნილი ფორმებით ფინანსური და ბიზნესინფორმაციის წარდგენა, როდესაც სესხზე (ან აგრო დაზღვევაზე) შეაქვთ განაცხადი. ამავდროულად, ფინანსურ ინსტიტუტებს აკლიათ ცოდნა კოოპერატივების, როგორც იურიდიული პირების შესახებ, არ აქვთ გამოცდილება სოფლის მეურნეობის ეკონომიკაში და, შესაბამისად, სწორად ვერ აფასებენ კონკრეტულ ღირებულებათა ჯაჭვთან დაკავშირებულ რისკებს და უზრუნველყოფის სახით გამოყენებულ სასოფლო-სამეურნეო აქტივებს.³⁰ შესაბამისად, ტექნიკური დამხმარება ფინანსურ ინსტიტუტებსაც სჭირდებათ, რათა ისინი უკეთ გაერკვენ კოოპერატივებსა და სოფლის მეურნეობის ეკონომიკაში.

დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ მნიშვნელოვანია, გაგრძელდეს კოოპერატივების ტექნიკურად და ფინანსურად დახმარება. თუმცა ყველა ასეთი ნაბიჯი უფრო მიზანმიმართული უნდა იყოს, მიზნად უნდა ისახავდეს სოფლად მცხოვრები ახალგაზრდების და ქალების პროცესებში ჩართვას და იმ ფერმერთა ჯგუფების დახმარებას, რომელთაც „ნამდვილი კოოპერატივის“ მახასიათებლები აქვთ – ჯგუფების, რომლებსაც შეუძლიათ, გაუმკლავდნენ თანამედროვე სოფლის მეურნეობის გამოწვევებს, წარმატებით მართონ კოოპერატივი (მენარმული სულისკვეთებით) და წარმატებას მიაღწიონ კონკურენტულ გარემოში. მნიშვნელოვანია, რომ კოოპერაციული მოძრაობა წარმატებულად დაიწყოს, სხვა შემთხვევაში არსებობს საფრთხე, რომ გავიზიაროთ რამდენიმე დასავლური ქვეყნის წარუმატებელი გამოცდილება – თითქმის საუკუნის წინ, კოოპერატივების წარუმატებელმა დასაწყისმა სულ მცირე ათწლეულით გადაავადა კოოპერატივების ჩამოყალიბება რამდენიმე ქვეყანაში. გავიმეორებთ: კოოპერატივები პანაცეა არ არის, მაგრამ მისი სწორად გამოყენება საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის სასარგებლო იქნება.

29 იხილეთ: ლივნი, ე. (26 მარტი, 2015 წ.). რა ხდება, როცა ინსტიტუტები თაღლითობის პრევენციის სადარაჯოზე დგანან? ISET-ეკონომისტის ბლოგი. (<http://iset-pi.ge/index.php/ka/iset-economist-blog/entry/e1-83-a0-e1-83-90-e1-83-ae-e1-83-93-e1-83-94-e1-83-91-e1-83-90-e1-83-a0-e1-83-9d-e1-83-aa-e1-83-90-e1-83-98-e1-83-9c-e1-83-a1-e1-83-a2-e1-83-98-e1-83-a2-e1-83-a3-e1-83-a2-e1-83-94-e1-83-91>), წყარო ნანახია 2017 წლის დეკემბერში.

30 იხილეთ ფორუმი ფინანსებზე ხელმისაწვდომობა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის: <http://iset-pi.ge/index.php/en/publications/policy-briefs/212-policy-briefs/aprc-policy-briefs/1647-access-to-finance-for-agricultural-cooperatives>

ბიბლიოგრაფია

ბარეტი, ს. ბ. (1993 წ.). ფასის რისკის და ფერმის ზომისა და პროდუქტიულობის ინვერსიული ურთიერთობის შესახებ, No. 369, ვისკონსინ-მედისონის უნივერსიტეტი, სოფლის მეურნეობის ფაკულტეტი, თანამშრომლების ნაშრომების სერია. წყარო: ვისკონსინ-მედისონის უნივერსიტეტი, თანამშრომლების ნაშრომების სერია.

კუკი, მ. ლ. (1994 წ.). მენეჯმენტის როლი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ჟურნალი, ტ. 9: 42-58.

გარიდო, ს. (2007 წ.). რატომ არის კოოპერატივების უმეტესობა წარუმატებელი? სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია ესპანეთში მეოცე საუკუნის დასაწყისში. სოფლის ისტორია, 18(2): 183-200.

კასუნგვა, ე. მ. და მორონგი, მ. (2016 წ.). კენიაში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მდგრადობის განმაპირობებელი ფაქტორები: მაჩაკოს ოლქის მაგალითი. სტრატეგიული ჟურნალი, ტ. 3, 2(13): 271-295.

ლერმანი, მ. და პარლამენტი, ს. (1991 წ.). რა გავლენა აქვს ზომას და ინდუსტრიას სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შედეგებზე. სოფლის მეურნეობის ეკონომიკა, 6: 15-29.

ლერმანი, მ. და სედიკი, დ. (2014 წ.). კოოპერატივები დსთ-ში და საქართველოში: კანონმდებლობის მიმოხილვა. გარდამავალი სოფლის მეურნეობის პოლიტიკის კვლევები, No. 2014-2, სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის ევროპის და ცენტრალური აზიის ოფისი.

მაჭურიანი, ე. (2012 წ.). ქალები აღმოსავლეთ აფრიკულ კოოპერატივებში: კენიის, ტანზანიისა და უგანდის მაგალითები. დარ ეს სალაამი: კოოპერატივები, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია.

მილნს, ჯ. (2013 წ.). სოფლის მეურნეობის და სოფლის კოოპერაცია, სომხეთის, საქართველოსა და მოლდავეთის მაგალითები, No.2013-2. სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის ევროპის და ცენტრალური აზიის ოფისი.

მილნს, ჯ. (2002 წ.). მწარმოებელთა ჯგუფების და სოფლის ორგანიზაციების განვითარება ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში – პრობლემები და გამომწვევები, სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია, რომი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო (2015 წ.). საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია, 2015-2020. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

მიუნკნერი, კ.-კ. (2012 წ.). კოოპერაცია, როგორც გამოსავალი კრიზისის დროს. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები მსოფლიოში. მათი როლი სოფლის განვითარებასა და სიღარიბის აღმოფხვრაში. სამუშაო დოკუმენტი No.41, 12. ტრენტო: კოოპერატივების და სოციალური საწარმოების შემსწავლელი ევროპის კვლევითი ინსტიტუტი.

საქართველოს პარლამენტი (2013 წ.). საქართველოს კანონი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ. საქართველოს პარლამენტი.

რაჰტი, მ. ა. ი. (2000 წ.). სამხრეთ-დასავლეთ ნიგერიაში რა ფაქტორების მიხედვით იღებენ კომერციული ბანკები აგრარული სესხის დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილებას და როგორ განსაზღვრავენ სესხის მოცულობას? ნიგერიის განვითარების შემსწავლელი ჟურნალი. 1 (1): 6-25.

სიალი, მ. ჰ., იქბალი, ს. და სეიხი, ა.დ. (2012 წ.). კავშირი ფერმის ზომასა და პროდუქტიულობას შორის ცენტრალური პუნჯაბის უახლეს მაგალითზე. პაკისტანის ეკონომიკური და სოციალური მიმოხილვა, ტ.50, No.2: 139-162.

სმიტი, ჯ., ფუგა, რ. და მაფერსონი, ი. (რედ.) (2005 წ.). ახალგაზრდები გარდაქმნიან კოოპერატივებს - საერთაშორისო კოოპერატიული მოძრაობა ახალგაზრდული პერსპექტივიდან. უინიპეგი: ბრიტანეთის კოოპერატივების შემსწავლელი კოლუმბიის ინსტიტუტი.

ISSET-ეკონომისტის ბლოგი

დეისაძე, ს., კოჭლამაზაშვილი, ი. და მამარდაშვილი ფ. (12 აპრილი, 2017 წ.). ერთობლივი მარკეტინგი – წარმატების საწინდარი? (<http://iset-pi.ge/index.php/ka/iset-economist-blog/entry/2017-04-10-08-42-25>), წყარო ნანახია 2017 წლის დეკემბერში.

გელაშვილი, ს. და კაცია, ი. (20 ნოემბერი, 2017 წ.). აზიური შემოსევა: მყარი ხოჭო საქართველოში. (<http://iset-pi.ge/index.php/ka/iset-economist-blog/entry/2017-11-27-16-24-04>), წყარო ნანახია 2017 წლის დეკემბერში.

კაკულია, ნ., კოჭლამაზაშვილი, ი. და გელაშვილი, ს. (16 ოქტომბერი, 2017 წ.). ძლიერი ლიდერი = წარმატებული გუნდი?! (<http://iset-pi.ge/index.php/ka/iset-economist-blog/entry/2017-10-19-08-17-42>), წყარო ნანახია 2017 წლის დეკემბერში.

კოჭლამაზაშვილი, ი., კაკულია, ნ., და მამარდაშვილი ფ. (24 აპრილი 2017 წ.). ნამცხვრის უფრო დიდი ნაჭრის მისაღებად ერთად მუშაობაა საჭირო. (<http://iset-pi.ge/index.php/ka/iset-economist-blog/entry/2017-04-28-13-01-33>), წყარო ნანახია 2017 წლის დეკემბერში.

კოჭლამაზაშვილი, ი., ლივნი, ე. და ჟორჯოლიანი, დ. (24 ოქტომბერი 2016 წ.). უმოკლესი გზა მარწყვის პლანტაციისკენ ყოველთვის ტკბილი როდია. (<http://iset-pi.ge/index.php/ka/iset-economist-blog/entry/2016-11-02-09-38-35>), წყარო ნანახია 2017 წლის დეკემბერში.

კოჭლამაზაშვილი, ი. და პინიატი, ნ. (31 ოქტომბერი, 2016 წ.). შევამცირეთ თუ არა ბიუჯეტი: საქართველოს მთავრობის პრიორიტეტების ცვლილება და ქართული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების გაურკვეველი მომავალი. (<http://iset-pi.ge/index.php/ka/iset-economist-blog/entry/2016-11-03-07-37-58>), წყარო ნანახია 2017 წლის დეკემბერში.

ლივნი, ე. (26 მარტი, 2015 წ.). რა ხდება, როცა ინსტიტუტები თაღლითობის პრევენციის სადარაჯოზე დგანან? (<http://iset-pi.ge/index.php/ka/iset-economist-blog/entry/e1-83-a0-e1-83-90-e1-83-ae-e1-83-93-e1-83-94-e1-83-91-e1-83-90-e1-83-a0-e1-83-9d-e1-83-aa-e1-83-90-e1-83-98-e1-83-9c-e1-83-a1-e1-83-a2-e1-83-98-e1-83-a2-e1-83-a3-e1-83-a2-e1-83-94-e1-83-91>), წყარო ნანახია 2017 წლის დეკემბერში.

სხვა ინტერნეტ წყაროები:

ENPARD-ის პროგრამის ფარგლებში 2016 წლის ნოემბერში ჩატარებული უწყებათაშორისი ფორუმი კოოპერატივებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობაზე (<http://iset-pi.ge/index.php/en/publications/policy-briefs/212-policy-briefs/aprc-policy-briefs/1647-access-to-finance-for-agricultural-cooperatives>), წყარო ნანახია 2017 წლის დეკემბერში;

ENPARD საქართველოს ოფიციალური ვებგვერდი (www.enpard.ge), წყარო ნანახია 2017 წლის დეკემბერში;

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) (www.geostat.ge), წყარო ნანახია 2017 წლის დეკემბერში;

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო, (www.acda.gov.ge), წყარო ნანახია 2017 წლის დეკემბერში;

სოფლის მეურნეობის პროექტების განვითარების სააგენტო, (www.apma.ge), წყარო ნანახია 2017 წლის დეკემბერში.

დანართები

დანართი 1: PEST ანალიზი

PEST (პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ტექნოლოგიური) ანალიზი აღწერს იმ მაკრო ფაქტორებს, რომლებიც ზემოქმედებს საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარებაზე. უმჯობესია, SWOT (ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობების და საფრთხეების) ანალიზამდე ჩატარდეს PEST ანალიზი, რადგან ის გვეხმარება, გამოვავლინოთ SWOT ანალიზის ფაქტორები. PEST და SWOT ანალიზი სხვადასხვა პერსპექტივას გვთავაზობს, მაგრამ ისინი საერთო ფაქტორებსაც მოიცავენ.

პოლიტიკური ფაქტორები:

- მთავრობისთვის კვლავ პრიორიტეტულია სოფლის მეურნეობა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების ჩათვლით.
- შემუშავებულია სპეციალური კანონი „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ“, თუმცა ეს კანონი მორგებული არ არის ე.წ. „მომსახურების კოოპერატივებზე“. ამდენად, საჭიროებს გადახედვას;
- პროგრამები კოოპერატივების განვითარების მიმართულებით არსებობს, ENPARD-ის კოოპერატივების განვითარების კომპონენტი დასრულდა;
- საქართველოს ბევრ ქვეყანასთან და ქვეყნების გაერთიანებასთან აქვს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება დადებული, ეს ქმნის აგრარული პროდუქტების ექსპორტის დიდ შესაძლებლობებს.

ეკონომიკური ფაქტორები:

- საგადასახადო შეღავათები არსებობს კოოპერატივებისათვის, რომელსაც ვადა 2017 წლის ბოლოს გაუვიდა, თუმცა განიხილება ამ ვადის გადწევა. მიუხედავად ამისა, რიგი კითხვები არსებობს გადამუშავების (სასაქონლო კოდის შეცვლის) შემთხვევაში, რომელიც ექვემდებარება დაბეგვრას;
- კრედიტზე ხელმისაწვდომობა კოოპერატივებისათვის რჩება ერთ-ერთ მთავარ პრობლემად. მართალია, სახელმწიფოს აქვს შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამა, მაგრამ კოოპერატივებს მისი აღება უჭირთ სხვადასხვა მიზეზის გამო. საფინანსო ინსტიტუტებს ურჩევნიათ, კრედიტი კოოპერატივის კონკრეტულ წევრზე გასცენ;
- მართალია, სახელმწიფოს მხარდაჭერით დაიწყო აგროდაზღვევა, თუმცა კოოპერატივების დიდი ნაწილი არ იყენებს მას (ერთ-ერთი მიზეზი არის, რომ სახელმწიფოს მიერ სუბსიდირებული აგროდაზღვევა არ მოიცავს სოფლის მეურნეობის ბევრ ქვესექტორს, მაგ.: მეფუტკრეობა);
- გაცვლითი კურსის მერყეობა მოქმედებს კოოპერატივების საქმიანობაზეც, რამდენადაც საქართველო დიდწილად დამოკიდებულია იმპორტირებულ აგრო-საშუალებებსა და პროდუქტებზე (მაგ., საწვავი, მედიკამენტები და ტექნიკა);
- 2017 წელს ინფლაციის მაჩვენებელი წინა წლებთან შედარებით მაღალი იყო (დაახლოებით 6%), ხოლო აგროსასურსათო პროდუქტებზე ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო მაღალი დაფიქსირდა.

სოციალური ფაქტორები:

- საბჭოთა კოლექტიური ფერმებიდან და მეურნეობიდან მიღებული უარყოფითი გამოცდილება;
- ახალგაზრდების ჩართულობა კოოპერატივებში დაბალია, რაც იმითაც აიხსნება, რომ მიგრაცია სოფლიდან ქალაქში ან საზღვარგარეთ წასვლის მაღალი მაჩვენებელია. მეორე იმით, რომ სოფლის მეურნეობის სახელი გარკვეულწილად „შელახულია“ და ახალგაზრდებს არ სურთ, ამ სექტორში დასაქმდნენ.
- ქართველ საზოგადოებაში არსებობს იერარქიული ბარიერი ახალგაზრდასა და მოხუცს შორის, რაც შეიძლება კოოპერატივში ახალგაზრდების ჩართვისა და აქტიურობის ხელისშემსლელ ფაქტორად ჩაითვალოს;
- საქართველოში თანამედროვე სოფლის მეურნეობის ცოდნის დეფიციტია, რაც დაბალპროდუქტიულ წარმოებას განაპირობებს. ასევე, დაბალია მენარმული სულისკვეთება ფერმერებში;
- ნდობა ფერმერებს შორის და ნდობა სახელმწიფოს ინიციატივების მიმართ საკმაოდ დაბალია, რაც აფერხებს კოოპერაციის განვითარებას;
- მედია საშუალებები საკმაოდ აქტიურად აშუქებენ კოოპერატივების შესახებ ინფორმაციას, თუმცა ჯერ საჩვენებელი კოოპერატივების რაოდენობა არც თუ ბევრია და ვერ ხერხდება ბევრი ასეთი მაგალითის გაშუქება.

ტექნოლოგიური:

- მექანიზაციის კუთხით ENPARD-ის პროგრამამ დიდი დახმარება გაუწია კოოპერატივებს, რომლის ფარგლებში მოხერხდა ტექნიკის შეძენა;
- საქართველოს რაიონებში სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციის ცენტრები არსებობს, საიდანაც ფერმერებს შეუძლიათ მომსახურების მიღება. თუმცა ამ ინსტიტუციას რამდენიმე გამოწვევა აქვს, მცირე ფერმერებისათვის ხშირად რთულია მათი მომსახურების მიღება, რადგან არსებული ტექნიკა ან შეუსაბამოა ან რიგში უწევთ დიდი ხანი დგომა, რაც იწვევს აგრო-ვადების დარღვევას;
- ახალი ტექნოლოგიების დანერგვის კუთხითაც იყო ENPARD-ის პროექტსა და სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ პროექტებში რიგი ნაბიჯები გადადგმული, თუმცა ეს ქვეყანაში არსებულ მთლიან სურათს ვერ ცვლის;
- სახელმწიფოს ექსტენციის სამსახური და ENPARD-ის მიერ კერძო ექსტენციის თანამშრომლების (ექსპერტების) დახმარებით კოოპერატივებს გაეწიათ უამრავი კონსულტაცია და ჩაუტარდათ ტრენინგები; ასევე განხორციელდა სასწავლო ტურები ქვეყნის შიგნით თუ მის საზღვრებს გარეთ;
- მართალია, გადადგმულია ნაბიჯები საბაზრო ინფორმაციის მიწოდებისა და ონლაინ-გაყიდვების კუთხით, მაგრამ კოოპერატივების უმეტესობა ჯერ ამ ტექნოლოგიას არ იყენებს.

დანართი 2. ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობების და საფრთხეების (SWOT) ანალიზი

SWOT ანალიზი ავლენს იმ შიდა (ძლიერი და სუსტი მხარეები) და გარე (შესაძლებლობები და საფრთხეები) ფაქტორებს, რომელთა წინაშეც დგანან საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები (ENPARD-ის კოოპერატივების მაგალითზე დაყრდნობით), რომლებიც ცდილობენ, სიცოცხლისუნარიანები და მდგრადები გახდნენ.

ძლიერი მხარეები:

- კოოპერატივების პირველი ნაკადის ჩამოყალიბება და თვითკმარი და ნახევრად თვითკმარი ფერმერების კომერციალიზაციის დონის გაზრდა;
- სპეციალური კანონმდებლობისა და საგადასახადო შეღავათების არსებობა;
- კოოპერატივების წევრებს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს ჩაუტარდათ ტრენინგები;
- კოოპერატივებში ENPARD-ის პროექტის წყალობით დაგროვდა აგრარული წარმოებისთვის საჭირო აქტივები და ცოდნა;
- დამყარდა კავშირები ბაზარზე და კოოპერატივების ბრენდების ცნობადობის დონე გაიზარდა;
- წევრობაზე დაფუძნებული ორგანიზაციები დემოკრატიული პრინციპებით იმართება.

სუსტი მხარეები:

- გამოუცდელობა თანამედროვე, დასავლური ტიპის კოოპერაციაში, მათ შორის კოოპერატივის მართვა-მენეჯმენტში;
- ნდობის ნაკლებობა ფერმერებს შორის, რაც აჩენს „ერთი ადამიანის კოოპერატივებისა“ და „საოჯახო კოოპერატივების“ ჩამოყალიბებისაკენ მიდრეკილებას;
- კოოპერატივის პრინციპებისა და შესაძლო სიკეთეების ცოდნის დაბალი დონე;
- კოოპერატივებში დოკუმენტაციის მოუწესრიგებლობა (მაგ., მოუწესრიგებელი ბუღალტრული აღრიცხვა და ფერმის ბიუჯეტი);
- აქცენტი კეთდება საწარმოო კოოპერატივებზე და მომსახურების კოოპერატივების ნაკლებობაა;
- ახალგაზრდები ნაკლებად არიან ჩართული კოოპერატივებში;
- შეუსაბამო მართვა და ლიდერობა;
- ფინანსებზე წვდომის ნაკლებობა (განსაკუთრებით საოპერაციო/სამუშაო კაპიტალზე) სხვადასხვა მიზეზის გამო (მაღალლიკვიდური აქტივების არქონა, წევრების „შავ სიაში“ ყოფნა, სტარტაპი კოოპერატივები, მოუწესრიგებელი დოკუმენტაცია და ა.შ.);
- სამეწარმეო სულისკვეთების არარსებობა და თანამედროვე კონკურენტულ გარემოსთან ადაპტაციის ნელი ტემპი. საბაზრო ეკონომიკის ცოდნის დაბალი დონე;
- სოფლის მეურნეობაში არსებული თანამედროვე მიდგომებისა და ტექნოლოგიების ნაკლებობა;
- კოოპერატივებში განვითარების საშუალო და გრძელვადიანი ხედვის ნაკლებობა;
- კონტრაქტზე დაფუძნებული ურთიერთობების ნაკლებობა, როგორც აგრო-საშუალებების მომწოდებლებთან, ისე წარმოებული პროდუქტის მყიდველთან;
- შემდგომი მხარდამჭერი პროგრამების ნელი ტემპი და კოოპერატივის განვითარების გრძელვადიანი ხედვის ნაკლებობა;
- მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებული პრობლემები; ასევე, ზოგიერთ შემთხვევაში გაურკვეველია, ვინ არის მიწის მფლობელი;
- აგროდამღვევის განვითარების დაბალი დონე;
- მაღალი ხარისხის ნედლეულზე და მომსახურებაზე წვდომის ნაკლებობა.

შესაძლებლობები:

- ქვეყანაში დიდი რაოდენობით მცირე ფერმერების არსებობა, რაც კარგ საფუძველს ქმნის კოოპერატივების განვითარებისათვის;
- კოოპერატივების განვითარების სააგენტოს არსებობა და სახელმწიფოსა და დონორების მხარდაჭერა კოოპერატივების განვითარების კუთხით;
- სამაგალითო კოოპერატივების გამოვლენა და მათი მაგალითების გავრცელება/პოპულარიზაცია;
- ტრენინგების, სასწავლო პროგრამებისა და ტურების დაგეგმვა, რომელიც კოოპერატივებზე იქნება მორგებული;
- სამთავრობო და არასამთავრობო სექტორებში კოოპერატივების განვითარების კუთხით დაგროვილი ცოდნა;
- შემოსავლის წყაროს დივერსიფიკაცია მაგ: აგროტურიზმის განვითარებით;
- ორგანული და მაღალი ღირებულების მქონე პროდუქციის წარმოება. ასევე, ღირებულებათა ჯაჭვში განვითარების შესაძლებლობა;
- შიდა ბაზარზე აგროსასურსათო პროდუქტებზე მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილება და ექსპორტზე გასვლის შესაძლებლობა;
- ENPARD-ის პროექტის ფარგლებში დაწყებული სარეკლამო კამპანიებით მომხმარებლებში ცნობადობის გაზრდა.

საფრთხეები:

- წარუმატებელმა სტარტმა შესაძლოა ფერმერებში კოოპერაციისადმი უარყოფითი დამოკიდებულება შექმნას და, შედეგად, კოოპერატივებში მათი გაწევრიანების შეფერხება გამოიწვიოს; სოფლის მეურნეობისა და კოოპერაციისადმი ინტერესის დაკარგვა;
- აგროსასურსათო პროდუქტებზე უსაფრთხოების ნორმების გამკაცრებამ შეიძლება სტანდარტების დაკმაყოფილება გაართულოს;
- პროდუქციის დანაკარგები გამოწვეული დაავადებების, მავნებლებისა და სარეველების მიერ;
- კლიმატის ცვლილება და მიწის დეგრადაცია; გარემო პირობებზე კოოპერატივების წარმოების დიდი დამოკიდებულება, რაც იწვევს წარმოებული პროდუქციის რაოდენობისა და ხარისხის დიდ ცვალებადობას წლიდან წლამდე.
- თავისუფალი სავაჭრო სივრცის გაუქმების ან/და გარკვეულ ქვეყნებთან ემბარგოს დაწესების საფრთხე.

დანართი 3. სასოფლო-სამეურნეო საწარმოო და მომსახურების კოოპერატივები³¹

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები ორ ტიპად შეიძლება, დაიყოს. საწარმოო კოოპერატივებში წევრები ერთად მონაწილეობენ წარმოების პროცესში. სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივში წევრები ერთად ამუშავებენ გაერთიანებულ ან კოოპერატივის საკუთრებაში მყოფ რესურსებს, მაგალითად, მიწას ან ფერმის მანქანა-დანადგარებს. სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივების მაგალითებია კოლმეურნეობა საბჭოთა კავშირში და კიბუცი ისრაელში.³² საწარმოო კოოპერატივები თავიანთ ნაწარმს გარე მხარეებზე ჰყიდიან; მათი მთავარი ფუნქცია წევრების კეთილდღეობის ზრდაა. ამისთვის კი მათ უნდა შექმნან ისეთი პირობები, რომლის შედეგადაც მეურნეობა იქნება უფრო ეფექტური, ვიდრე იქნებოდა ინდივიდუალური მეურნეობის შემთხვევაში. ხშირად ამტკიცებენ, რომ დანაწევრებული მცირე მეურნეობების დიდ საწარმოო ფერმებში გაერთიანებით, კოოპერატივები მასშტაბის ეკონომიას აღწევენ და უფრო ეფექტურები არიან. თუმცა საბაზრო ეკონომიკების ემპირიკული კვლევები აჩვენებს, რომ სოფლის მეურნეობის პირველად წარმოებაში არ არსებობს მასშტაბის ეკონომია და ბევრი მკვლევარი იმასაც აჩვენებს, რომ სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივები გაცილებით ნაკლებად ეფექტურები არიან, ვიდრე ინდივიდუალური ან საოჯახო ფერმები. შედეგად, საწარმოო კოოპერატივებს ძალიან პატარა წილი უჭირავთ მწარმოებლებში მთელ მსოფლიოში. კოოპერატივების საერთაშორისო ალიანსის მონაცემების მიხედვით, საწარმოო კოოპერატივების წილი ყველა კოოპერატივში მხოლოდ 5%-ია მთელ მსოფლიოში. მეორე მხრივ, მომსახურების კოოპერატივები არის კოოპერატივების ყველაზე მსხვილი და ტიპური კატეგორია განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში: ეს არიან კოოპერატივები, რომლებიც წევრ მწარმოებლებს სერვისებით უზრუნველყოფენ. წევრი მწარმოებლები დამოუკიდებლად ეწევიან საწარმოო საქმიანობას თავიანთ მიწაზე. ბევრ ქვეყანაში სწორედ მომსახურების კოოპერატივებზე მოდის ტრანზაქციების დიდი წილი, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში. მაგალითად, ჩრდილოეთ ამერიკაში, დასავლეთ ევროპაში, იაპონიასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში სასოფლო-სამეურნეო მარკეტინგული, გადამამუშავებელი და მომწოდებელი კოოპერატივები ფერმერული პროდუქტების ბაზრის მთავარი მოთამაშეები არიან. აშშ-ში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებზე მოდის ფერმების მთლიანი მარკეტინგული აქტივობის 30% და მეურნეობების მთლიანი შესყიდვების 28%. ევროკავშირში, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების წილი კიდევ უფრო დიდია: ისეთ ქვეყნებში, როგორებიც არის ნიდერლანდები, დანია, ირლანდია და შვედეთი, პროდუქციის 70%-80%-ის მარკეტინგი კოოპერატივების საშუალებით ხდება, ასევე, კოოპერატივებზე მოდის მეურნეობის შესყიდვების 50%-70%. მომსახურების კოოპერატივები, როგორც წესი, იყოფა მარკეტინგულ, გადამამუშავებელ, ნედლეულის შემსყიდველ და მეურნეობის დანადგარების კოოპერატივებად.³³

31 ლერმანი, ზ., და სედიკი, დ., (2014). კოოპერატივები დსთ-ში და საქართველოში. კანონმდებლობის მიმოხილვა. გარდამავალი სოფლის მეურნეობის პოლიტიკის კვლევები No. 2014-2. სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის ევროპის და ცენტრალური აზიის რეგიონული ოფისი.

32 მიუხედავად იმისა, რომ კოლმეურნეობები საწარმოო კოოპერატივების მაგალითია, კოოპერატივების საერთაშორისო ალიანსს ის არასოდეს უღიარებია, როგორც ალიანსის პრინციპების შესაბამისი ერთეული.

33 საკრედიტო კოოპერატივები, ხშირად, კოოპერატივების ცალკე კატეგორიად ითვლება, რადგან მათ, როგორც ფინანსურ ინსტიტუტებს, თავისებურებები ახასიათებს. ამ დოკუმენტში ტერმინი მომსახურების კოოპერატივი გამოიყენება მხოლოდ მარკეტინგული/ნედლეულის შემსყიდველი მომწოდებელი კოოპერატივების აღსანიშნავად. ეს კოოპერატივები საკმაოდ ტიპურია დამწყებ კოოპერატივებში.

დანართი 4. ENPARD I-ის დახურვის ღონისძიების დღის წესრიგი და ოქმი



ENPARD-ის მცირე ფერმერთა თანამშრომლობის კომპონენტის განმახორციელებელი ორგანიზაციების ერთობლივი

დასკვნითი ღონისძიება (ENPARD I)

დღე 1: 30 ნოემბერი, 2017 წელი. დარბაზი: ჰუალინგ თბილისი

დღის წესრიგი: პოლიტიკისა და სტრატეგიის პლენარული დისკუსიები

9:30 – 10:00	რეგისტრაცია
	მისასალმებელი სიტყვა
10:00 – 10:30	- კრისტინა კასელა, ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში - გიორგი ხანიშვილი, სოფლის მეურნეობის სამინისტრო - გიორგი ღლონტი, CARE - ირაკლი ქასრაშვილი, Mercy Corps
	შესავალი და პრეზენტაცია
10:30 – 10:40	სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მდგრადობის მამოძრავებელი ფაქტორები (მსოფლიო გამოცდილება) <u>წარმდგენი:</u> ირაკლი კოჭლამაზაშვილი, ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი
	პანელური დისკუსია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებზე
	დისკუსიის თემა: მენეჯმენტი და ლიდერობა (მოდერატორი – ბუბა ჯაფარლი)
10:40 – 11:20	<u>პანელის დისკუსიანტები:</u> - ბუბა ჯაფარლი, PIN - კოტე ხუცაიძე, კოოპერატივების განვითარების სააგენტო - ლაშა გაგოშიძე, კოოპ. “რაჭის ნატურალური პროდუქტები” (მეფუტკრეობა, PIN) - ზაზა ჩიკვაიძე, კოოპ. “ბეკები” (მეღვინეობა, OXFAM)
11:20 – 11:40	შესვენება
	დისკუსიის თემა: ფინანსებზე ხელმისაწვდომობა (მოდერატორი – ელისაბედ ცხადაია)
11:40 – 12:20	<u>პანელის დისკუსიანტები:</u> - ელისაბედ ცხადაია, CARE - კოკა ჟღენტი, ABCO - ზაურ ცვარიანი, კოოპ. “მთის ნობათი” (მეფუტკრეობა, CARE) - მინდია ქავთარაძე, კოოპ. “თაფლი საჩინო” (მეფუტკრეობა, Mercy Corps)

12:20 – 13:00	დისკუსიის თემა: წევრების მონაწილეობა (მოდერატორი – გიგა სარუხანიშვილი)
	<u>პანელის დისკუსანტები:</u> - გიგა სარუხანიშვილი, Mercy Corps - გიორგი მიშელაძე, კოოპერატივების განვითარების სააგენტო - შალვა აგუშავა, კოოპ. “დარჩელის თხილი” (მეთხილეობა, OXFAM) - ზურა ფსუტური, კოოპ. “წიქარა” (მექანიზაცია, Mercy Corps)
13:00 – 14:00	ლანჩი
14:00 – 14:40	დისკუსიის თემა: კონკურენტული გარემო და საგადასახადო რეჟიმი (მოდერატორი – ლევან დადიანი)
	<u>პანელის დისკუსანტები:</u> - ლევან დადიანი, OXFAM - ნატალია ფარცხალაძე, კოოპ. “კონა” (ტყის არამერქნული პროდუქტები, OXFAM) - ლევან ხმელიძე, კოოპ. “ქორენიში” (მეფუტკრეობა, CARE) - გივი ჩუბინიძე, კოოპ. “მეღვინეობა საზანო” (მეღვინეობა, PIN)
14:40 – 15:20	დისკუსიის თემა: გენდერული და ასაკობრივი მრავალფეროვნება (მოდერატორი – ნანა ქაშაკაშვილი)
	<u>პანელის დისკუსანტები:</u> - ნანა ქაშაკაშვილი, საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი - თამთა მამულაიძე, საქართველოს ფერმერთა ასოციაცია - მაგდა გუგუნავა, კოოპ. “ქალთა ძალა” (კენკრის წარმოება, PIN) - ალექო მეფარიშვილი, კოოპ. “ჭყვიში” (მეხოსტენობა, Mercy Corps)
15:20 – 15:40	შესვენება
15:40 – 16:20	დისკუსიის თემა: კოოპერატივების განვითარების მხარდაჭერა –კოორდინაცია და თანამშრომლობა მომავალში (მოდერატორი – გიორგი მიშელაძე)
	<u>პანელის დისკუსანტები:</u> - გიორგი მიშელაძე, კოოპერატივების განვითარების სააგენტო - მარიკა გელაშვილი, სოფლის მეურნეობის სამინისტრო - რუსუდან ძიძიშვილი, სოფლის მეურნეობის სამინისტროს იმერეთის წარმომადგენლობა - ლაშა დოლიძე, FAO საქართველო
16:20 – 17:00	დისკუსიის თემა: მიღებული გამოცდილება და დღევანდელი დისკუსიის შეჯამება
	<u>პანელის დისკუსანტები:</u> - გიორგი ღლონტი, CARE - ბუბა ჯაფარლი, PIN - ლევან დადიანი, OXFAM - ირაკლი ქასრაშვილი, Mercy Corps

ამ ღონისძიების ფინანსური მხარდამჭერია ევროკავშირი. შეხვედრის შინაარსი არის მხოლოდ ორგანიზატორების პასუხისმგებელობა და არავითარ შემთხვევაში არ გამოხატავს ევროკავშირის პოზიციას.

კომუნიკა

გახსნითი პანელი ENPARD-ის პროექტში მიღებული გამოცდილების შესახებ

გახსნით პანელში მონაწილეობდნენ: გიორგი ხანიშვილი (საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე), კრისტინა კასელა (ევროკავშირის წარმომადგენლობის სოფლის მეურნეობის ატაშე საქართველოში), გიორგი ლლონტი (ქეა საერთაშორისო კავკასიაში მისიის ხელმძღვანელი) და ირაკლი ქასრაშვილი (მერსი ქორფსის საქართველოს დირექტორი). პანელს მოდერაციას უწევდა ლევან დადიანი (ოქსფამის წარმომადგენელი).

ლევან დადიანმა კონფერენცია გახსნა მისასალმებელი სიტყვით და აღნიშნა, რომ ENPARD-მა ქვეყანაში შექმნა ორგანიზაციებს შორის კოორდინაციის სტანდარტი. ENPARD I-ში 4 წლის განმავლობაში 17 ორგანიზაცია იყო ჩართული, რისთვისაც ბატონმა დადიანმა დიდი მადლობა გადაუხადა ევროკავშირს. მან ისაუბრა კოოპერატივების მდგრადობისა და მომავალი განვითარების მნიშვნელობაზე და დასძინა, რომ დღევანდელი დღე სასიხარულოც არის და სევდიანიც. ერთი მხრივ, სახეგვა ჩამოყალიბებული კოოპერატივები და, მეორე მხრივ, პროექტი [ENPARD I] სრულდება. სპიკერმა მადლობა გადაუხადა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და კოოპერატივების განვითარების სააგენტოს წარმომადგენლებს კანონმდებლობის პროცესიდან დაწყებული [კანონი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ] დღემდე გაწეული ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის და ხაზგასმით აღნიშნა, რომ დღეს მთავარი გამოწვევა არის პროგრამის დახურვის შემდგომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების გრძელვადიანი პოლიტიკის ჩამოყალიბება.

ლევან დადიანმა დაამატა, რომ კონკურენტი ორგანიზაციები (CARE, Mercy Corps, Oxfam, PIN) პარტნიორებად აქცია ENPARD-ის პროექტმა, რაც გამოიხატა კვლევის მეთოდოლოგიურ დონეზე კოორდინაციაში, ერთობლივ ანალიზსა და სხვა საკითხების გარშემო თანამშრომლობაში. ბატონი დადიანის თქმით, თანამშრომლობის კარგი მაგალითია ერთობლივად მომზადებული დახურვის ღონისძიებაც, ერთი ხმა და პოზიცია, დასკვნების და შედეგების გაცვლის შესაძლებლობა და სხვ.

მისასალმებელ სიტყვაში საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის სოფლის მეურნეობის ატაშემ, ქალბატონმა კრისტინა კასელამ ხაზი გაუსვა ENPARD-ის პირველ ფაზაში ჩართული ორგანიზაციებისა და ადამიანების მიერ გაწეულ დიდ შრომას. ატაშემ აღნიშნა, რომ კოოპერაცია არც ევროპაში განვითარებულა უცებ და ახლა საქართველო, მძიმე საბჭოთა მემკვიდრეობის პირობებში, გადის კოოპერაციის განვითარების პროცესს. მართალია, არსებულმა შედეგებმა მიზნებს გადააჭარბა, თუმცა საბოლოო შეფასებისთვის ჯერ ძალიან ადრეა. ქალბატონმა კასელამ ასევე აღნიშნა, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარება ENPARD-ის პროექტის მხოლოდ ერთი ნაწილია და პროექტი გრძელდება, თუმცა ამაჟამად ძირითადი აქცენტი გადატანილია სოფლის განვითარების კომპონენტზე.

სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, ბატონმა გელა ხანიშვილმა მისალმების შემდგომ ხაზი გაუსვა ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში გაწეული დახმარების მნიშვნელობას და ENPARD-ის მიერ დანერგილ ახალ მიდგომას სოფლის მეურნეობაში. მან სინანული გამოთქვა, რომ უკვე სრულდება [ENPARD I-ის] პროექტი, თუმცა დიდი მადლიერებით აღნიშნა ამ პროექტის მიერ მოტანილი სიკეთეები: კოოპერაციასთან დაკავშირებით ცნობადობის ამაღლება, კოოპერატივების დაფინანსება, კოოპერატორებისათვის ტრენინგების ჩატარება, კოოპერატივების განვითარების სააგენტოს მხარდაჭერა და სხვ. ბატონი ხანიშვილის განცხადებით, კოოპერატივების განვითარებით ქვეყანამ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა სოფლად სიღარიბის შესამცირებლად. საჭიროა მიღწევების გაგრძელება და კოოპერაციის მხარდაჭერა, რასაც მთავრობა გარკვეულწილად აკეთებს, კერძოდ, 2018 წელს, 2017 წელთან შედარებით, გაორმაგებულია კოოპერატივების განვითარების სააგენტოს მხრიდან პირდაპირი დაფინანსების კომპონენტი. თუმცა ბატონმა ხანიშვილმა აქვე მოუწოდა დონორებს, გააგრძელონ კოოპერატივების დაფინანსება, რამდენადაც სახელმწიფოს ამ მიმართულებით გამოყოფილი სახსრები არ არის საკმარისი. ამასთანავე, ბატონმა ხანიშვილმა კოოპერაციის სიკეთეებში

გათვითცნობიერებულ ყველა პირს მოუწოდა, უკეთ გააცნონ ფერმერებს ეს სიკეთეები, რათა უფრო მეტმა ფერმერმა ირწმუნოს, კოოპერატივში მათი გაერთიანებით რამდენად იზრდება თვით ამ ფერმერებისა და ქვეყნის სარგებელი. ეს მსჯელობა მოჰყვა დისკუსიას, სადაც გამოიკვეთა, რომ სახელმწიფოს კოოპერატივების განვითარების პროგრამებში აპლიკაციების სიმცირე შეინიშნება, რაც ცალსახაა, რომ ფერმერები კოოპერატივებში გაერთიანების სარგებელს/სიკეთეებს ჯერ კიდევ ეჭვის თვალით უყურებენ.

ამასთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა კოოპერატივის წარმომადგენელმა, მინდია ქავთარაძემ, რომელმაც შეახსენა დამსწრე საზოგადოებას, რომ მიგრაციის გამო არც თუ ისეთი მაღალი კვალიფიკაციის ხალხია დარჩენილი სოფლად, რაც ასევე აფერხებს კოოპერატივების სწრაფად განვითარებას და მან მოუწოდა ყველას, რომ ეს გარემოებას მხედველობაში მიიღონ.

მერსი ქორფსის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელმა, ბატონმა ირაკლი ქასრაშვილმა ხაზი გაუსმა ოთხნობიანი უნიკალური თანამშრომლობის გამოცდილებას, რომელიც ENPARD-ის პროექტის ფარგლებში შედგა დონორებს, სახელმწიფო უწყებებს, განმახორციელებელ ორგანიზაციებსა და კოოპერატივებს შორის. მისი განცხადებით, დაინტერესებული მხარეები პროცესში აქტიურად ჩაერთვნენ [სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ] კანონის მომზადების ეტაპიდანვე და მონაწილეობდნენ მიმდინარე და შუალედური შედეგების განხილვის, რეკომენდაციების მომზადების და სხვადასხვა თანმდევ პროცესებში. ბატონი ქასრაშვილის განცხადებით, პროექტმა მრავალრიცხოვან მცირემიწიან ფერმერებს მისცა რეალური შემოსავლის მიღების საშუალება.

ქვა საერთაშორისო კავკასიაში ხელმძღვანელმა, ბატონმა გიორგი ლლონტმა ხაზი გაუსმა იმ ფაქტს, რომ ქვეყანაში სამუშაო ძალის დაახლოებით 40% ქმნის მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 9%-ს, რაც კოოპერაციამ უნდა გამოასწოროს. ამ კუთხით, აღსანიშნავია სახელმწიფოს პრიორიტეტი, განავითაროს სოფლის მეურნეობა. აღნიშვნის ღირსია, აგრეთვე, როგორც ENPARD-ის განმახორციელებელთაშორის არსებული, ისე ამ განმახორციელებელ ორგანიზაციებს, [სოფლის მეურნეობის] სამინისტროსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის არსებული შესაშური კოორდინაცია. ბატონი გიორგის განცხადებით, ამ ყველაფრით კარგი ფუნდამენტი არის მომზადებული, რომ [კოოპერატივების განვითარების] პროცესი გაგრძელდეს, მაგრამ საჭიროა, დაინტერესებულმა მხარეებმა სამომავლოდ კვლავ გააგრძელონ კოოპერატივების მხარდაჭერა, რათა მიღწეულ იქნეს მთავარი მიზანი — კოოპერატივების მდგრადობა.

აგრარული პოლიტიკის კვლევითი ცენტრის უფროსის მოადგილე და ENPARD-ის პროექტის კოორდინატორმა ISET-ის კვლევით ინსტიტუტში, რატი კოჭლამაზაშვილმაც სამადლობლო სიტყვით დაიწყო თავისი პრეზენტაცია. მან დიდი მადლობა გადაუხადა დონორებს (განსაკუთრებით ევროკავშირს), სახელმწიფოს წარმომადგენლებს, განმახორციელებელ ორგანიზაციებსა და კოოპერატივებს იმ თანამშრომლობისათვის რომელიც ბოლო 4 წლის განმავლობაში ერთობლივად გასწიეს. ბატონი კოჭლამაზაშვილის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობაში შედეგების დასანახად დროა საჭირო, უკვე იკვეთება ის ძირითადი ტენდენციები, თუ როგორ მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარება ქვეყანაში. ამ ყველაფრის დაკვირვება, შესწავლა და შესაბამისი დასკვნების გამოტანა არის ცოცხალი პროცესი და ეს ხდებოდა პროექტის მსვლელობასთან ერთად. ერთი რამ აშკარაა, მსოფლიო პრაქტიკა გვეუბნება, რომ კოოპერაციის საწყისი ეტაპი თუ ნაბოროძკდა და წარმატებული არ იქნა, მაშინ დაახლოებით 10 წლით მაინც მოგვიწევს ამ კონცეფციის გადავადება, ამდენად, საჭიროა დღეს სწორი დასკვნების გამოტანა, რათა ეს ავიცილოთ თავიდან და შევქმნათ ნამდვილად სამაგალითო კოოპერატივები, რომლებიც იქნება მოდელი სხვა ფერმერებისთვისაც, რომ კოოპერაცია სასარგებლოა.

ამის შემდგომ, ბატონმა კოჭლამაზაშვილმა წარმოადგინა პრეზენტაცია, სადაც ყურადღება გამახვილებული იყო იმ ძირითად საკითხებზე, რაც მსოფლიო გამოცდილების მიხედვით უზრუნველყოფს კოოპერატივების მდგრადობას, ესენია: მენეჯმენტი და ლიდერობა, წევრების თანამონაწილეობა და ჩართულობა (ასევე ისეთი მარგინალური ჯგუფების გათვალისწინებით, როგორიცაა ქალები და ახალგაზრდები), ფინანსებზე ხელმისაწვდომობა და კონკურენტული გარემო.

1. პანელური დისკუსია მენეჯმენტსა და ლიდერობაზე

პანელურ დისკუსიას უძღვებოდა ENPARD-ის პროექტის მენეჯერი ორგანიზაციიდან „ადამიანი გაჭირვებაში“, ბატონი ბუბა ჯაფარლი. პანელის დისკუსანტები იყვნენ: კოტე ხუცაიძე, კოოპერატივების განვითარების სააგენტო; ლაშა გაგოშიძე, კოოპ. „რაჭის ნატურალური პროდუქტები“ (მეფუტკრეობა, PIN), და ზაზა ჩიკვაიძე, კოოპ. „ბეკები“ (მელვინეობა, OXFAM).

ბატონმა ჯაფარლიმ ყურადღება გაამახვილა იმ ოთხნობიან გამოცდილებაზე რომელიც PIN-ის კონსორციუმმა მიიღო. ამ პერიოდში გამოიკვეთა კოოპერატივების უმრავლესობის წინაშე არსებული პრობლემები — ეს ძირითადად დაკავშირებული იყო მენეჯმენტის საკითხებთან. სახეზეა ლიდერობის დეფიციტი კოოპერატივებში, როცა ლიდერი ვერ ახდენს უფლებამოსიანების დელეგირებას, გუნდის შეკავშირებას, მართვას ან გუნდში კონფლიქტების აღმოფხვრას. სახეზეა ფინანსების, მარკეტინგისა და რისკების მართვის პრობლემებიც. ასევე, კოოპერატივები განიცდიან ხვალისდელი დღის ხედვის ნაკლებობას, თუ როგორ წარმოუდგენიათ მათი საქმიანობის განვითარება 3, 5 თუ 10 წლის შემდეგ.

დისკუსიისას გამოიკვეთა კოოპერატივების მართვა-მენეჯმენტთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები და გადაჭრის გზები:

- ვინაიდან ლიდერობისა და მენეჯმენტის საკითხები მნიშვნელოვანია, ამ კუთხით ტრენინგები ჩატარდა როგორც უშუალოდ ENPARD-ის კონსორციუმების მიერ, ისე ევროკავშირის დაფინანსებული სხვა პროექტების ფარგლებშიც „ევოლუქსერის“ მიერ და გადამზადდა ბევრი კოოპერატივის წევრი;
- მეფუტკრეობის კუთხით კოოპერატივი „რაჭის ნატურალური პროდუქტების“ წარმომადგენლები თანამშრომლობენ ადგილზე [რაჭაში] არსებულ კოლექთან და მუდმივად ახდენენ წევრების გადამზადებას;
- კარგი მენეჯერი დიდ როლს თამაშობს ფინანსების მოზიდვაში, რაც ზრდის ფინანსებზე ხელმისაწვდომობას. ამის კარგი მაგალითია კოოპერატივი „რაჭის ნატურალური პროდუქტები“, რომელმაც უკვე მეორედ მიიღო კრედიტი ბანკისგან;
- სახელმწიფოს მხარდამჭერი პროგრამები ძირითადად ათ, ან მეტ წევრიან კოოპერატივებზეა გათვლილი, მაგრამ კოოპერატივში წევრების რაოდენობის ზრდასთან ერთად რთულდება მისი მართვა-მენეჯმენტი და ცალსახაა, რომ ძლიერი ლიდერისა და მენეჯერის ყოლა მნიშვნელოვან როლს თამაშობს კოოპერატივის წარმატებით საქმიანობასა და საშუალო თუ გრძელვადიან პერიოდში მდგრადობის მიღწევაში;
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელმა (გიორგი მიშელაძე) და ხელმძღვანელის მოადგილემ (კოტე ხუცაიძე) ხაზი გაუსვეს იმ ფაქტს, რომ კოოპერატივს სპეციფიკური მართვა სჭირდება და მნიშვნელოვანია კონკრეტულად კოოპერატივის მართვაზე ორიენტირებული ტრენინგების ჩატარება, რათა უპირველეს ყოვლისა თვით მენეჯერმა გაითავისოს კოოპერაციის პრინციპები და ჩამოყალიბდეს კოოპერატივის ნამდვილ ლიდერად;
- მნიშვნელოვანია კოოპერატივებში არსებული ძლიერი ლიდერებისა და მენეჯერების გამოკვეთა და მათი სარეკლამო-სააგიტაციო საქმიანობაში გამოყენება. ასევე, კარგი იქნება, ძლიერი ლიდერების ჩართვა ტრენინგებში წარმატებული მენეჯმენტის მქონე კოოპერატივის მაგალითის სადემონსტრაციოდ სხვა კოოპერატორებისათვის;
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივ „თაფლი საჩინოს“ ხელმძღვანელმა, ბატონმა მინდია ქავთარაძემ აღნიშნა, რომ ძლიერი ლიდერისა და მენეჯერის ჩამოყალიბება ხდება [კოოპერატივის] განვითარების პარალელურად, რაშიც კოოპერატორებს ტრენინგებიც ეხმარება. „გლეხები“ ხდებიან ბიზნესზე ორიენტირებული „ფერმერები“ და კოოპერატივის შიგნით იკვეთება სპეციალიზაცია — ვის რისი გაკეთება შეუძლია უკეთ. კოოპერატივში ყველაფრის გამართულობაზე საუბარი ძალიან ადრეა სოფელში არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე — გვაქვს შემთხვევა, როდესაც განვითარებად ქვეყანას [საქართველოს] ჰყავს განვითარებადი ფერმერები, დასძინა მინდიამ.

2. პანელური დისკუსია ფინანსებაზე ხელმისაწვდომობაზე

პანელის დისკუსანტები იყვნენ: კოკა ჟღენტი, ABCO; ზაურ ცვარიანი, კოოპ. მთის ნობათი (მეფუტკრეობა, CARE); მინდია ქავთარაძე, კოოპ. თაფლი საჩინო (მეფუტკრეობა, Mercy Corps). პანელს მოდერაციას უწევდა ელისაბედ ცხადაია, ქეას კონსორციუმის წარმომადგენელი.

პანელის გახსნისას ელისაბედ ცხადაიამ პრეზენტაცია გააკეთა, სადაც ისაუბრა ფინანსებზე ხელმისაწვდომობაზე და აღნიშნა, რომ ეს პრობლემა, მართალია, კლებადი ხასიათით გამოირჩევა, მაგრამ მაინც რჩება კოოპერატივებისთვის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად, რასაც კოოპერატივების ყოველწლიური გამოკითხვაც ადასტურებს. საბანკო სექტორის გარდა, ფინანსური წყაროებიდან შეიძლება გამოვყოთ ENPARD-ისა და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების გრანტები, დამატებითი საპაიო შენატანები ჩვეულებრივი და ერთეულ შემთხვევებში ასოცირებული წევრებისაგან. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კოოპერატივისათვის ყველაზე პრობლემატური მაინც საბანკო სექტორთან ურთიერთობაა. არსებობს საბანკო კრედიტების ერთეული შემთხვევები, რომელიც გაიცა კოოპერატივის სახელზე, ესეც დიდი ძალისხმევის შედეგად. ძირითადად კრედიტი წევრის სახელზე გაიცემა და არა კოოპერატივის. ხოლო წევრის სახელზე გაცემული სესხის კოოპერატივში პაიდ შეტანას ბანკი განიხილავს, როგორც სესხის დანიშნულების შეცვლად. ასევე, უნდა აღინიშნოს საბრუნავი კაპიტალის დაფინანსების, გირაოს და „შავ სიაში“ მყოფი წევრების პრობლემა; სოფლებში ძირითადად არ არის ძვირადღირებული და მაღალლიკვიდური გირაო, რაც ბანკს რისკს დაუზღვევს. ამასთან, დოკუმენტაცია ხშირად არასრულია და ბანკის მოთხოვნა დოკუმენტაციის გამართულობასთან დაკავშირებით ლეგიტიმურია. ქალბატონი ცხადაიას თქმით, გამოსავალი არის დიალოგსა და კოოპერატივების ლობირებაში, რაშიც საქართველოს ფერმერთა ასოციაციის (GFA) როლი მნიშვნელოვანია. ამასთანავე, საჭიროა კოოპერატივის სპეციფიკის გათვალისწინება და კოოპერატივებზე მორგებული საბანკო პროდუქტების შექმნა.

კოკა ჟღენტმა აღნიშნა, რომ გრძელვადიანი სესხის მაღალი პროცენტის პრობლემა განსაკუთრებით მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მხრიდან არის. ხოლო საბანკო ინსტიტუტებისთვის აგრარული სექტორი მაღალი რისკის შემცველია და აქ მუშაობა ჯერ არ უღირთ. ამიტომ უკეთესია სესხის საგარანტიო ფონდის შექმნა, რა მოდელიც 10 წლის წინ გამოცდილ იქნა საქართველოში მერსი ქორფსისა და აბკოს მიერ მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედოსთან“ თანამშრომლობით. ამ მოდელში ჯერ ფერმერის გირაოთი იფარებოდა გაფუჭებული სესხი და შემდეგ საგარანტიო ფონდიდან, რომელშიც თანხის დიდი ნაწილი მერსი ქორფსმა და მცირე ნაწილი აბკომ ჩადეს. სტიმულებიდან გამომდინარე, ფერმერებმა იცოდნენ, რომ მათ გაეწიათ რეკომენდაცია და არ იცოდნენ, რომ მათი სესხი გარანტირებული იყო. ფონდი ძირითადად აზიის გამოცდილებაზე დაფუძნებით შეიქმნა. უნდა აღინიშნოს, რომ საპროცენტო განაკვეთი იმ დროისთვის 25-27% იყო (იმ დროისთვის ბაზარზე არსებული საპროცენტო განაკვეთი), მიუხედავად ამისა 40 ასეთი სესხიდან არცერთი პრობლემური არ ყოფილა.

დისკუსიისას გამოიკვეთა შემდეგი საკითხები:

- ENPARD-ისა და ACDA-ს მხარდამჭერი პროგრამები ძირითადად გრძელვადიანი აქტივების შეძენაში ეხმარება კოოპერატივებს და მათ დიდ ნაწილს დღეს საბრუნავი საშუალებებისთვის საჭირო თანხის პრობლემა აქვს.
- საფინანსო პროდუქტებიდან აღსანიშნავია აგრო დაზღვევის განუვითარებლობა. მართალია, სახელმწიფომ ამ მიმართულებით აქტიური მუშაობა რამდენიმე წლის წინ დაიწყო, მაგრამ იგი სრულყოფილებისგან ჯერ ძალიან შორს არის. დისკუსიის მონაწილე მეფუტკრე კოოპერატივებმა აღნიშნეს, რომ ერთს დათვმა დაუზიანა სკები (რაჭის ნატურალური პროდუქტები), მეორეს კი — წყალდიდობამ (თაფლი საჩინო), მაგრამ, რამდენადაც აგრო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამა მეფუტკრეობას არ ფარავს, მათი მეურნეობები არ იყო დაზღვეული და, შესაბამისად, დიდი ზარალი განიცადეს. აღინიშნა ისიც, რომ დაზღვევის დარაიონება იქნებოდა რეკომენდაცია, რათა სხვადასხვა რეგიონის სპეციფიკა უკეთ იქნას გათვალისწინებული.

- გიორგი მიშელაძის თქმით, კოოპერატივზე სესხის გაცემის პრეცედენტები იზრდება; იზრდება ასოცირებული წევრების რაოდენობაც. აუცილებელი ინსტიტუტია აგროდაზღვევა, რომელიც, სამწუხაროდ, არ ეხება მეფუტკრეობას. თუმცა უნდა აღინიშნოს „ალდაგის“ ინტერესი დაზღვევის სურვილის მქონე მეფუტკრეობის კოოპერატივების დაზღვევასთან დაკავშირებით. მართალია, ჯერ მხოლოდ 1 მეფუტკრემ გააკეთა განაცხადი, მაგრამ, თუ იქნება მოთხოვნა დაზღვევაზე, იქნება მიწოდებაც. ასევე, როდესაც ბანკი უარს ამბობს, კოოპერატივზე გასცეს სესხი, მიზეზი არის ხოლმე ერთი წევრის „გაშავება“ კი, მნიშვნელოვანია, გავარკვიოთ, არის ეს თუ არა სესხის არგაციის რეალური მიზეზი, თუ „გაშავებას“ იმიზეზებს ფინანსური ინსტიტუტი?! ბატონმა მიშელაძემ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია კოოპერატივები მომზადებულები იყვნენ ბანკთან თანამშრომლობისთვის, რაც ხშირ შემთხვევაში ასე არ არის.
- გიორგი ხანიშვილის თქმით, მნიშვნელოვანია საკუთარ თავზე შრომა და საკუთარ თავში რესურსის მოძიება. მეფუტკრეც არ ენდობა მას, ვინც ფულს ან გადაუხდის ან არა. ბანკმაც იცის, რომ მასთან ერთი კაცი მიდის რეალურად და არა კოოპერატივი. ხშირ შემთხვევაში კოოპერატივების ფინანსური აღრიცხვა ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს ვერც სახელმწიფოს მხრიდან და, შესაბამისად, ვერც ბანკისგან.
- გარდა ამისა პანელის, დროს ასევე აღინიშნა, რომ მნიშვნელოვანია ფინანსების ალტერნატიული წყაროების შექმნა, ეს იქნება ასოცირებული წევრი, დაბრუნებადი გრანტის ფონდის (რასაც ამჟამად CARE-ს კონსორციუმი ნერგავს) თუ საკრედიტო კავშირის ან სხვა, რისთვისაც კანონმდებლობის მორგებაა საჭირო, შეიძლება სხვა ქვეყნების მაგალითების გამოყენებაც. 2000-იან წლებში საქართველოში მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული 150 საკრედიტო კავშირიდან 7 დარჩა, ძირითადად, საკანონმდებლო ბაზის გამო; კანონი „საკრედიტო კავშირის“ შესახებ რეგულირებადი გახდა ეროვნული ბანკის მიერ, რის გამოც ბევრმა ფერმერმა უარი განაცხადა თანამშრომლობაზე. მნიშვნელოვანია, საკრედიტო კოოპერატივებზეც დაიწყოს ფიქრი.
- ზოგი კოოპერატივი მზად არის ფინანსურ ინსტიტუტთან სათანამშრომლოდ, ზოგიც — არა. ეს ურთიერთობა უნდა იყოს ორივესთვის მომგებიანი. დღეს კი ნდობისა და თანამშრომლობის ხარისხი არ არის მაღალი. ბანკისთვის ფერმერიდან მაქსიმალური მოგების მიღებაა მიზანი, ფერმერისთვის — ფინანსური ინსტიტუტიდან ბევრი ფულის წაღება. აღსანიშნავია ასევე, რომ 2017 წლის კვლევა ფინანსებზე ხელმისაწვდომობაზე აჩვენებს, რომ ბანკებს არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია კოოპერატივებზე. ამაზე ბატონმა კოჭლამაზაშვილმა საზოგადოებას შეახსენა, რომ ENPARD-ის პროექტის ფარგლებში ჩატარებული ყოველწლიური გამოკითხვის მონაცემთა 4-წლიანი ბაზა არსებობს, რისი გამოყენებაც საფინანსო ინსტიტუტებს შეუძლია, რაც მათ დაეხმარება, უკეთ გაიგონ კოოპერატივის შესახებ, მათ შორის ფინანსური ინფორმაცია და ამით დაზოგონ საკუთარი რესურსები.

3. პანელური დისკუსია წევრების მონაწილეობაზე

პანელს უძღვებოდა გიგა სარუხანიშვილი, მერსი ქორფსის წარმომადგენელი. ამასთანავე, პანელის დისკუსანტები იყვნენ გიორგი მიშელაძე (ACDA), შალვა აგუშავა, კოოპ. დარჩელის თხილი (მეთხილეობა, Oxfam) და გურა ფსუტური, კოოპ. ნიქარა (მეცხოველეობა, Mercy Corps).

ბატონმა გიგა სარუხანიშვილმა შესავალში ისაუბრა კოოპერაციაში წევრების ჩართულობასა და კოოპერატივის პრინციპების ცოდნის მნიშვნელობაზე, რაც განაპირობებს კოოპერატივის წარმატებასა და მდგრადობას. ბატონმა სარუხანიშვილმა აღნიშნა, რომ 1500 კოოპერატივიდან, რა თქმა უნდა, ყველა არაა წარმატებული. დღეს ვხვდებით სამი ტიპის კოოპერატივებს: 1) „ერთი ადამიანის კოოპერატივი“ - ერთი ადამიანის გარშემო შეკრებილი ფსევდო-კოოპერატივები; 2) „საოჯახო კოოპერატივი“ - სადაც ძირითადად ოჯახის წევრები არიან გაერთიანებული და 3) „ნამდვილი კოოპერატივი“, რომელშიც წევრები გაერთიანებულები არიან სხვადასხვა ოჯახებიდან და გააზრებული აქვთ ის სიკეთეები, რაც შეიძლება კოოპერაციამ მათ საქმიანობას

მოუტანოს. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, აქცენტი გაკეთდეს ხარისხზე და არა რაოდენობაზე.

ბატონი მიშელაძის თქმით, ფერმერებს კოოპერატივის წევრობა არ აქვთ ბოლომდე გააზრებული. საგრანტო პროგრამაში მონაწილეობა კი არაა მთავარი, არამედ რაიმე ელემენტარული მოვალეობის შესრულება; 530 კოოპერატივს სტატუსი შეუწყდა იმ მოვალეობების შესრულებლობის გამო რასაც კანონი მოითხოვს — კანონის მიხედვით წევრი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე, ეწოდეს სასოფლო-სამეურნეო აქტივობას და ჰქონდეს პაი შეტანილი. დღეს ძირითადი იდეა არის, რომ აქცენტი გაკეთდეს წევრების რაოდენობის და არა კოოპერატივების რაოდენობის ზრდაზე (დასაშვებია 5-წევრიანი, მაგრამ სასურველია 5-ოჯახიდან იყვნენ გაერთიანებული წევრები). სხვა ქვეყნებში არის ასეთი მაგალითები — იაპონიაში 900-მდე კოოპერატივს მილიონამდე წევრი ჰყავს, საბერძენთში 700 კოოპერატივია და 50000 წევრი, მაშინ როცა საქართველოში 1400 კოოპერატივია და 13000 წევრია გაერთიანებული. მიშელაძემ ისიც აღნიშნა, რომ ENPARD-ის მხარდაჭერილი კოოპერატივები კონსორციუმზე იყვნენ დამოკიდებული, ასე რომ, მნიშვნელოვანია, თუ რას იზავენ ეს კოოპერატივები პროექტის დასრულების შემდეგ.

დისკუსიისას გამოიკვეთა, რომ, კანონშემოქმედების პროცესშივე რომ მომხდარიყო ამაზე უფრო მეტი ანალიზი (მოთხოვნა, რომ კოოპერატივში შეიძლება იყოს ბარში მინიმუმ 5 წევრი და მთაში 3 წევრი), უკეთესი იქნებოდა, რაც მეტ-ნაკლებად თავიდან აირიდებმა „საოჯახო კოოპერატივების“ შექმნას.

კოოპერატივ „ქორენიშის“ თავჯდომარემ, ბატონმა ლევან ხმელიძემ აღნიშნა, რომ წევრების სიმრავლე კოოპერატივში მნიშვნელოვანია, მაგრამ ეს კოოპერატივში შესვლის მსურველსაც უნდა ესმოდეს. რთულია შედეგების დემონსტრირების გარეშე ადამიანის დარწმუნება, ამიტომ დღევანდელი მდგომარეობაც უნდა გავითვალისწინოთ - „რეალურად 20 კაცს რომ გავაცნო კოოპერატივის იდეა, 3 ადამიანზე მეტი არ დამეთანხმება, აქედან ბოლოს ერთი ან წამომყვება ან — არა“, აღნიშნა ხმელიძემ და მოიყვანა პირადი მაგალითი, როდესაც კოოპერატივის დაარსებას იწყებდა, თავიდან მთელს სოფელში მხოლოდ 4 თანამოაზრე მოძებნა და აქედან ორი ცოლ-ქმარი. ამდენად, ბატონმა ხმელიძემ დაამატა, რომ რეგიონული განსხვავებებიც უნდა იქნას გათვალისწინებული ამ კუთხით. აქცენტი უნდა გაკეთდეს არა პასიური წევრების დამატებაზე, არამედ „გააზრებული და გათვითცნობიერებული წევრი რომ იყოს, თუნდაც ცოტა“. მას დაეთანხმა მინდია ქავთარაძე, კოოპერატივ „თაფლი საჩინოს“ ხელმძღვანელიც, რომელმაც დაამატა, რომ იმისათვის, რომ საგრანტო პროგრამების მოთხოვნებს უპასუხონ, უწევთ ფსევდო-წევრების დამატება და სინანულით დასძინა „გვრცხვენია ხანდახან იმის, რასაც ვატყუებთ ხოლმე სახელმწიფოსა და არასამთავრობოებს“. ამასთანავე, გაიჟღერა, რომ სახელმწიფო რეგულაციების მიხედვით, შესაძლოა, ისეთი წევრი, რომელიც მომსახურებას ეწევა კოოპერატივში, მაგალითად, ტრაქტორისტი, ბუღალტერი, მარკეტოლოგი, შეიძლება არ ჩაითვალოს წევრებად, რაც აუცილებლად გამოსასწორებელია საკანონმდებლო რეგულაციებში.

საქართველოში მოქმედი ერთ-ერთი ყველაზე დიდი კოოპერატივის „დარჩელის თხილის“ ხელმძღვანელმა, ბატონმა შალვა აგუმაჯამ საუბარი დაიწყო იმ პრობლემებით, რაც 2017 წელს თხილის სექტორს თავს დაატყდა (მაწვნელი აზიური ფაროსანა და დაავადებები), რამაც უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო მეთხილე ფერმერები და, რაღა თქმა უნდა, მათი კოოპერატივიც. მართალია კოოპერატივით სარგებლობამ 18-22%-ით გაზარდა წევრების შემოსავლები, მაგრამ მეთხილეობის კოოპერატივში არსებობს საბრუნავი სახსრების არარსებობის პრობლემა, რაც გამოიხატება იმაში, რომ, როდესაც წევრები თხილის მოსავალს იღებენ და ფული სჭირდებათ, სწორედ მაშინ არ აქვს კოოპერატივს ფული, რომ ჩაბარებული თხილის საფასური გადაუხადოს წევრებს, ეს კი იწვევს იმას, რომ რეალურად წევრების მხოლოდ 15-20% აბარებს კოოპერატივს თხილს, დანარჩენი წევრები კი მოსავლის აღებისთანავე შედარებით დაბალ ფასად ყიდნიან შემგროვებლებსა და გადამამუშავებელ-ექსპორტიორებზე. ამდენად, საბრუნავი საშუალებების მობილიზება კოოპერატივის საქმიანობისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რამაც გამოიწვია მათი ბანკთან დაკავშირება და მოხდა ისე, რომ ბანკმა კოოპერატივის 520-ვე წევრის ბანკში მისვლა მოითხოვა თანხმობაზე ხელის მოსაწერად, რაც ფაქტიურად წარმოუდგენელი იყო. სახელმწიფოსა და დონორების დახმარებით დაწყებულია კონსიგნაციების სისტემის

დანერგვა თხილის სექტორში, თუმცა წარმატებული მაგალითები ჯერჯერობით არ გვაქვს.

ბატონმა ფსუტურმა აღნიშნა, რომ კოოპერატივ „ნიქარაში“ ამჟამად 12 ადამიანი განევრიანებული, რომლებიც ფლობენ და ამუშავებენ 150 ჰექტარს. კოოპერატივი ძირითადად კონცენტრირებულია მექანიზაციაზე და ნევრებს დანაწილებული აქვთ საქმიანობის სფეროები, იქნება ეს ბუღალტერია, ტექნიკის რემონტი თუ სხვა. ამასთანავე ფსუტურმა დასძინა, რომ ცუდი კოოპერატივების მაგალითები სახელს უფუჭებს კოოპერატივებს, რაც იწვევს იმას, რომ ფერმერებს ნაკლებად აქვთ სურვილი, კოოპერატივებში გაერთიანდნენ. დადებითად შეფასდა სასწავლო ტურები, მაგალითად ACDA-სა და ENPARD-ის განმახორციელებელი კონსორციუმების მხარდაჭერით, კოოპერატივების წარმომადგენლებს ჰქონდათ ვიზიტები ევროპაში, სადაც ნახეს, რეალური კოოპერატივები როგორ მუშაობენ, რამაც ხელი შეუწყო ნევრების ცოდნა/განათლების ამაღლებას. ამასთანავე, კოოპერატივის აქტიური ნევრები ცდილობენ პასიური ნევრების გამოფხიზლებას და მაგალითის მიცემას.

4. პანელური დისკუსია კონკურენტულ გარემოსა და საგადასახადო რეჟიმთან დაკავშირებით

პანელს უძღვებოდა ბატონი ლევან დადიანი. პანელის ნევრები იყვნენ: ნატალია ფარცხალაძე, კოოპ. კონა (არამერქნული ტყის პროდუქტები, OXFAM), გივი ჩუბინიძე, კოოპ. მეღვინეობა საბანო (მეღვინეობა, PIN), ლევან ხმელიძე, კოოპ. ქორენიში (მეფუტკრეობა, CARE).

პანელის გახსნისას ლევან დადიანმა ისაუბრა საბაზრო კონკურენტუნარიანობის მნიშვნელობაზე და აღნიშნა ბრენდირებული პროდუქციის მნიშვნელობა კონკრეტულ შემთხვევებში და წუხილი გამოთქვა მასშტაბის ეკონომიის არარსებობაზე, რაც ძირითადად ხელს უშლის პროდუქციის ექსპორტზე გატანას. ასევე, აქცენტი გააკეთა საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესების მნიშვნელოვნებაზე.

ქალბატონი ნატალია ფარცხალაძის თქმით, ENPARD მთავრდება, ამიტომ საჭიროა ერთმანეთისთვის შეხედულების გაზიარება მომავლისთვის. მან ისიც აღნიშნა, რომ დემოკრატიის მსგავსად, კოოპერატივიც სამართავად რთულია და ეკონომიკური ვითარება და მენტალიტეტი არ იძლევა ხალხის ადვილად დარწმუნების საშუალებას. კოოპერატივ „კონას“ წარმომადგენელმა უკმაყოფილება გამოთქმა იმასთან დაკავშირებით, რომ, როდესაც გადამუშავების ეტაპზე პროდუქტს სასაქონლო კოდი ეცვლება, ის ეჭვმდებარება დაბეგვრას და ის მწირი საგადასახადო შეღავათი, რაც კოოპერატივებს გააჩნიათ, გამოდის, რომ ასეთ შემთხვევებში არ არსებობს. ამდენად, კიდევ ერთხელ აღინიშნა, რომ ე.წ. სერვისის კოოპერატივების კუთხით, რომლებიც არის წარმატებული კოოპერაციის მაგალითი ევროპაში, საქართველოში კანონმდებლობა დასახვეწია, რათა აქცენტი სწორედ ასეთი კოოპერატივების განვითარებაზე გაკეთდეს.

ბატონმა გივი ჩუბინიძემ მადლობა გადაუხადა ხუან ეჩანოვესა და ევროპელ ხალხს და აღნიშნა, რომ ENPARD-ის პროექტიდან ქვეყანაში დარჩა ტექნიკაც და ტექნოლოგიური ცოდნაც, რაც ციფრებში ნაკლებად შეიძლება გამოჩნდეს. მან ხაზი გაუსვა შეღავათების საჭიროებასაც მეღვინეობის სექტორში და სხვა კოოპერატივებთან ერთად მარკეტინგულ კოოპერატივად ჩამოყალიბების მნიშვნელობას. გარდა ამისა, აღნიშნა, რომ ის ადამიანები, რომლებიც ძირითადად ფერმერები არიან, არ არიან გათვითცნობიერებული საბაზრო ეკონომიკაში.

პანელის დროს დისკუსანტები ასევე შეეხნენ საქართველოში არსებულ ლაბორატორიებში ანალიზების ჩატარების შეზღუდულობას. მაგალითად, ევროპა ითხოვს თაფლის 27 ანალიზს, ჩვენთან კი მხოლოდ 7-ის გაკეთება შეიძლება, ამიტომ ევროპაში აგზავნიან ნიმუშებს, რაც ძვირი ჯდება. ასევე მოიქცა კოოპერატივი „კონა“, რომელმაც თავისი მცენარეული ჩაის ანალიზი ბულგარეთში გააკეთა.

გიორგი მიშელაძეს თქმით, აუცილებელია, მეთაფლე კოოპერატივებმა დაიცვან არსებული რეგლამენტი, და საჭიროა, მოხდეს ქართული თაფლის პოპულარიზაცია, როგორც ეს განხორციელდა ღვინის სექტორის შემთხვევაში. მან ისიც აღნიშნა, რომ კონკურენტუნარიანობისთვის აუცილებელია ერთგვაროვანი, დიდი რაოდენობისა და

სტაბილური მიწოდების საშუალების მქონე თაფლის არსებობა. გარდა ამისა, აღინიშნა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, აქტიურად მოხდეს ფალსიფიცირებული თაფლის კონტროლი. ასევე, ისაუბრეს ბრენდინგის მნიშვნელობაზე და სახელმწიფო სახელის ქვეშ ქართული თაფლის გაერთიანებაზე, რაც უფრო დიდ საექსპორტო არეალს შეუქმნის ქვეყანას.

დისკუსიაში ჩაერთო ელკანას წარმომადგენელი, ქალბატონი ელენე შატბერაშვილიც, რომელმაც აღნიშნა, რომ ექსპორტში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის იმიჯი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბრენდირების სტრატეგია სექტორთან შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს. მაგალითად, თხილის შემთხვევაში, მნიშვნელოვანია კონსოლიდაცია და ერთად გაყიდვა, რადგან ქართული თხილის ფასი თურქეთის ფასთან შედარებით დაბალია. ხოლო ჩაის, თაფლის, ღვინისა და სხვა „პრემიუმ“ პროდუქტების კონსოლიდაცია და ერთად შეკრება მის ფასს დააბალეებს, რადგან „მასიური წარმოება არ იქნება მაღალი ღირებულების მქონე, არამედ იაფი პროდუქციის წარმოება მოხდება,“ – დასძინა მან. ასეთ შემთხვევაში აქცენტი უნდა გაკეთდეს რეგიონის ან მუნიციპალიტეტის თავისებურებაზე, უნიკალურ ბუნებაზე და ა.შ. ქალბატონ ელენეს დაეთანხმა ქალბატონი ნატალია, რომელიც არ გახლავთ პროდუქციის კონსოლიდაციის მომხრე, რადგანაც მისი აზრით, ამ დროს დაიკარგება ის უნიკალური მახასიათებლები, რომელიც კოოპერატივ „კონას“ პროდუქტს გააჩნია.

ბატონ როსტომ გაბისონიას თქმით, ENPARD-ის ყველა ეტაპის მიზანია სიღარიბის დაძლევა ქვეყანაში და მხოლოდ მეღვინეობა და მეფუტკრეობა შორს ვერ წაგვიყვანს. ამიტომ მდგრადობისთვის საჭიროა სხვა სექტორების განვითარებაც, მაგალითად როგორიცაა არამერქნული ტყის პროდუქტები და სხვ.

გამოიკვეთა ასევე, რომ განათლებაზე აქცენტი არის მნიშვნელოვანი, განსაკუთრებით კი იმ ბიზნეს უნარების შესაძენად, რაც საჭიროა საბაზრო ეკონომიკაში წარმატების მისაღწევად. ამ კუთხით კი კოოპერატივ „საზანოს“ წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა იმას, რომ საჭიროა კოლმეურნეობის გამოცდილების გადაგდება და ახალი აზრისა და ახალგაზრდებისათვის საშუალების მიცემა. დისკუსიის დროს ისიც აღინიშნა, რომ მიწის გადასახადის დაწესება ხელს შეუწყობს მიწის კონსოლიდაციის პროცესს.

5. პანელური დისკუსია გენდერულ და ასაკობრივ მრავალფეროვნებაზე

პანელს უძღვებოდა ნანა ქაშაკაშვილი GIPA-დან. პანელის დისკუსანტები იყვნენ: თამთა მამულაიძე, GFA; მაგდა გუგუნავა, კოოპ. ქალთა ძალა (კენკრის წარმოება, PIN); და ალექო მეფარიშვილი, კოოპ. ჭყვიში (მებოსტნეობა, Mercy Corps).

შესავალ სიტყვაში ნანა ქაშაკაშვილმა აღნიშნა, რომ გენდერული თანასწორობა „დაჩაგრულ ქალზე“ უფრო დიდი თემაა და რომ ქალის პროფესია და მამაკაცის პროფესია ცალკე განყენებულად არ არსებობს. ფერმერი ქალები აქტიურად არიან ჩართულები სოფლის მეურნეობაში. ასევე, აღინიშნა, რომ საინფორმაციო ბანკის არსებობა ძალზედ მნიშვნელოვანია ახალგაზრდებისთვის.

მაგდა გუგუნავას თქმით, კოოპერატივი სახელად „ქალთა ძალა“ იმისათვის შეიქმნა, რომ ეჩვენებინა, რომ ქალს შეუძლია სოფლის მეურნეობაში წარმატების მიღწევა. კოოპერატივის შემადგენლობაში 11 წევრიდან 10 ქალია. თავდაპირველად, 21 წლის მაგდას გაუჭირდა კოოპერატივის წევრებისათვის იმის დამტკიცება, რომ მას შეუძლია თანაბარზომიერად საქმიანობა. ასევე აღინიშნა, რომ სოფლის მეურნეობაში რამდენიმე მცდელობის შემდეგ ახალგაზრდები სხვა დარგში გადადიან შემოსავლის მისაღებად.

ქალბატონმა ქაშაკაშვილმა დასძინა, რომ წარმატებული მაგალითების როლი ძალიან დიდია და რომ მაგდასნაირი ადამიანები ამსხვრევენ ახალგაზრდებსა და გენდერთან დაკავშირებულ სტერეოტიპებს. ქალთა მაქსიმალური ჩართვა საჭირო სოფლის მეურნეობაში და ზოგადად ეკონომიკაში, რაც ქვეყანას განავითარებს. მედიის მხრიდანაც კი არასწორადაა გავლენილი ზღვარი ფემინიზმსა და გენდერულ თანასწორობას შორის. ქალების ზედმეტი პრივილეგირება ისევე პრობლემაა, რადგან უკვე მამაკაცის უფლებებს ეხება. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ

ქართული ენა არ ასხვავებს სქესს; ძლიერ სამოქალაქო საზოგადოებაში ქალი ძლიერია და არაა საჭირო ქალების პრივილეგირება.

თამთა მამულაიძემ საკუთარი ისტორია მოყვა, თუ როგორ შთააგონა თავისივე ჯგუფელის და ცნობილი ახალგაზრდა მეღვინე ქალის, ბაია აბულაძის მაგალითმა. თამთამ შეიძინა ინკუბატორი, მიმართა GFA-ს და გახდა „საქართველოს ახალგაზრდა ფერმერთა ასოციაციის“ წევრი; მნიშვნელოვანია სექტორის გაახალგაზრდავება და ეს ასოციაცია სწორედ ასეთი ახალგაზრდების გამოვლენასა და მათ ერთმანეთთან დაკავშირება-დახმარებას ისახავს მიზნად. ახალგაზრდებისთვის ბევრი რამის სწავლება შეიძლება, ისინი მეტიენტუზიაზმით არიან განმსჭვალულები, რაც სექტორის და, შესაბამისად, ეკონომიკის გაძლიერებას შეუწყობს ხელს. ამასთანავე, მნიშვნელოვანია ტრენინგები მოწყვლად ჯგუფებთან, დევნილებთან სამეგრელო-ზემო სვანეთსა და იმერეთში.

6. პანელური დისკუსია თემაზე – კოოპერატივების განვითარების მხარდაჭერა – კოორდინაცია და თანამშრომლობა მომავალში

პანელს უძღვებოდა გიორგი მიშელაძე (ACDA), ხოლო პანელის დისკუსანტები იყვნენ: მარიკა გელაშვილი, სოფლის მეურნეობის სამინისტრო; რუსუდან ძიძიშვილი, სოფლის მეურნეობის სამინისტროს იმერეთის წარმომადგენლობა (RICC); და ლაშა დოლიძე, FAO საქართველო.

გიორგი მიშელაძემ ისაუბრა განვლილ 4 წელიწადზე და აღნიშნა, რომ ეს პერიოდი არც ძალიან ცოტაა და არც ბევრი, მართალია, ყველაფერი იდეალური არაა, მაგრამ მიღებულ შედეგებს სახელმწიფო მართო ვერ მიაღწევდა. კონსორციუმების თანამშრომლობა იყო მაგალითი, რამაც ფერმერს დაანახა, რომ სახელმწიფო და სხვა ორგანიზაციები თვითონ არიან მზად თანამშრომლობისთვის. ძალზედ მნიშვნელოვანია დაგროვილი გამოცდილების გაზიარება, პროექტის დასრულების შემდეგ. ამ პერიოდის განმავლობაში იზრდებოდა ACDA, იზრდებოდა კონსორციუმებიც და კოოპერატივებიც. ბევრი პროგრამა დაიწყო და დღემდე ხორციელდება, რაშიც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საინფორმაციო მხარდაჭერამ. იყო მოტოლოკების, მეფუტკრეობის, მერძევეობის, მეთხილეობის, მევენახეობის, მაღალმთიანი რეგიონების საძოვრებით უზრუნველყოფის პროგრამები. 29 მუნიციპალიტეტში იგეგმება მესაქონლეობის პროგრამის განხორციელება, თუმცა არის მუნიციპალიტეტები, საიდანაც განაცხადი არ შემოსულა. გარდა ამისა, მევენახეობაში 4-ის ნაცვლად 3 პროექტი განხორციელდა, რაც ასევე ნიშნავს, რომ ფერმერების აქტიურობა არის დაბალი, მიუხედავად საინფორმაციო კამპანიისა, რაშიც RICC-ების წვლილი უდიდესია ACDA-ს რეგიონებში მუშაობაში.

მარიკა გელაშვილმა ისაუბრა საერთაშორისო თანამშრომლობის როლსა და სამინისტროს შიგნით თანამშრომლობის მნიშვნელობაზე. ასევე ყურადღება გაამახვილა, თუ რატომ გახდა საქართველოში კოოპერატივების განვითარების საჭიროა. მოსახლეობის მწირემიწიანობამ წარმოშვა გამსხვილების საჭიროება. კოოპერირების განვითარებას ამ წლების განმავლობაში ახლდა პრობლემები – კომუნისტურ მენტალიტეტთან ბრძოლის სირთულე; მენეჯმენტის ან ბანკებთან ურთიერთობის პრობლემები; ფერმერთა განათლების დონე; დარგის ასაკობრივი დაბერება (RICC-ის თანამშრომელთა შერჩევისას ახალგაზრდა კადრის ნახვა სანატრელი იყო, აპლიკანტების 80% იყო 40-50 წლის ან უფროსი), ცოდნის გავრცელება რეგიონებში და ა.შ.

ქალბატონმა გელაშვილმა ისიც აღნიშნა, რომ მართალია, პროექტი დასრულდა, მაგრამ ამას პოზიტიურად უნდა შევხედოთ, დონორმა ფეხზე დააყენა და ბიძგი მისცა კოოპერატივების განვითარებას და ამ კუთხით ახლა სახელმწიფოსა და სხვა დონორების გასაგრძელებელია, ხოლო ევროკავშირი სხვა, უფრო საჭირო პროექტებით გააგრძელებს დახმარებას.

რუსუდან ძიძიშვილმა იმერეთის მაგალითიდან გამომდინარე ისაუბრა RICC-ების და კონსორციუმების მნიშვნელოვან როლზე კოოპერაციის განვითარებაში და ბუღალტრულ და სხვა ტიპის დოკუმენტების მოწესრიგებაში. ამასთანავე, აღნიშნა, რომ სამომავლოდ ყურადღება უნდა გამახვილდეს განათლებაზე; ბევრ კოოპერატივში შემთხვევით მოხვდა ბიზნესზე

ორიენტირებული, მაგრამ სექტორის არმცოდნე ხალხი, რომლებსაც სჭირდებათ სექტორული განათლება.

ლაშა დოლიძეს თქმით, 2013 წელს ENPARD-ის ამოცანა მოკრძალებული იყო, თუმცა დღეს, უკვე 2017 წლისთვის კოოპერატივების წარმატების შესაძლებლობები დასტურდება. იყო ყოველთვის შიშვედრები, რაც ხშირად ცხარე კამათის ფონზეც მიმდინარეობდა; უნდა აღინიშნოს, რომ საკანონმდებლო ბაზა მალევე გადაიხედა. დღესდღეობით, საკანონმდებლო ბაზა ხარვეზებიანია, მაგრამ სავსებით დამაკმაყოფილებელი. ბატონმა დოლიძემ აღნიშნა, რომ ENPARD-ის მომავალ ეტაპებზეც იქნება კოოპერატივების განვითარების კომპონენტი.

დისკუსიის დასრულებისას გიორგი მიშელაძემ აღნიშნა, რომ თანამშრომლობის წარმატებულად გაგრძელებისათვის, სააგენტო აპირებს, ჩამოაყალიბოს კოოპერაციის მხარდაჭერთა დარბაზი და ENPARD-ის განმახორციელებელი ორგანიზაციების წარმომადგენლები მოიწვიოს, რათა რეგულარულად მოხდეს დაგროვილი გამოცდილების გაზიარება.

დახურვითი პანელური დისკუსია თემაზე - მიღებული გამოცდილება და დღევანდელი დისკუსიის შეჯამება

პანელის მონაწილეები იყვნენ - გიორგი ღლონტი (CARE); ბუბა ჯაფარლი (PIN); ლევან დადიანი (Oxfam); ირაკლი ქასრაშვილი (Mercy Corps).

გიორგი ღლონტმა აღნიშნა, რომ საჭიროა კოოპერაციის სამომავლო მხარდაჭერა. პირველი ეტაპი რეალურად იყო პილოტი და ახლა საჭიროა მისი განვითარება და შედეგების დაფიქსირება, პრობლემების გაანალიზება და წერტილოვანი დახმარებების განწესება. მნიშვნელოვანია, რომ ბიზნესი გამსხვილდეს, მაგრამ მნიშვნელოვანია ნიშე პროდუქტების წარმოებაც. საბჭოთა დონე, მაგალითად, მეჩაიეობაში ვეღარ მიიღწევა ბაზრის არარსებობის გამო. საჭიროა სერტიფიცირება და ხარისხის კონტროლი, რისთვისაც ლაბორატორიის არსებობაა აუცილებელი, მაგალითად, მეთაფლეთათვის და ისინი შემდგომ თვითონ მიხედავენ საკუთარ თავს.

ირაკლი ქასრაშვილის თქმით, თავიდან კოოპერატივები კოლმეურნეობის აღორძინებად ითვლებოდა, მაგრამ ეს აზრი ნელა-ნელა ქრება. ცხადია, პროექტი იწყება და მთავრდება, მაგრამ ევროპაში 1950-იანებში დაიწყო მხარდაჭერა და ეს მხარდაჭერა ახლაც არსებობს, ჩვენთან კი ჯერჯერობით მხარდაჭერის მხოლოდ 4 წელი იყო. დამატებითი 3-4 წლიანი მხარდაჭერა ისევ საჭიროა. ქასრაშვილმა აღნიშნა, რომ სექტორში ახალგაზრდების ჩართულობა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან დარგი დაბერებულია: „ახალგაზრდების ჩართულობის გარეშე არც ერთ საქმეს არ აქვს მომავალი“. ხოლო ქალების ჩართულობა მაინც ბუნებრივად ხდება. გარდა ამისა, აღნიშნა, რომ წევრების რაოდენობის ზრდისკენ მიმართული საკანონმდებლო ცვლილებები საჭირო აღარაა. ამასთანავე, კოოპერატივი ისევე უნდა დაიბეგროს, როგორც ინდივიდუალური ფერმერი, და თუ უფრო მეტად დაიბეგრებიან, ისინი დამალავენ თავიანთ კოოპერატივობას და გადასახადებსაც. მნიშვნელოვანია, გაკეთდეს კოოპერატივების განვითარების ეროვნული სტრატეგია.

ლევან დადიანის თქმით, 4-წლიანი პროგრამა პროცესის ძალზედ მცირე პერიოდია, მაშინ როცა, კოოპერატივების სუბსიდიების გზით გასავითარებლად იაპონიას ნახევარი საუკუნე დასჭირდა, ევროპას კი 150 წელი ბუნებრივი განვითარების პირობებში; პროცესის კონცეპტუალური გააზრებას ხშირად 50-60 წელი სჭირდება. ბატონი დადიანი შეეხო ისეთ საკითხებსაც, როგორიცაა ლიდერების გამორჩევა და მათი ცნობიერების ამაღლება; სადაზღვევო პაკეტების დახვეწა; სესხის საგარანტიო ფონდის ან ლიზინგის პაკეტების მხარდაჭერა; საბრუნავი კაპიტალის საჭიროებაზე ზრუნვა; კოოპერატივების ფედერირება-ასოცირება ექსტენციის, ვეტერინარიის ან, თუნდაც, ფინანსური აღრიცხვის სერვისის მიხედვით; საკანონმდებლო ბარიერები, თუნდაც გადამუშავების ასპექტებთან, წესდების ცვლილებასთან დაკავშირებით; კოოპერატივების საქმიანობის დოკუმენტირებულობა, იმის მიუხედავად, რომ ისინი არ იხდიან გადასახადებს, ამის რეგულირება კანონის საშუალებით შეიძლება.

ბატონმა დადიანმა ისიც აღნიშნა, რომ მდგრადობის შეფასება ჯერ ძალიან ადრეა, მაგრამ დინამიკა საინტერესოა და დასძინა რომ „კოოპერაციის მხარდამჭერთა დარბაზის“ როლი ადვოკატირებაში და პოლიტიკაზე ზემოქმედებაში მნიშვნელოვანია და მის დაფუძნებას მიესალმება.

ბუბა ჭაფარლის თქმით. 3.2 მილიონიანი ბიუჯეტიდან 1.1 მილიონი ევრო გამოყოფილი იყო კოოპერატივის წევრების განათლებისთვის, რომლის ფარგლებში უამრავი კოოპერატივი თუ ტრენინგი გადამზადდა. მაგრამ საჭიროა ტრენინგების ინსტიტუციონალიზაცია, რადგანაც ხვალ ახალი ხალხი მოვა, ზოგი წავა, ზოგს რამე დაავიწყდება და ა.შ. ამ კომპონენტის „აუთსორსინგზე“ გატანა შეიძლება, სადაც კერძო ან არასამთავრობო სექტორი ჩაერთვება. ბატონი ჭაფარლი ასევე შეეხო ENPARD-ის სოფლის განვითარების პროგრამას, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ 8 მუნიციპალიტეტს ფარავს, და აღნიშნა, რომ კოოპერატივებისთვის ადგილი ძალიან მცირეა.

გიორგი მიშელაძე შეეხო საგადასახადო საკითხებს და აღნიშნა, რომ კოოპერატივების საშელავათო პერიოდი, სავარაუდოდ, 2023 წლამდე გადაინევს. საგადასახადო სისტემა არ ცნობს კოოპერაციის პრინციპებს; მეპაიეს მიტანილი თხილი კოოპერატივში განიხილება მიწოდებად, მაგრამ კანონით კოოპერატივი არის მისი წევრები; ერთი კოოპერატივის განცხადებით კოოპერატივს არ ურეგისტრირდება მიწა, რადგან მისი წევრი შეიძლება იყოს უცხოეთის მოქალაქე; „მე თვითონაც სამინისტროში მისვლის შემდეგ გავითავისე რეალურად, რა არის კოოპერაცია“, დასძინა მიშელაძემ და ყველას მადლობა გადაუხადა ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის, რომელიც ENPARD-ის პროექტის 4 წლის განმავლობაში განხორციელდა.